მამუკა გორგოძე/MAMUKA GORGODZE//კლოდ სორელი/CLAUDE SAUREL

# RUGBY WORLD®
## GEORGIA

#001 / 2022
7.00₾



**100 ახალი მოედანი**
**New Pitches**

**მერაბ შარიქაძე**
**MERAB SHARIKADZE**

**ლევან მაისაშვილი**
**LEVAN MAISASHVILI**

**დავით კაჭარავა**
**DAVID KACHARAVA**

**ნათია გავაშელი**
**NATIA GAVASHELI**

# BEST OF 2021
# წლის საუკეთესოები

ინგლისური გამოცემა

I SSN 2720-8230

# თბილისის ურბანული ტყე

## ახალი სიცოცხლე ჩვენს ქალაქს!

ფონდი ქართუ

თბილისის მერია

FOUNDATION DEVELOPMENT & ENVIRONMENT



# TBILISI URBAN FOREST

defund.ge

## NEW LIFE FOR OUR CITY!

# გილოცავთ! / CONGRATULATIONS!

60-წლიანი ისტორია საქართველოში გრძელდება / THE 60-YEAR HISTORY CONTINUES IN GEORGIA

## ფრენკ მეშინიდან RUGBY WORLD-მდე

## From Frank Machin to the RUGBY WORLD



(მარცხნიდან) თორნიკე გოგებაშვილი (ვიცეპრეზიდენტი, სრკ), ნიკოლოზ ალავიძე (პრეზიდენტის მრჩეველი, სრკ), ბრენდონ ბესტერი (Future plc), დავით სამსონიძე (Future Georgia), კლერ ოლბლესი (ბრიტანეთის კონსული), იოსებ ტყემალაძე (პრეზიდენტი, სრკ)
(from left) Tornike Gogebashvili (Vice President, GRU), Nikoloz Alavidze (Advisor of the President, GRU), Brendon Bester (Future plc), David Samsonidze (Future Georgia), Clare Allbless (British Consul), Ioseb Tkemaladze (President, GRU)

**<u>ასეთია სპორტული ცხოვრება (1963)</u>**
**<u>რეჟისორი ლინდსეი ანდერსონი</u>**
**<u>მთავარ როლში რიჩარდ ჰერისი</u>**

წინა საუკუნის 60-70-იან წლებში ეს ყველა ქართველი მორაგბის საყვარელი ფილმი იყო – ერთადერთი ვიდეო, სადაც შეგვეძლო გვენახა საყვარელი თამაშის ფრაგმენტები – ჩვენ ხომ „რკინის ფარდის" მიღმა ვცხოვრობდით.

მხოლოდ დიდი ხნის შემდეგ მივხვდით, რომ რიჩარდ ჰერისის გმირი არა თხუთმეტ, არამედ ცამეტკაცა რაგბის ვარსკვლავი იყო. გვეგონა, რომ ლიგაში უბრალოდ ორი ფლანკერი აკლდათ, წესები იგივე იყო და არც იმისთვის მიგვიქცევია ყურადღება, რომ ჰერისის გმირი, ფრენკ მეშინი ბურჯად იდგა და რატომღაც 13 ნომერი ეწერა.

ჩვენ ვეწაფებოდით ნებისმიერ ინფორმაციას საყვარელ თამაშზე, მაგრამ „რკინის ფარდის" გადმოღმა რაგბი მეორეხარისხოვანი სპორტი იყო.

მაგრამ დრო შეიცვალა და ენთუზიასტების შრომამ შედეგი გამოიღო. 1989 წელს პირველად ითამაშა საქართველოს ნაკრებმა, დღეს კი ჩვენი ეროვნული გუნდის ანგარიშზე 250 მატჩზე მეტი და 5 მსოფლიო თასია. ➡

**<u>SUCH IS THE SPORTS LIFE (1963)</u>**
**<u>Directed by Lindsay Anderson</u>**
**<u>Starring Richard Harris</u>**

In the 60s and 70s of the last century, it was the favorite movie of all Georgian rugby players – the only video where we could see fragments of our favorite game – we lived behind the "Iron Curtain".

It was only a long time later that we realized that Richard Harris's protagonist was not a fifteen but a thirteen-man rugby star. We thought the league just lacked two flankers, the rules were the same, and we did not even pay attention to the fact that Harris's hero, Frank Meshin, was standing in the tower and somehow number 13 was written. ➡

### კლოდ სორელი CLAUDE SAUREL



„დარწმუნებული ვარ, 2027 წლის მსოფლიო თასზე საქართველო საუკეთესო 8-10 გუნდს შორის იქნება"
"I believe that Georgia will be among the top 8-10 teams at the Rugby World Cup 2027" გვ./P.70

### დაგვიკავშირდით CONTACT US

**ელ. ფოსტა/Email**
info@rugbyworld.ge
**Facebook**
Rugby World Georgia
**Instagram**
@rugbyworldgeo
**Twitter**
@Rugbyworldgeo

# სარჩევი/CONTENTS

## წინა ხაზი/THE FRONT ROW


**10** მერაბ შარიქაძე / Merab Sharikadze

**18** დევიდ მაკქიუ / David McHugh

**20** თაიმინგის დროა / Time for timing

**24** ნათია გავაშელი / Natia Gavasheli


## ცენტრი/THE CENTRES


**30** ნიკოლოზ ამაშუკელი / Nikoloz Amashukeli

**31** მანონ საღარაძე / Manon Sagaradze

**32** დავით ნინიაშვილი / David Niniashvili

**33** აკაკი ტაბუცაძე / Akaki Tabutsadze

**34** თედო აბჟანდაძე / Tedo Abzhandadze

**35** ლევან ნარიმანიძე / Levan Narimanidze

**36** მამუკა გორგოძე / Mamuka Gorgodze

**40** იოსებ ტყემალაძე / Ioseb Tkemaladze

**46** საქართველოში 100 სარაგბო მოედანი აშენდება
100 new pitches will be built in Georgia

**56** დავით კაჭარავა / David Kacharava

**60** ნიკოლოზ ალავიძე / Nikoloz Alavidze

**64** ლევან მაისაშვილი / Levan Maisashvili

**70** კლოდ სორელი / Claude Sorel


## უკანა ხაზი/THE BACK ROW


**78** ჩემპიონი სარაგბო კლუბი ქუთაისის „აია“
Champion Rugby Club Kutaisi “AIA”

**94** ირაკლი ჭყონია / Irakli Tchkonia

**95** ქეთი მოდებაძე / Kety Modebadze







**ყდა**: 2021 წლის საუკეთესოები
**COVER**: The best of 2021
**ფოტო**: ირაკლი ტყემალაძე
**PHOTO**: Irakli Tkemaladze




## მთავარი თემა/MAIN TOPIC

100 ახალი მოედნიდან ორი კონფლიქტურ რეგიონებთან ახლოს აშენდება

Two of the 100 new pitches will be built near the conflict regions

**გვ./P.46**



საქართველო–პორტუგალია, 6 თებერვალი, 2022 წელი
მიხეილ მესხის სახელობის სტადიონი
Georgia–Portugal, February 6, 2022
Mikheil Meskhi Stadium

➡ დიდი ხნის განმავლობაში ჩვენს ქვეყანაში ერთი სარაგბო სტადიონიც არ იყო, 2021 წელს კი საქართველოს რაგბის კავშირმა, რომელიც 60 წლის წინ დაფუძნდა, 100 ახალი მოედნის პროგრამა წამოიწყო.

ქართულ რაგბს ბევრი ნიშანსვეტი ჰქონია. შესაძლოა, ეს მოვლენაც ასეთად მივიჩნიოთ: დღეს გამოდის ქართული ვერსია საერთაშორისო ჟურნალისა **RUGBY WORLD GEORGIA**, რომელსაც ასევე 60 წლის ისტორია აქვს. RW

---

➡ We used to learn any information about our favorite game, but Rugby was a secondary sport beyond the Iron Curtain.

But times have changed and the work of enthusiasts has paid off.

The Georgian national team played for the first time in 1989, and today our national team has 250 matches and 5 World Cups.

For a long time there was not a single rugby stadium here, and in 2021 the Georgian Rugby Union, which was founded 60 years ago, launched a program of 100 new stadiums.

Georgian rugby had many milestones. Maybe we should consider this event as follows: today the Georgian version of the international magazine **RUGBY WORLD GEORGIA** is published, which also has a history of 60 years. RW

# საქართველოს მორ
# GEORGIA NATIONAL

საქართველოს რაგბის კავშირი
GEORGIA RUGBY UNION




საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ნაკრები 2022 წლის პირველ მატჩამდე (პორტუგალიასთან), მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე, კაპიტნის ვარჯიშის წინ

The Georgian National Rugby Team before the first match of 2022 (against Portugal) before the captain’s training at Mikheil Meskhi Stadium

# რაგბის ეროვნული ნაკრები
# RUGBY UNION TEAM



# გილოცავთ, რაგბის ქომაგებო!

ჟურნალ RUGBY WORLD-ის 60-წლიანი ისტორია საქართველოში გრძელდება. საქართველოს რაგბის კავშირის ინიციატივით, ქართული რაგბის, ასევე, 60-წლიანი ისტორიის გზამკვლევი და მემატიანე, ბეჭდური და ინტერნეტ/ციფრული გამოცემა – RUGBY WORLD GEORGIA გახდება.

ჩემთვის დიდი პატივია, ვიყო ჟურნალ RUGBY WORLD GEORGIA-ს პირველი ნომრის საპატიო მთავარი რედაქტორი და მადლობა სარედაქციო კოლეგიას მოწვევისთვის. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 60 წლის წინ, 1961 წელს დაარსებული თბილისის რაგბის სექციის პირველი ვიცეპრეზიდენტი ვიყავი, რომელიც საქართველოს რაგბის კავშირის წინამორბედი ორგანიზაცია იყო.

რაგბი მაშინ არავინ იცოდა, თუმცა ვუყურებდი რა დამწყები ახალგაზრდების ენთუზიაზმს, შინაგანად იმთავითვე ვგრძნობდი, რომ რაღაც კარგს, ქართველთათვის ორგანულს ეყრებოდა საფუძველი და ამ შეთავაზებას სიამოვნებით დავთანხმდი.

იმ პერიოდში ინგლისში მომიწია ტურნირზე გამგზავრება და იქ შევიძინე რაგბის წესების წიგნი, რომელიც შემდეგ საქართველოში ითარგმნა და ასე დაიწყო ქართული რაგბის წინსვლის უწყვეტი გზა.

მიხარია, რომ იმ თაობამ შექმნა საფუძველი იმისა, რაც დღეს ასეთი წარმატებულია და ამ ამბავში მოკრძალებული წვლილი მიმიძღვის.

ბრიტანულ ჟურნალ RUGBY WORLD-ის ორენოვანი – ქართულ-ინგლისური ვერსია ჩვენს ქვეყანასა და მსოფლიო რაგბში მიმდინარე მოვლენებს გაგაცნობთ. გამოცემის ყოველ ნომერში რაგბის განვითარებისთვის საჭირო სამ ძირითად შეკითხვას გაეცემა პასუხი: ***სად ვიყავით? სად ვართ? და სად მივდივართ?***

ასევე, გექნებათ საშუალება ჟურნალი ციფრულ ფორმატში იხილოთ და საზღვარგარეთ მყოფმა საქართველოს ქომაგებმა მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში გამოიწეროთ.

ვებგვერდის www.rugbyworld.ge და ონლაინპლატფორმების საშუალებით, რაგბის აქტუალურ თემებს ჩვენი ახალგაზრდა, ნიჭიერი სპორტული ჟურნალისტების გუნდი უფრო ვრცელ ფორმატში გაშლის და მათ ვებგვერდის მთავარი რედაქტორი – ელენე ლომსაძე უხელმძღვანელებს.

ჩვენ შემოგთავაზებთ ინტერვიუებს ცნობილ მორაგბეებთან, ავტორიტეტული სპეციალისტების, მწვრთნელებისა და მსაჯების ანალიტიკურ სტატიებს, მიიღებთ საინტერესო რჩევებს გამოცდილი მენეჯერებისგან და მთლიანობაში, აიმაღლებთ სარაგბო განათლებას, რაც უფრო მეტად დაგვაახლოებს ელიტარულ სარაგბო ქვეყნებთან.

**მწამს, ჩვენ ერთად მივაღწევთ დიდ წარმატებებს!**



**ნონა გაფრინდაშვილი**
ჭადრაკის საერთაშორისო დიდოსტატი
ქალთა და ვაჟთა შორის,
საპატიო მთავარი რედაქტორი

**NONA GAPRINDASHVILI**
INTERNATIONAL GRANDMASTER OF CHESS
AMONG WOMEN AND MEN,
HONORARY EDITOR-IN-CHIEF



# CONGRATULATIONS RUGBY FANS!

The history of the RUGBY WORLD magazine that counts 60 years is continuing in Georgia. Under the initiative of the Georgian Rugby Union, RUGBY WORLD GEORGIA will be a new guide and storyteller of the Georgian Rugby, which also has 60 years of history.

For me it is a great honor to be an honorary editor in chief of the first issue of the Rugby World Georgia magazine. I thank the editorial team for inviting me. It is worth noting that 60 years ago in 1961 I was the first vice president of the Tbilisi Rugby Section, which was a predecessor of the Georgian Rugby Union.

Nobody knew what rugby was back then. But looking at the enthusiasm of young rugby players I felt that something good, something very Georgian was being created and I happily took up the job.

At that time, I traveled to England to a tournament and there I bought a book of rugby rules that was then translated in Georgia and was one of the first bricks in the development of the Georgian Rugby.

I am happy that my generation laid the foundation for something that is so successful today. Having a modest contribution to this great undertaking makes me proud.

The Georgian version of the British magazine RUGBY WORLD will be bilingual – Georgian-English and will tell its readers rugby news from Georgia and the world. Every issue of the magazine will attempt to answer three key questions: ***where were we? Where are we now? And where do we go?***

The magazine will also be available online and those living abroad will be able to subscribe to it anywhere in the world.

Our talented and young team of sports journalists will bring you deep stories about different topical matters of rugby through the www.rugbyworld.ge and other online platforms. ELENE LOMSADZE is the editor-in-chief of the website.

We will bring you the interviews with famous rugby players, influential specialists, coaches, and referees, analytical articles, and useful tips from experienced managers. Your knowledge of rugby will grow and this is very important for getting closer to the elite rugby countries.

**I BELIEVE THAT TOGETHER WE WILL ACHIEVE GREAT SUCCESS!**


3014 meters
მთის მწვერვალზე
ცის მახლობლად
ON THE PEAK OF THE MOUNTAIN
NEAR THE SKY
#TAKECAREOFYOURPLANET
ქართული სათავგადასავლო ტურიზმის ავანგარდში
ერთადერთი თანამედროვე, ეკოლოგიური და კომფორტული სამთო „ქოხი“ კავკასიონზე
YOUR ADVENTURE DESTINATION IN GEORGIA
Modern and comfortable stay on the way to Pick of Mkinvartsveri (Kazbegi mountain 5056 masl)


4L-NAV
AWARDS
Best Adventure Tourism Award 2018
The Best 4 season Mountain Award Finalist 2019
The Most Responsible SME in Georgia Grand Prix Award Meliora 2019
Top Choice Hut in Georgia, based on Lonely Planet
9.4 Booking.com travelers rating


UN WOMEN
VK
ვიტალი კლიჩკო
VITALI KLITSCHKO
2021






3014
მეტრი ზღვის დონიდან
METERS ABOVE SEA LEVEL
ალტიჰათი 3.14, საბერწე, ყაზბეგი, საქართველო
AltiHut 3.14, Sabertse, Kazbegi, Georgia
+995 595 57 82 82 | info@altitude.ge | www.altihut.ge

საუბარი... **მერაბ შარიქაძესთან**

TALKING WITH... **MERAB SHARIKADZE**

# „მინდა ჩვენი თამაშით სკეპტიკოსები გავაჩუმოთ“

# “I want to shut doubters up with our game”

## საქართველოს მორაგბეთა ნაკრების კაპიტანი წარსულსა და მომავალზე

## CAPTAIN OF THE GEORGIAN RUGBY TEAM ABOUT THE PAST AND THE FUTURE

ტექსტი **ზურაბ ქსოვრელი** // Worlds **Zurab Qsovreli**   ფოტო **ირაკლი ტყემალაძე** // Pictures **Irakli Tkemaladze**

ნაკრებს თამაში თუ არა აქვს და მერაბ შარიქაძის ნახვა მოგინდება, „შევარდენის“ ბაზას უნდა მიაკითხო. თამამად შეიძლება ითქვას, რომ 28 წლის მორაგბეს შეგნებული ცხოვრების მესამედი სწორედ ამ ბაზაზე აქვს გატარებული.

ჯერ კიდევ ყველასათვის უცნობი ახალგაზრდა, რომელიც ინგლისში, ჰართპურის კოლეჯში სწავლობდა, თავიდან საქართველოს შვიდკაცა ნაკრებში, 2012 წლიდან კი ბორჯღალოსნებში გამოჩნდა. მაშინ ის მხოლოდ 18 წლის იყო, თუმცა რაგბზე უზომოდ შეყვარებულმა შარიქაძემ სწრაფად შეძლო გუნდში ადგილის დამკვიდრება და 2013 წელს იმჟამად მსოფლიო რეიტინგის მოწინავე ათეულში მყოფ სამოასთან ისტორიული გამარჯვებისას (16:15) ქართველთაგან ერთადერთი ლელო გაიტანა.

მას შემდეგ „ბუკას“ ავტორიტეტი ყოველდღიურად იზრდებოდა და 2014 წლის თბილისის თასზე პირველად უკაპიტნა ბორჯღალოსნებს. დღეს მის ანგარიშზე 83 კეპია (13 ლელო), აქედან 35 კაპიტნის რანგში! ამ მაჩვენებლით ის ბორჯღალოსნებში მესამე ადგილზეა და 2 თამაშით ჩამორჩება ილია ზედგინიძეს, 4-ით კი ირაკლი აბუსერიძეს, და თუ გარემო პირობები ხელს არ შეუშლის (ტრავმები, პანდემია), დიდი ალბათობით 2022 წელს პირველ ადგილზეც გადავა.

იყო ერთი ასეთი მომენტი, როდესაც მოედანზე შარიქაძე კაპიტანი იყო, მის მხარდამხარ კი მსოფლიო რაგბის ლეგენდა – მამუკა გორგოძე თამაშობდა, რომელსაც მანამდე ნაკრებისთვის 13-ჯერ უკაპიტნია. ეს 2019 წლის მსოფლიო თასზე, იაპონიაში მოხდა. ეს მომენტი მერაბ შარიქაძეს გარკვეულ უხერხულობას უქმნის: „ასეთ რამეს სიზმარშიც ვერ ➡

---

If neither the national team nor Black Lion have a match, but you wish to see Merab Sharikadze, you should visit Shevardeni Rugby Stadium. It is safe to say that the 28-year-old rugby player has spent a third of his adult life exactly there.

A young guy, by that time still unknown to everyone, who had studied at Hartpury College in England, he first appeared in the Georgia national sevens team, and since 2012 has been wearing the Lelo jersey. Back then, he was only 18. But, madly in love with rugby, Sharikadze quickly established himself in the national team and in 2013, in the historic win over Samoa (16:15) which was then in the top ten of the World Rugby Rankings, scored the only Georgian try.

Thereafter, Buka's authority grew daily, and at the 2014 IRB Tbilisi Cup he captained the Lelos for the first time. To date, he has 83 caps (and 13 tries), 35 of which he has earned as skipper! In terms of the number of caps as a captain, he ranks third, lagging behind Ilia Zedginidze by 2 matches, and Irakli Abuseridze by 4, and if nothing (injuries or pandemic) prevents him, with a high probability he will come out on top in 2022.

There was a time when Sharikadze wore a captain's ➡

### მონაცემები PROFILE

**ასაკი/Age**: 28
**კლუბი/Club**: შავი ლომი/ Black Lion
**პოზიცია/Position**: შუამარბი/Centre
**წონა/Weight**: 97
**სიმაღლე/Height**: 184

დღეს შარიქაძის ანგარიშზე 80 კეპია (12 ლელო), აქედან 32 კაპიტნის რანგში

To date, he has 80 caps (and 12 tries), 32 of which he has earned as skipper



წარმოვიდგენდი და თავს უხერხულად ვგრძნობდი, ძალიან მერიდებოდა. მოხარული ვიქნებოდი ეს წნეხი თუ მომეხსნებოდა და მამუკას რამდენიმეჯერ ვთხოვე გუნდის კაპიტნობა ეთავა, მაგრამ მკაცრი უარი მივიღე“.

## მუდამ გამარჯვებული

უკვე აღვნიშნეთ, რომ მერაბ შარიქაძის სანაკრებო დებიუტი 2012 წელს, რაგბი ევროპის ჩემპიონატის პირველ ტურში ესპანეთთან შედგა და ის თამაში მასპინძლებმა მოიგეს. მიუხედავად ამისა, მაშინ ბორჯღალოსნები საბოლოოდ მაინც პირველ ადგილზე გავიდნენ და მას შემდეგ ცხრიდან რვა ტიტული მოიგეს (2017 წლის გარდა).

„აუცილებლად უნდა ვთქვა, რომ ტურნირის მოგება გარანტირებული არასდროს გვაქვს. მაგალითად, წინა წელს ყველა შეხვედრაში ბრძოლა მოგვიწია“.

ეს არცაა გასაკვირი, რადგან 2021-2022 წლების რაგბი ევროპის ჩემპიონატი, 2023 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპიცაა და ყველა ცდილობს მაქსიმალურად დაიხარჯოს, მით უმეტეს ლიდერთან. თუმცა საფრანგეთის საგზური საქართველოსთვის ხელის გაწვდენაზეა.

„მინდა ჩვენი თამაშით სკეპტიკოსები გავაჩუმოთ და ვისაც ვუყვარვართ და ნებისმიერ შემთხვევაში მხარში გვიდგას, სიხარულისგან მეცხრე ცაზე ავიყვანოთ!“

ამისათვის აუცილებელია, მსოფლიო თასამდე გუნდმა რაც შეიძლება მეტი მაღალი დონის შეხვედრა ჩაატაროს და ამ მხრივ 2021 წელი გამორჩეული იყო. ბორჯღალოსნები ზაფხულში სამხრეთ აფრიკაში, მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონ „სპრინბოკთან“ ორმატჩიანი ტესტ-სერიისთვის გაემგზავრნენ: „ვიცოდით, რომ ფინალის მოგების შემდეგ თავისთვის პირველ მატჩში, სამხრეთ აფრიკა მოტივირებული დაგვიხვდებოდა, მით უმეტეს, რომ ჩვენ შემდეგ ბრიტანელ და ირლანდიელ ლომებთან უნდა ეთამაშათ. მას მერე, რაც გაირკვა, რომ მსოფლიო ჩემპიონთან უნდა გვეთამაშა, ყველა მორაგბის ქვეცნობიერში ეს შეხვედრა ტრიალებდა“.

წლის განმავლობაში საქართველოს ნაკრების მიერ ჩატარებული თამაშების დონეებს შორის დიდი სხვაობაა და ალბათ ძნელია, ნიდერლანდებთან და სამხრეთ აფრიკასთან მატჩის წინ ერთნაირი მოტივაცია შეიქმნა, თუმცა შარიქაძე ასე არ ფიქრობს: „გერმანიასთან და საფრანგეთთან რა თქმა უნდა ერთნაირი მოტივაცია შესაძლოა ვერ შეიქმნა, რადგან იცი, გერმანიასთან აუცილებლად მოიგებ, მაგრამ გარკვეული ეტაპის შემდეგ განსხვავება აღარაა. სხვაობაა მხოლოდ სტრატეგიასა და დეტალებში — სხვა რამეს უმზადებ რუმინეთს, რუსეთს,

**„ფიჯი ძალიან ძლიერი გუნდია და მასთან როგორც მოგება, ასევე წაგება შეიძლებოდა“**

ფოტო/Pictures Georgian Rugby



სამხრეთ აფრიკა-საქართველო (40-9)
20 ივლისი, 2021
South Africa-Georgia (40-9)
2 July, 2021



ნიკოლა მატავალუსთან ერთად, 19 ნოემბერი 2021
არანხუესის სამეფო სასახლე, ესპანეთი
With Nikola Matawalu, 19 November 2021
Palacio Real de Aranjuez, Spain

ფოტო/Pictures Georgian Rugby

armband, and next to him played the legend of world rugby Mamuka Gorgodze, who himself had been the captain of the national team 13 times. It happened at the 2019 Rugby World Cup in Japan. Sharikadze still feels uncomfortable about this: "I could not imagine such a thing even in dream, and I was kind of embarrassed. I would have been glad if I had been relieved of this burden, and I asked him several times to accept the captaincy, but each time I received a stern refusal from him. It was felt that he would rather die than go for it. Through this he showed his respect!"

## ALWAYS VICTORIOUS

We have already mentioned that Merab Sharikadze made his national team debut



საფრანგეთი-საქართველო (41-15)
14 ნოემბერი, 2021
France-Georgia (41-15)
14 November, 2021

ფოტო/Pictures **Midi Olympic**

ესპანეთს და სხვას – სამხრეთ აფრიკასა და საფრანგეთს, მოტივაცია კი ყველა შემთხვევაში ერთნაირია და ჰიმნზე რომ დგახარ, ეს განწყობა მაქსიმუმზე ადის – თანაბრად ხარ მზად თავის გასაწირად რუმინეთთანაც და სამხრეთ აფრიკასთანაც“.

## ბრძოლა სიცოცხლისთვის

მსოფლიოს ჩემპიონთან მეორე მატჩისა და შოტლანდიის მასპინძლობის ნაცვლად, რასაც ქართველი მორაგბეები და გულშემატკივრები მოუთმენლად ელოდნენ, სამხრეთაფრიკული ტურნე ლამის ტრაგიკულად დასრულდა.

ნაკრების რამდენიმე მორაგბეს და სტაფის წევრს კორონავირუსი დაუდგინდა, მათ შორის მთავარ მწვრთნელ ლევან მაისაშვილს. პირველ დღეებში სიტუაცია კონტროლს ექვემდებარებოდა, მერე კი მდგომარეობა გართულდა.

„ერთ დღეს გავიგეთ, რომ ლევანის ჯანმრთელობის მდგომარეობა დამძიმდა და სიმძიმის ხარისხი ყოველდღე იზრდებოდა. ბოლოს გვითხრეს, რომ ის მართვითი სუნთქვის აპარატზე შეაერთეს.

საბოლოოდ, მოხდა ის, რასაც ყველა ველოდით: აეროპორტში რომ დავხვდით, ლევანი ძალიან სუსტად იყო და ვფიქრობდით – ის საწვრთნელ პროცესს ➡

**“Fiji is a very strong team, and on the day we could either win or lose against them”**


ფოტო/Pictures **Martin Seras Lima**

in 2012 against Spain in the first round of the Rugby Europe Championship (REC), then branded as European Nations Cup (ENC). The hosts won that match. But, despite this, the Lelos eventually finished on top and then won the title 8 times out of 9 (bar 2017).

“Although I must say that the victory in the REC is never guaranteed. For example, last year we had to fight in every game”.

It is no wonder, since 2021-22 REC – via 2 year total – is at the same time a qualifying round for the 2023 Rugby World Cup and each team tries their best on the field, especially against the favourite. The ticket to the Worlds, which will take place in France, is at arm's length from Georgia.

“I want us to be able to silence the skeptics, and raise those – who love and support us in all circumstances – to the seventh heaven”.

This requires as many top-level matches as possible before the Worlds, and 2021 was a truly exceptional year in this respect. In the summer, the Lelos traveled to South Africa to play two-test series against the reigning World champions, Springboks: “We knew that in their first match after raising the World Cup, South Africa would have met us very motivated, the more so that after us they had to play against British and Irish Lions. We knew who our opponents were and were really preparing for a war. After it had been announced that we were to face the World champions, this match was spinning in the subconscious of every player. And we did a lot of good things in that match”.

There is a big difference between the level of matches played by Georgia during a season, and it is probably difficult to get equally psyched up for games against Netherlands and South Africa. But Sharikadze does not think so: “Of course, you cannot approach matches against Germany



and France with the same attitude, because you know that you will definitely beat the former. But after some stages there is no difference at all. The difference is only in strategy and details - you prepare some things for Romania, Russia and Spain, and others for South Africa and France, but the motivation is the same in every case. And when you stand on the pitch during the anthem, that mood peaks, and you are equally willing to sacrifice yourself, whether you oppose Romania or South Africa”.

## FIGHT FOR LIFE

Instead of the second test with the World champions and then hosting Scotland, ➡

რამდენიმე თვე ვერ დაუბრუნდებოდა, მაგრამ მთავარი იყო, რომ გადარჩა და ამაზე არავინ ფიქრობდა. ამ ადამიანმა პრაქტიკულად შეუძლებელი შეძლო, ურთულესი მდგომარეობიდან გამოძვრა, თან სრულფასოვანი აღდგენაც არ გაუვლია, სამუშაო პროცესში ჩაერთო. აფრიკიდან დაბრუნების შემდეგ, მან უმეტესი დრო „შავი ლომისა“ და ნაკრების შეკრებებზე გაატარა, შინ პრაქტიკულად არც ყოფილა“.

## არასტანდარტული ფიჯი

წლის ბოლოს საქართველო უკანასკნელი პერიოდის ერთ-ერთ მთავარ კონკურენტს – ფიჯის დაუპირისპირდა. სამწუხაროდ, „კოვიდის“ გამო თამაში ესპანეთში გაიმართა. კუნძულელებს, რომელთანაც 2019 წლის მსოფლიო თასის და 2020 წლის „შემოდგომის ერთა თასის“ ანგარიშები გვაქვს გასასწორებელი, ბრძოლითა და თავდადებით გამარჯვება არ დავანებეთ – 15:15.

აღსანიშნავია, რომ ფიჯი და საქართველო 2023 წლის მსოფლიო თასზეც ერთ ჯგუფში არიან და იქნებ იქ გამოიღოს შედეგი იმ პროგრესმა, რომელიც ბოლო დროს ჩვენს გუნდში აღინიშნება.

„ფიჯი ძალიან ძლიერი გუნდია და მასთან როგორც მოგება, ასევე წაგება შეიძლებოდა. ამიტომ მიმაჩნია, რომ ამ ეტაპისთვის ფრე კარგი შედეგია. თუ გავიხსენებთ ფიჯისთან ბოლო წლების შეხვედრებს, თამაშიდან თამაშამდე პროგრესი აშკარაა და ეს სადღაც შედეგს გამოიღებს. თუმცა ყველამ უნდა გვახსოვდეს, რომ ეს არასტანდარტული ადამიანებისგან დაკომპლექტებული გუნდია, რომლებიც ღმერთმა უხვად დააჯილდოვა ფიზიკური მონაცემებით და რაგბისთვის საჭირო უნარებით. ფიჯელებს არაფრისგან შეუძლიათ ლელოს შექმნა“.

ბევრმა არ იცის, რომ შარიქაძემ ეს თამაშები მოტეხილი თითით ჩაატარა, თუმცა მისთვის ეს თავგანწირვა მხოლოდ პასუხისმგებლობის ტოლფასია: „თითი ოქტომბერში, „თელავივ ჰითთან“ მატჩში მოვიტეხე. ყველა მორაგბე რაღაცის ტკივილს უძლებს და ისე თამაშობს, ეს ჩვეულებრივი მომენტია. ეს არის პასუხისმგებლობა მწვრთნელების, ერთმანეთისა და გულშემატკივრების მიმართ. ვიცით, რომ ჯანმრთელობით ვრისკავთ, მაგრამ ისიც ვიცით, რომ არიან ადამიანები, რომლებიც ამას დაინახავენ და დააფასებენ“. RW

## „ყველა მორაგბე რაღაცის ტკივილს უძლებს და ისე თამაშობს“



ნიდერლანდები-საქართველო (10-72)
12 თებერვალი, 2022
Netherlands-Georgia (10-72)
12 February, 2022




ჯაბა ბრეგვაძე, გიორგი ცუცქირიძე, ლევან მაისაშვილი, მერაბ შარიქაძე. „ძლიერები არ ძალადობენ“ – ამ სულისკვეთებით 2021 წელს საქართველოს მორაგბეთა ეროვნულმა ნაკრებმა საკუთარ კვართზე UN Women-ის ლოგო დაიტანა.
Jaba Bregvadze, Giorgi Tsutskiridze, Levan Maisashvili, Merab Sharikadze. “The strong do not violate” – in this spirit, the Georgian national rugby team wore the UN Women logo on their jerseys.

eagerly awaited by the Georgian rugby players and aficionados, the tour to South Africa nearly ended in tragedy.

As if the precautions were strictly followed and there was no danger in sight. But one incident turned everything upside down. Several national players and staff members, including the head coach Levan Maisashvili, tested positive for COVID-19. Initially, the situation was under control, but then...

“Suddenly we learned that Levan's state became grave and worsened day by day. Finally, they said that he had been attached to the apparatus...

Eventually, what we all expected happened. When we met him in the airport, Levan was very weak and we thought that he would not return to the training process for some months. But the main thing was that he had escaped and the rest did not matter. This man did almost impossible, he got out of a grave condition and, not having undergone full-fledged rehabilitation, returned to





ფოტო/Pictures **Ian Perlich**

## "Every rugby player overcomes this or that kind of pain and plays with it"

work. After returning from Africa, he spent most of his time in training camps of the Black Lion and the national team, and was hardly at home".

### UNORTHODOX FIJI

At the end of international season, Georgia met with one of their arch-rivals in recent years - Fiji. Unfortunately, due to the pandemic, the match took place in Spain and the Lelos were unable to make use of the home advantage. Despite this, through their fight and dedication, they did not allow the islanders to win, with whom Georgia has yet to settle the score for the lost matches at the 2019 Rugby World Cup and 2020 Autumn Nations Cup.

It should be noted that Fiji and Georgia, are in the same pool at the 2023 Worlds, and, perhaps, the progress that has been observed recently in the game of the Lelos will yield results there.

"Fiji is a very strong team, and on the day we could either win or lose against them. Therefore, I think that a draw is a good outcome at this stage. If we recollect the recent encounters with them, then the progress match by match is obvious and somewhere it will take effect. But we must all remember that this is a team studded with unorthodox players, richly endowed with the physicality and skills. Before them we faced France and the World champions South Africa, but no one plays like them. Fijians can create a try out of nothing, and not only against us, but against any team".

Public do not know that Sharikadze played these matches with broken finger, but dedication for him is tantamount to responsibility: "I broke my finger in October, against Tel-Aviv Heat in RESC. But this is not unusual. Every rugby player overcomes this or that kind of pain and plays with it. This is an ordinary moment for us. We have players who have played with a broken rib, torn ligament or muscle. This is a responsibility towards coaches, each other, and fans. We know that we are risking our health, but we also know that there are people who will see and appreciate it". RW




# მსოფლიოს გარშემო რვა ისტორია

ახალი ამბების მიმოხილვა მსოფლიოს ყველა წერტილიდან

# AROUND THE WORLD EIGHT STORIES

A round-up of news from all points of the globe

ტექსტი **სარა მოკფორდი** // Worlds **Sarah Mockford**
ფოტო // Pictures **Getty Images & Inpho**

## 1 ავსტრალია Australia

სარაგბო ფესტივალი The Golden Oldies Rugby 2023 წლის 19-26 მარტს პერთში ჩატარდება. ტურნირის ორგანიზატორმა **ბრუს მაკტაგარტმა** განაცხადა: „მთელი მსოფლიოდან ველით გუნდებს, რომლებიც შემოგვიერთდებიან". / The Golden Oldies Rugby Festival will take place in Perth from 19-26 March 2023. Organiser **Bruce Mactaggart** said: "We expect to see teams from all around the world join us."





## 2 ტონგა/Tonga

„ოლ ბლექსის" ყოფილმა შუამარბმა **მალაკაი ფეკიტოამ** შემოწირულებების შეგროვება გადაწყვიტა ტონგაში მომხდარი სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებულთა დასახმარებლად. შეგახსენებთ, რომ კუნძულოვანი ქვეყანა ცუნამმა აზარალა, რომელიც წყალქვეშა ვულკანის ამოფრქვევით იყო გამოწვეული. / Former All Blacks centre **Malakai Fekitoa** launched a fundraising appeal following the damage in Tonga caused by an undersea volcano eruption that triggered tsunami waves.

## 3 სენეგალი/Senegal

სენეგალის რაგბის ფედერაცია აპირებს გააფართოოს პროექტი, რომლის მეშვეობითაც ბავშვები სარაგბო განათლებას ჯერ კიდევ 2009 წლიდან მოყოლებული იღებენ. რაგბის სახლი 7-დან 17-წლამდე ბავშვებისთვის დაკარში ფუნქციონირებს, ახლა კი, პროექტის სხვა რეგიონებში დანერგვაც იგეგმება. / *The Senegalese rugby federation is considering expanding a project that has helped educate children through rugby since 2009. The House of Rugby works with those aged seven to 17 in Dakar and similar projects could be introduced in other regions.*



## 4 აშშ/USA

აშშ-ის ქალთა ნაკრებისთვის 2021 წლის ბოლო ძალიან მძიმე გამოდგა: კანადასთან, ირლანდიასა და ინგლისთან მატჩები საერთო ჯამში 0:89 წააგეს. ახლა, აშშ-ის რაგბის კავშირის მიზანი ტალანტების მოძიება და მათი განვითარებაა, რისთვისაც 23-წლამდელთა ტურნირის ჩატარება იგეგმება. შეჯიბრი, რომელშიც 8 გუნდი მიიღებს მონაწილეობას, ივნისში აიღებს სტარტს, მონაწილეთა ვინაობა კი ამ თვეში გამოცხადდება. / The USA women's team had a disappointing end to 2021, losing to Canada, Ireland and England, the latter an 89-0 thumping. Now USA Rugby is hoping to improve talent identification and player development by introducing a national U23 competition. The inaugural eight-team tournament will take place this June, with those sides chosen to participate due to be announced this month.



## 5 იაპონია/Japan



იაპონიის რაგბის კავშირი მოლაპარაკებებს აწარმოებს ეროვნული ნაკრების რაგბი ჩემპიონშიპში ჩასართავად. იაპონიამ 2019 წლის მსოფლიო თასზე მეოთხედფინალში ითამაშა, თუმცა რეგულარული ტესტების მოსაპოვებლად კვლავაც დიდი ბრძოლა უწევს.

„ერთმნიშვნელოვნად გვჭირდება, რომელიღაც რეგულარულ ტურნირში ვითამაშოთ", – განაცხადა იაპონიის რაგბის კავშირის გენერალურმა დირექტორმა **კენსუკე ივაბუჩიმ**. / The Japan RFU is in talks for the national team to join the Rugby Championship. Japan reached the quarter-finals of RWC 2019 but have struggled for regular Tests since.

"We definitely need to be involved in regular international competition," said JRFU CEO **Kensuke Iwabuchi**.



## 6 ფიჯი/Fiji

ფიჯელი მესამეხაზელი **ალბერტ ტუისუე** მომავალი სეზონისთვის ლონდონ აირიშიდან გლოსტერში გადავა. / Fiji back-rower **Albert Tuisue** will join Gloucester from London Irish for next season.



## 7 იტალია/Italy

**ემილიანო ბერგამასკი** „ძებრე პარმას" ახალი მთავარი მწვრთნელი გახდა. არგენტინელმა კლუბი 2021-2022 წლების სეზონის ბოლომდე ჩაიბარა. / **Emiliano Bergamaschi** is the new head coach of Zebre Parma. The Argentine takes over for at least the rest of the 2021-2022 season.



## 8 სამხ. აფრიკა/SA

„ქურციკების" მხტომელმა **არ ჯი სნიმანმა** მანსტერთან კონტრაქტი 2024 წლამდე გააგრძელა. მსოფლიო თასის გამარჯვებული ტრავმებს ებრძოდა მას მერე, რაც 2020 წელს ირლანდიურ გუნდს შეუერთდა. / Springboks lock **RG Snyman** has extended his contract with Munster until 2024. The World Cup winner has struggled with injuries since joining the Irish province in 2020.

# FACTOR X ფაქტორი

ნიკა ამაშუკელი მსოფლიოს ელიტარულ მსაჯთა შორის რომ გაერია, ეს ირლანდიელ დევიდ მაქიუს დიდი დამსახურებაა. მსოფლიო რაგბის მსაჯთა მენეჯერი 2018 წლიდან ამაშუკელის პირადი მწვრთნელია. ის წლებია ინდივიდუალურად სხვა ქართველ მსაჯებთანაც მუშაობს, მიმდინარე სეზონის წინ, დიდი 10-ის მსაჯთა მენეჯერი გახდა და უნდა ველოდოთ, რომ საერთაშორისო ასპარეზზე სულ უფრო მეტი მსაჯი გამოჩნდება.


დევიდ მაქიუ, მსოფლიო რაგბის მსაჯთა მენეჯერი
David McHugh, the World Rugby Referee Manager

დევიდ მაქიუ იხსენებს, რომ ამაშუკელში წარმატებული პროფესიონალის X ფაქტორი პირველსავე შეხვედრისას დაიჭირა: „ნიკა ყოველთვის მზად არის მოისმინოს, ისწავლოს, აღიაროს შეცდომა. როდესაც მსაჯებთან ვმუშაობ, ზოგიერთ მათგანს ეტყობა X ფაქტორი. არ შემიძლია ავხსნა, რა არის ეს X ფაქტორი, მაგრამ მას ვგრძნობ.

ბოლო დროს გამაკვირვა მისი მხრიდან მოთამაშეებთან ფრანგულად კომუნიკაციამ, ძალიან გაოცებული ვიყავი, რადგან არ ველოდი. ეს გამოხატავს მის სურვილს, გააკეთოს ყველაფერი და მასთან მუშაობა სასიამოვნოა, ეს მიმარტივებს საქმეს.

ნიკამ დღემდე დიდი გზა განვლო და ახლა ვიცით, რომ უნდა იმსაჯოს ირლანდიისა და იტალიის შეხვედრა ექვს ერზე. ეს იმდენად დიდი მომენტია, სიტყვებით არ გადმოიცემა. ის პირველი ქართველია ექვს ერში და ამ მიღწევით მთელი საქართველო ამაყობს. როდესაც ფიქრობ, რომ ექვს ერზე იტალიასაც კი არ ჰყოლია მსაჯი, ხვდები, რამდენად დაუჯერებელი რამ ხდება. ნიკამ ეს დაიმსახურა წლების განმავლობაში დაგროვილი გამოცდილებითა და უნარებით. როდესაც საქმეს კარგად ასრულებ, წარმომავლობას მნიშვნელობა არ აქვს და ეს კარგი მაგალითია ყველასთვის, რადგან მათ იციან – თუ იშრომებენ, შეუძლებელი არაფერია და აუცილებლად ექნებათ შანსი.

წარმოუდგენელი მიღწევაა, იყო პირველი მეორე რანგის ქვეყნებიდან, რომელიც 6 ერზე იმსაჯებ. ნიკა იქ თავისი კომპეტენციის გამოა. ის საამაყო ადამიანია როგორც რაგბის კავშირისთვის, ისე საკუთარი ოჯახისთვის, მეგობრებისთვის და მსაჯებისთვის, რომლებთანაც ერთადაც მუშაობს“. RW

The fact that Nika Amashukeli is one of the world's elite referees is a great merit of the Irishman David McHugh. The World Rugby Referee Manager has been Amashukeli's personal trainer since 2018. He has been working individually with other Georgian referees for years as well. Before the current season, he became the manager of the Big Ten referees and we should expect more and more referees to appear in the international arena.

David McHugh recalls that he saw the X Factor of a successful professional in Amashukeli during the very first meeting: "Nika is always ready to listen, learn, and admit a mistake. When I work with referees, some of them seem to have the X factor. I can't explain what this "X factor" is, but I can feel it.

Lately I was surprised by his communication with the players in French. I was very surprised because I did not expect it. This expresses his desire to do everything possible and makes it a pleasure to work with him. It also simplifies my task.

Nika has come a long way to this day and we now know that he has to referee the match between Ireland and Italy at the Six Nations. This is such a big moment, it cannot be put into words. He's the first Georgian at the Six Nations and that's an achievement for all of Georgia to be proud of. When you realize that not even Italy has had a referee at the Six Nations, you understand how unbelievable what's happening is. Nika has earned it with years of experience and skills accumulated. When you do a job well, the background does not matter and it is a good example for everyone because they know - if they work, nothing is impossible and they will definitely have a chance.

It's an incredible achievement to be the the first of second-tier countries to referee at the Six Nations. Nika is there because of his competence. He is someone to be proud of the rugby union, as well as for his family, friends and the referees he works with". RW


მსოფლიო რაგბის 20 წლამდელთა ალაფა, 2016 წელი, ზიმბაბვე
Junior World rugby trophy, 2016, Zimbabwe

ტექსტი **მამუკა ჩიხლაძე** // Worlds **Mamuka Chikhladze** ფოტო // Pictures **Tommy Dickson**

# თაიმინგის დროა

# Time for timing

ეპიზოდი საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი ბოლო ტესტიდან. საფრანგეთის ნაკრების ლელოსთან ხუთმეტრიანი შერკინებაა. ქართველებს სწრაფად გააქვთ ბურთი და მომზადებულ კომბინაციას ათამაშებენ შეტევის გრძელ ფრთაზე: 9 ნომერი (ორივე შუამარბის ცრუ ჩარბენი) – 10 – 15 – და ტაბუცაძის (14) ლელო ალამთან!

მას შემდეგ, რაც შერკინების დროს 5-მეტრიანი ოფსაიდის წესი ამოქმედდა, ამ სტანდარტული სიტუაციიდან ბურთის მყისიერი გაშლა შეტევის ერთ-ერთი გავრცელებული მეთოდია – ასეთი მეჩხერი დაცვა თანამედროვე რაგბში არცერთ სხვა სიტუაციაში არაა. მიდი და გამოიყენე!

An episode from one of the last tests of the Georgian national team. After a scrum five meters from the French line the Lelos quickly move the ball and execute a set attacking play for the wing: scrum-half (both centers make false runs) – fly-half (10) – fullback (15) and a try by Tabutsadze (14) at the corner flag!

After a 5-meter offside rule was introduced a quick spread of the attack is one of the popular tactics because in no other situation do you have such a scarce defense in modern rugby. So, you have to take advantage of that!

When in similar situations Georgians tried to win a penalty through scrum and won games with this tactic (here I mean




დავით ზირაქაშვილი
Davit Zirakashvili



საქართველოს ნაკრები მსგავს სიტუაციაში აქამდე ძირითადად ცდილობდა შერკინებით ჯარიმის გამომუშავებას და თამაშებსაც იგებდა ამ მეთოდით (აქ უმაღლესი დონის მატჩები იგულისხმება, თორემ ერთა თასს ნებისმიერი მეთოდით ვიგებთ). მაგალითად, 2016 წლის ოკეანეთის ტრიუმფალურ ტურნეზე ჩვენი მეტოქეები თითქმის ნებისმიერ შერკინებაში ჯარიმდებოდნენ, ეს კი ქულებად იქცეოდა. შედეგი? – მოგება ტონგასთან და ფიჯისთან, ფრე სამოასთან.

მაგრამ დრო იცვლება. მეტოქეები საგანგებოდ ემზადებიან ჩვენი უძლიერესი მხარის გასანეიტრალებლად, იგონებენ ხრიკებს (2017 წელს უელსმაც არ ითაკილა ცრუ შერკინების მოთხოვნა ბოლო წუთებზე და ამით თამაში გადაარჩინა – 13:6). იცვლება მსაჯების მიდგომაც და დღეს არც ჩვენ გვყავს ვარსკვლავი ბურჯები – როგორც ზირაქაშვილი ან ნარიაშვილი თავის საუკეთესო წლებში. შესაბამისად, ჩვენც შესაცვლელი გვაქვს თამაში.

დღევანდელ რაგბში თავისუფლად სარბენი სივრცე უკიდურესად რთული შესაქმნელია და თუ შექმენი, რთულად გამოსაყენებელიც – ლელოს გასატანად ბურთი მაქსიმალურად ზუსტად უნდა გაათამაშო! ახალი ტერმინიც შემოვიდა – თაიმინგი, ანუ ყველა მოქმედების გათვლა: ყველა ნაბიჯის საჭირო ადგილას დადგმა, ➡

top level matches because the Lelos win Nations League contests anyhow). For example, in the triumphant road trip in Oceania in 2016 our opponents were penalized almost in every scrum resulting in points for the Lelos. The result was victories against Tonga and Fiji and a draw against Samoa.

But times have changed. The teams preparing to face Georgians put in an effort to neutralize our strength and come up with different tricks (in 2017 even Wales did not find it shameful to request a false scrum in the waning minutes of the contest, thus saving the game 13:6). The attitude of referees has also changed and we no more have star props like Zirakashvili or Nariashvili in their primes. Therefore, we too have to modify our game.

In modern rugby it is quite difficult to create spaces and even when created it is' hard to utilize. To score a try you must move the ball with pinpoint precision. Reflecting this a new term became popular in the world of rugby – 'timing' – meaning that

## დღევანდელ რაგბში თავისუფლად სარბენი სივრცე რთული შესაქმნელია



you have to plan and execute every play: every move and every pass on the field has to be done exactly when needed – not a fraction of a second too early or too late. If your timing is off, you will not score tries. This is required of all fifteen players be it a fullback or a prop.

Mamuka Gorgodze, the most famous Georgian rugby player, in an interview in this edition of the magazine says that to play at the top level you have to have both qualities – power and technique.

Of course, power is very important in rugby. If you cannot run into an opponent ➡

## In modern rugby it is quite difficult to create spaces

ყველა გადაცემის საჭირო დროს შესრულება – არც წამის მეასედით ადრე და არც წამის მეასედით გვიან. თუ არ გექნება თაიმინგი, ვერაფერსაც ვერ გაიტან – აქ ტექნიკურ წუნზე არცაა ლაპარაკი. და ეს მოეთხოვება თხუთმეტივე მოთამაშეს, იმის მიუხედავად, ფულბეკია თუ ბურჯი.

მამუკა გორგოძე – ყველაზე ცნობილი ქართველი მორაგბე, ჟურნალის ამავე ნომერში ამბობს, რომ უმაღლეს დონეზე სათამაშოდ ორივე საწყისი – ძალისმიერი და ტექნიკური, აუცილებელია.

რომ არ გადავამლაშოთ, რაგბში, ცხადია, ძალისმიერი საწყისი უმთავრესია. თუ არ შეგიძლია საჭირო მომენტში მეტოქეზე ბურთიანად შესკდომა, სახიფათო ბოჭვის შესრულება, ერთი სიტყვით – თავის გადადება, ეს შენი ბურთის შეგრძნება, ზუსტი თაიმინგი და ოფლოუდები გვერდით დაგრჩება, მაგრამ ზუსტად ასევე შეგვიძლია პირიქითაც ვთქვათ.

კი ბატონო, ყველა სხვა სპორტულ თამაშთან შედარებით, რაგბი ყველაზე მეტად წააგავს ხელჩართულ ბრძოლას, მაგრამ იმიტომ, რომ ასეთი ფორმა აქვს და არამც და არამც – შინაარსი. შინაარსი კი ყველა სპორტულ თამაშს ერთი აქვს: მეტოქეს უნდა აჯობო ჯანღონით, ამტანობით, ბურთაობის ტექნიკით, გუნდურობითა და ჭკუით. უნდა გააბურთაო, საბოლოო ჯამში.

ჩვენთვის კი რაგბი, უმეტეს შემთხვევაში, მარტო ომი და ბრძოლა იყო. როდესაც არჩევაზე მიდგებოდა საქმე, ქართველი მწვრთნელი თითქმის ყოველთვის არჩევდა მოთამაშეს, რომელიც ბურთთან მწყრალადაა, მაგრამ მოკვდება და შეუბოჭავს არავის დატოვებს მოედანზე. ეს სავალდებულო თვისებაა, დანარჩენი კი – სასურველია, ჰქონდეს.

მაგრამ ეს საკმარისია მხოლოდ ერთა თასის რეგულარულად მოსაგებად, ჩვენ კი უკვე გვინდა ექვს ერზე თამაში. იქ შერკინებით ვერავის მოვერევით, ისინი კი გაგვაბურთავებენ.

რა თქმა უნდა, ბოლო დროს წამოვიდა ახალი თაობა, რომელიც მოედანზე გაიზარდა და არა ხრიოკ მიწაზე ან ავტოსადგომებზე. ისინი მოვიდნენ ეროვნულ ნაკრებშიც, ეროვნული ნაკრები კი ხშირად თამაშობს კიდეც და არა მხოლოდ იბრძვის (იხილეთ ეპიზოდი საფრანგეთთან, პირველსავე აბზაცში).

მართალია, ამავე თამაშიდან საპირისპირო მაგალითის მოყვანაც შეიძლება: როცა ერთ პოზიციაზე, 8 ნომერზე, გვყავს ორი მშვენიერი მობურთალი (გორგაძე, ჯალაღონია) და ერთ-ერთი მათგანი, რომელსაც ფლანკერადაც შეუძლია დადგომა, იღებს მხოლოდ 16 სათამაშო წუთს,  არ მგონია, ეს რესურსის ოპტიმალური განაწილება იყოს. თუმცა, ეს სუბიექტური აზრია, მთავარი კი სწორედ ის



## You must outperform your opponent with your power, stamina, ball-handling, teamwork, and wit



with the ball in your hands, make a tackle or perform physically demanding tasks on the field, precise timing and offloads will be of little help. However, the exact opposite is also true.

Out of all sports, rugby is perhaps closest to a hands on fight. But this is true of its form not of its meaning. The meaning of rugby like in all sports is one: to outperform your opponent with your power, stamina, ball-handling, teamwork and wit. In short, you should outplay your opponent.

For Georgians in most cases rugby was just war and fight. When selecting players Georgian coaching staff also chose power over technique. They favored players who were not so good with ball handling but who would tackle and put down any opponent on the field. Power was considered a quality a rugby player must have, the other qualities something good to have.

But this is good enough for winning the Nations League on a regular basis but we



## მეტოქეს უნდა აჯობო ჯანღონით, ამტანობით, ბურთაობის ტექნიკით, გუნდურობითა და ჭკუით

ეპიზოდია, როდესაც ტაბუცაძემ ფრანგებს ლელო გაუტანა. მომეჩვენა, რომ მეტოქე ქართველებისგან ამას არ ელოდა.

უფრო ზოგადს თუ დავუბრუნდებით, გვაქვს 100 ახალი მოედნის პროექტი, სადაც ვარჯიშს დაიწყებს 10 000 ახალი მორაგბე. აუცილებლად გვჭირდება არანაკლებ 100 ახალი მაღალკვალიფიციური მწვრთნელიც, რომელიც აღზრდის ახალი თაობის მოთამაშეებს. ისინი საჭირო დროს ყველაფერს ისე შეასრულებენ, როგორც თამაში მოითხოვს.

იმიტომ, რომ რაგბი ინტელექტუალური ბურთიანი თამაშია და მორაგბეს არავისზე ნაკლები ჭკუა და ბურთის შეგრძნება არ მოეთხოვება. RW



have an ambition to play in the Six Nations. There you cannot win just by power, you have to be good with the ball as well.

Of course, in recent years a new generation of Georgian rugby players was raised who exercised on rugby stadiums and not on some barren fields or parking lots. They have made their way to the national team and now the Lelos often play and not just fight (like in the episode described in the beginning of this article against France).

Of course, we can point out deficiencies that we have and bring an example of not the ideal decision making from the same match: when you have two excellent ball handlers at number 8 (Gorgadze, Jalaghonia) and one of them, who can also play a flanker, only gets 16 minutes of playing time, I don't think this is an optimal management of resources. However, this is just my personal opinion. The play where Tabutsadze scored a try against France is a good example of a modern play. I had an impression that the French did not expect this from Georgians.

If we go back to more general things, we have a project to build 100 new rugby stadiums where 10,000 new rugby players will be trained. We definitely need at least 100 new highly qualified coaches as well to raise future generations of rugby players. They will do everything just as is required by the game.

Because rugby is an intellectual ball game and a rugby player needs to have just as much IQ and feel for the ball as in any other ball games. RW


canterbury
sevens women
GILBERT
canterbury
sevens women




# ნათია გავაშელი
# Natia Gavasheli

## კაპიტანი ტრადიციების ქვეყნიდან
## THE CAPTAIN FROM THE COUNTRY OF TRADITIONS

ტექსტი **ზურაბ ქსოვრელი** // Worlds **Zurab Qsovreli** ფოტო **ირაკლი ტყემალაძე** // Pictures **Irakli Tkemaladze**

ევროპისა და აზიის გასაყარზე, კავკასიონის ქედის აღმოსავლეთით მცხოვრებ ხალხს საკუთარი, დანარჩენი ერებისგან განსხვავებული კულტურა და ხედვა ჩამოუყალიბდა. ამ ხედვის ფორმირებას ბუნებრივი პირობების გარდა სამ დიდ იმპერიასთან გადარჩენისთვის გამუდმებულმა ბრძოლებმაც შეუწყო ხელი. ასე შეიქმნა ქართული, უძველესი ისტორიული მემკვიდრეობა, რომელიც საუკუნეების განმავლობაში იწრთობოდა.

აქ ვაჟებს ბავშვობიდან აჩვევდნენ მიწასთან მუშაობას, ნადირობას, და ასწავლიდნენ საბრძოლო ხელოვნებას. ქართველი კაცის გვერდით კი მუდამ იდგა ქართველი ქალი და მისდამი



განსაკუთრებული პატივისცემა აღზრდის უმნიშვნელოვანესი ნაწილი იყო.

ვინც ჩვენი ქვეყნის ისტორიას გაეცნობა, ქართველი ქალბატონების გმირობის არაერთ მაგალითს წააწყდება, მაგრამ ქართველებისთვის ქალის კულტი განსაკუთრებულია – მას არ უნდა შეეხოს არაფერი, რაც ფიზიკურ სირთულეებს უკავშირდება. ალბათ, გარკვეულწილად ამის ბრალიცაა, რომ ქვეყანაში ქალთა სპორტი დიდი წარმატებებით ვერ დაიკვეხნის.

ასეთ ფონზეც კი, მაშინ, როდესაც ქვეყანაში რაგბს თითზე ჩამოსათვლელი გოგონები თამაშობენ და იყო დრო, საერთაშორისო ტურნირებისთვის 12 მოთამაშის მოძებნაც ჭირდა, საქართველოს 7-ქალა ნაკრებმა გარკვეულ წარმატებებს მიაღწია. 2018 წელს გუნდმა რაგბი ევროპის მესამე, კონფერენც-დივიზიონი მოიგო და „ალაფაზე" აღზევდა, სადაც მეოთხე წელია თამაშობს.

გუნდს, რომელსაც ჯაბა მალაღურაძე და გიორგი მაისურაძე ავარჯიშებენ, უკვე ორი წელია ნათია გავაშელი კაპიტნობს. ➡

---

The people living south of the Caucasus range, at the junction of Europe and Asia, has developed a culture and worldview distinct from those of other nations. The formation of this worldview, in addition to natural conditions, has also been facilitated by constant wars for survival against three large empires. This is how the ancient historical heritage of Georgia, tempered over the centuries, has been created.

Here boys were accustomed from childhood to agriculture, hunting and the art of war. And there was always a Georgian woman next to a Georgian man, and a particular respect for her was one of the most important components of his upbringing.

Whoever gets acquainted with the history of our country will find numerous examples of heroism of Georgian ladies. However, the cult of woman is special for Georgians - she should not be touched by anything related to physical difficulties. Probably the fact that women's sports cannot boast of great success in our country is to some extent a result of this. Parents in Georgian families choose activities that are more suitable for girls and very rarely take them to sports, especially to those, which emphasize physical contact.

Even against such a background, when the number of girls involved in rugby in the ➡

### პროფაილი
### PROFILE

**ასაკი/Age**: 25
**ნაკრები/Team**: 7-ქალას კაპიტანი/ Women 7's Captain
**პოზიცია/Position**: 1,3
**წონა/Weight**: 68
**სიმაღლე/Height**: 173



ის სპორტზე, კერძოდ ტანვარჯიშზე 3 წლიდან დადიოდა და მას 8-9 წელი დაუთმო, შემდეგ კი ფრენბურთზე გადაერთო და 5-6 წელი სპორტის ამ სახეობაში გაატარა.

18 წლის ნათია უკვე რაგბით დაინტერესდა და თამაში რუსთავის „ხარებში“ დაიწყო.

*„რაგბზე ჩემი ძმა და დეიდაშვილი დადიოდნენ, თუმცა მე ბავშვობაში სხვა სპორტით ვიყავი გატაცებული. 6-7 წლის წინ, ჩემი თანაგუნდელი ფრენბურთიდან რაგბზე გადავიდა და ისე მოიხიბლა, მითხრა, ძალიან მაგარი სიტუაციაა და შენც აუცილებლად უნდა სცადოო. ასე, შემთხვევით მოვხვდი რუსთავის „ხარებში“, სადაც მართლა ძალიან კარგი სიტუაცია იყო და ვხვდებოდი, რომ რაგბი დღითი დღე მიყვარდებოდა“*, – იხსენებს რაგბზე მისვლის დღეებს ნათია გავაშელი.

მან მალევე აუღო ალღო ოვალურ ბურთს და საქართველოს ნაკრებშიც უხმეს, მერე კი საპასუხისმგებლო საქმე – კაპიტნობა ანდეს.

*„18 წლის ვიყავი და თავიდან ვერც ვაცნობიერებდი რას ნიშნავდა ნაკრებში დაძახება. ერთი ის იყო, რომ მიხაროდა და სასიამოვნო გარემოში აღმოვჩნდი, თუმცა მერე მივხვდი რამდენად დიდი ნაბიჯი გადავდგი. 20-22 წლის ასაკში ყველას არ ეძლევა შესაძლებლობა, ქვეყნისთვის რამე ღირებული გააკეთოს“.*

კაპიტანი წუხს, რომ ქვეყანაში ქალთა სპორტის მიმართ დამოკიდებულება ისეთი არაა, როგორსაც ისურვებდა.

*„სამწუხაროდ, საქართველოში და ზოგადად, ჩვენს რეგიონში ქალთა სპორტი პოპულარული არ არის. ამის პირველი და უმთავრესი მიზეზი, ცხადია, მენტალიტეტი და საზოგადოებაში არსებული სტიგმებია. ასევე, ქალ და მამაკაც სპორტსმენებს არ აქვთ ერთნაირად განვითარების საშუალება. მაგალითად, სახელმწიფოს მიერ სპორტისთვის გამოყოფილი ბიუჯეტის 85%-ზე მეტი მხოლოდ მამაკაც სპორტსმენებზე იხარჯება. ისიც აღსანიშნავია, რომ სპორტის სხვადასხვა ფედერაციის მიერ არჩეული განვითარების გეგმა „გენდერულად ბრმაა“ და ე.წ. „ფორმალური თანასწორობის“ იდეას ეფუძნება; ცდილობენ იმ გარემოში განვითარდნენ ქალი სპორტსმენები, რომელიც უკვე მამაკაცებისთვისაა შექმნილი და მათზეა მორგებული“.*

## მშვიდად რაგბის გარეშე?

ნათია გავაშელს სპორტთან მიმართებაში პრობლემა არასდროს ჰქონია, რადგან მის ოჯახში უმრავლესობისგან განსხვავებული ხედვები ჰქონდათ. და მაინც, გახეთქილი წარბი და ტვინის შერყევა, ან სხვა სახის დაზიანება, ხშირად ხდება ახლობლებისთვის მიზეზი, რომ ნათიას რაგბის გარეშე, „მშვიდი ცხოვრება“ ურჩიონ.

*„რაგბში, ერთი ადამიანი ვერაფერს წყვეტს და ჩემი გოგონების იმედი მაქვს, რომლებიც, ზუსტად ვიცი, მოედანზე არასდროს ნებდებიან და მუდამ ბოლომდე იბრძვიან“.*

## რაგბი ჭკვიანების თამაშია

გავაშელს კარგად ესმის, რომ ქალთა რაგბის განვითარებისთვის

country can be counted on hands, and there was a time when it was difficult to find even 12 players for international tournaments, the Georgia women's national sevens team achieved some success. In 2018, the team won the Rugby Europe Conference (Third Division) and earned promotion to the Trophy series, where it has been playing for the fourth year.

The captain of the team, coached by Jaba Malaghuradze and Giorgi Maisuradze, has been Natia Gavasheli for two years. From the age of 3, she went in for gymnastics, and devoted 9 years to it, after which she switched the sport and played volleyball for 6 years. At 18, she became interested in rugby and started playing for Kharebi of Rustavi.



"*My brother and cousin both played rugby, and I was fond of other sports. 6-7 years ago, my teammate changed volleyball for rugby and was so fascinated that she told me: there is a very cool situation there, and you should definitely try it too. Thus by accident I ended up in Kharebi, where there really was a very good atmosphere, and I began to realize that I was falling in love with rugby day after day,*" - Gavasheli recollects the beginning of her rugby career.

She thinks she was very lucky to have the opportunity to do something valuable for her country:

"*I was 18 years old, and at first I could not even understand what it meant to be called up to the national team. I was just happy to be in such a pleasant situation. But then I realized what a big step I had taken forward. Not everyone is given a chance to do something useful for their country at the age of 20-22, and in this regard, I was really lucky*".

The captain is concerned that the attitude towards women's sports in her motherland is not what she would like, and hopes that the problems will be solved in stages.

"*Unfortunately, women's sports are not popular in Georgia and in our region as a whole. The first and main reason for this is, of course, the mentality and stigmas that exist in society. Many girls are hindered by the negative attitude of people. In addition, men and women have different developmental opportunities. For example, over 85 percent of the government funding for sports is spent on men alone. It should also be noted that the development plans chosen by many sports federations are "gender blind" and are based on the idea of so-called "formal equality". They try to force women sportsmen to develop in environments that have already been created for and adjusted to men*".



მნიშვნელოვანია მოთამაშეთა რაოდენობის ზრდა, ქალთა კლუბების დაარსება და რეგულარული ჩემპიონატების გამართვა.

*„ბევრი ფიქრობს, რომ რაგბი მხოლოდ მამაკაცების თამაშია და იქ გოგონებს არაფერი ესაქმებათ, თუმცა რეალურად, ასე სულაც არაა. რაგბი ჭკვიანების თამაშია. ნაკლები კონტაქტით და ენერგიის დახარჯვით, უნდა იპოვო სივრცე, რათა შენ ან შენმა გუნდელმა გაქცევა მოახერხოს და ლელო გაიტანოს. ამისთვის ინტელექტია საჭირო და ზუსტად ვიცი – ძალიან ბევრ გოგონას რაგბის თამაში მამაკაცზე უკეთ შეუძლია“.*

ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ნათია მიიჩნევს, რომ მშობლებმა გოგონები რაგბზე უნდა ატარონ.

*„უნდა შეიქმნას ბავშვთა გუნდები, რასაც თავის მხრივ მწვრთნელების მხრიდან განსაკუთრებული ჩართულობა და აქტიურობა სჭირდება. დროთა განმავლობაში უნდა შევძლოთ შიდა ჩემპიონატის ჩატარება. უნდა შეიქმნას ასაკობრივი ნაკრებები და 7-ქალას გარდა, შედგეს 15-ქალას ნაკრები. დღეს გუნდში ყველას კარგად გვაქვს გაცნობიერებული ჩვენი მდგომარეობა და ვცდილობთ, ყველაფერს პოზიტიურად ვუყუროთ, თუმცა ვიცით, რომ საქართველოში ქალთა რაგბის განვითარებას და პროფესიად გარდაქმნას, ძალიან, ძალიან ბევრი წელი და დიდი შრომა სჭირდება“.*

*„მიუხედავად არსებული მდგომარეობისა და მწირი რესურსისა, ჩვენ გვაქვს გარკვეული წარმატებები. 2018 წელს ზედა დივიზიონში ავედით და ახლა უფრო მაღალი დონის გუნდებს ვეთამაშებით. ცოტა გაგვიჭირდა, თუმცა პროგრესი არის და დარწმუნებული ვარ, მათაც მალე დავეწევით. მე 6 წელია რაგბს ვთამაშობ, ზოგმა 3-4 წლის წინ დაიწყო რაგბის თამაში და ასეთ დროს სისტემის აწყობა რთულია, თუმცა დარწმუნებული ვარ, შევთამაშდებით და თუ შევსებაც იქნება, მომავალში კიდევ უფრო მეტი წარმატება გვექნება“.*

მოთამაშეთა რაოდენობისა და შესაბამისად, კონკურენციის ზრდა აუცილებელი რომაა, ეს 2021 წლის დეკემბერში გამოჩნდა. საქართველოს 7-ქალა ნაკრები დუბაის ძლიერ ტურნირს დაუბრუნდა, მაგრამ მწვრთნელებს 12 მოთამაშის შერჩევა მხოლოდ 13 კანდიდატიდან მოუწიათ. დუბაიში გოგონებმა ძალიან ძლიერი გუნდების წინააღმდეგ ითამაშეს და დაინახეს ის თამასა, სადამდე მისასვლელად უფრო მეტი შრომა სჭირდებათ:

„ძალიან მაღალი დონის გუნდებს შევხვდით და იმის მიუხედავად, რომ ჩემს გოგონებს ცდა და მონდომება არ დაუკლიათ, დონეებს შორის სხვაობა მკვეთრად გამოჩნდა. კარგად დავინახეთ, რომ მიზნის მისაღწევად მეტი ვარჯიში გვჭირდება, ბევრი რამ გვაქვს გასაუმჯობესებელი. ეს ტურნირი თითოეული ჩვენგანისთვის იყო უდიდესი გამოცდილება და მოტივატორი“. RW



7-ქალას მწვრთნელი ჯაბა მალაღურაძე
ჭომენ 7’s coach Jaba Malaguradze

## QUIETLY WITHOUT RUGBY?

Natia Gavasheli has never had any problems with sports, as her family had different views than the majority. And yet, cut eyebrow and concussion, or other injuries often become the reason for her close people to advise Natia to lead a “quiet life” without rugby.

*“One person can decide nothing in ball games, and especially in rugby, and I rely on my girls, as I know exactly that they never give up and always fight to the end".*

## RUGBY IS A GAME OF SMART PEOPLE

Natia is well aware that the development of women's rugby requires an increase in the number of players, creation of women's clubs and running regular championships.

*“Many think that rugby is only a men's game, and girls have nothing to do there. But in reality, this is not at all the case. Rugby is a game of smart people in which you have to find a space with the least amount of contact and energy loss, so that you or your teammate can run away with the ball and score a try. It takes intelligence, and I definitely know that many girls can play rugby better than men".*

With this in mind, Natia thinks that parents should take their girls to rugby and this will guarantee future success.

*“It is necessary to create children's teams, which, in turn, needs special involvement and activity of coaches. Over time, we must be able to run national championships. National age graded teams should be created, as well as a 15-a-side rugby national team alongside the sevens one. Nowadays, all of us in the team are well aware of the situation and try to look at everything positively. Albeit we know that it will take many, many years and hard work for the development of women's rugby and its transformation into a profession in Georgia".*

*“Despite the current situation and limited resources, we have achieved some success. In 2018, we moved up to a higher division and have been playing with the teams of higher level ever since. It was difficult at first, but there is some progress and I am sure we will catch up with them soon. I have been playing rugby already for 6 years, and somebody started to play 3-4 years ago. Given that, it is difficult to form a system. However, I am confident that we will achieve good teamwork, and if there are also replenishments, we will be even more successful".*

The need to increase the number of players, and therefore competition, became apparent in December 2021, when the Georgia national sevens team returned to the prestigious tournament in Dubai, and the coaches had to choose 12 players just out of 13 contenders. There, in UAE, the girls played against very strong opponents and saw a standard that they need much more work to achieve.

*“We faced very strong teams, and even though girls gave their best, the difference between levels was clear. We saw that we needed to train even more and improve a lot in order to reach our goal. This tournament has been a great experience and motivator for all of us".* RW



The best rugby players of the year were revealed through a fan poll organized by the Georgian Rugby Union

# THE BEST OF 202




# 1 წლის საუკეთესოები

**წლის საუკეთესო მორაგბეები საქართველოს რაგბის კავშირის მიერ ორგანიზებული გულშემატკივრების გამოკითხვის მეშვეობით გამოვლინდნენ**



„რაგბი ადამიანს სამ მთავარ კომპონენტს უყალიბებს – ათლეტიზმი, ინტელექტი და ღირსება“

“Rugby shapes three core components in a person – athleticism, intellect, and dignity”

**რამდენი წლისამ დაიწყეთ რაგბის თამაში და სად?**
რაგბის თამაში 12 წლის ასაკში, „ჯიქში“ დავიწყე.

**რატომ რაგბი?**
მიმაჩნია, რომ მამაკაცისთვის საუკეთესო სპორტია და სამ მნიშვნელოვან კომპონენტს უყალიბებს – ათლეტიზმი, ინტელექტი და ღირსება.

**რატომ დაანებეთ თამაშს თავი და დაიწყეთ მსაჯობა?**
ძალიან ბევრი ტრავმა მქონდა და მინდოდა რაიმე ფორმით დავრჩენილიყავი რაგბში.

**იყო თუ არა თქვენს კარიერაში 2021 წელი საუკეთესო?**
დიახ. 2021 წელს ავედი სამსაჯო, ელიტარულ საფეხურზე.

**რა მიზნები გაქვთ 2022 წელს?**
ვეცდები ქართული რაგბის და სამსაჯო კომიტეტის სახელი კიდევ უფრო წინ წავწიო.

**ვინ არის თქვენთვის გამორჩეული მსაჯი?**
უენ ბარნსი, ლუკ პირსი და ა.შ.

# ნიკა ამაშუკელი
# NIKA AMASHUKELI

## საუკეთესო მსაჯი
## The best referee

**At what age did you start playing rugby and where?**
I started playing rugby at the age of 12 in RC Jiki.

**Why rugby?**
I believe that it is the best sport for men. It forms three important components - athleticism, intellect, and dignity.

**Why did you quit playing and start refereeing?**
I suffered a lot of injuries - ankle, concussion ... And I wanted to stay in some form.

**Was 2021 the best year of your career?**
Yes it was, of course. However, it was in 2021 that I ascended to the top refereeing level.

**What are your goals for 2022?**
I will try to promote and popularize Georgian rugby and the Georgian refereeing committee even more.

**Who is the outstanding referee for you?**
Wayne Barnes, Luke Pierce, etc.

**რამდენი წლისამ დაიწყეთ რაგბის თამაში და სად?**
10 წლიდან სპორტში ვარ. ხობის „კოლხეთში“ ვთამაშობ.

**ოჯახში როგორ უყურებენ სპორტსმენ გოგონას?**
კარგად.

**მეგობრებს, თანატოლ ბიჭებს, როგორი დამოკიდებულება აქვთ?**
ამაყობენ, რომ საქართველოს ნაკრებში მოვხვდი.

**იყო თუ არა 2021 საუკეთესო თქვენს კარიერაში?**
დიახ, ყველაზე კარგი წელი იყო ჩემთვის.

**მომავლისთვის რა გეგმები გაქვთ?**
წინსვლა, უკეთ თამაში და შედეგების გაუმჯობესება.

**15-კაცა რაგბზე თუ გიფიქრიათ?**
დიახ! ვოცნებობ დიდი რაგბის თამაშს.

**რომელ პოზიციაზე ითამაშებდით?**
მე კარგი მორბენალი ვარ. ალბათ გარემარბად.

# მანონ საღარაძე
# MANON SAGARADZE

**საუკეთესო მორაგბე ქალი**
**The best female rugby player**

**Where did you start playing rugby, and how old were you?**
I have been in sports since I was 10. I play in FC Kolkheti.

**How do your family members perceive your sporting career?**
Well.

**What is the attitude of friends, peer boys?**
We are proud to be part of the Georgian National Team.

**Was 2021 the best in your career?**
Yes, it was the best year for me.

**What are your plans for the future?**
Going ahead, playing better, and improving results.

**Do you consider Rugby 15?**
Yes! I can say that it is my dream.

**What position would you play?**
I'm a good runner and Probably would choose to be a winger.

## „რაგბი ჩემი სამსახურია“



## “Rugby is my job”




„ამ ამბავმა უკვე ჩაიარა - წინ ახალი ეტაპი და გამოწვევებია“

“This is already past - a new stage and challenges are ahead”

**რამდენი წლისამ დაიწყეთ რაგბის თამაში და სად?**
8 წლის ვხდებოდი. რაგბის კლუბი „ხვამლი“.

**რატომ რაგბი?**
თავიდანვე ძალიან მომწონდა.

**შუალედში წყვეტა გქონდათ...**
იჯახში მეუბნებოდნენ აქცენტი სწავლაზე გამემახვილებინა.

**2021 წელი საუკეთესო იყო თქვენს კარიერაში?**
ფაქტობრივად, ყოველი სეზონი წინაზე უკეთესი იყო.

**თქვენ ვის დაასახელებდით 2021 წლის საქართველოს საუკეთესო მორაგბედ?**
ბექა საღინაძე.

**მსოფლიო მასშტაბით ვის გამოარჩევთ?**
ახალზელანდიელი უილ ჯორდანი.

**რაგბი თამაშია თუ ბრძოლა?**
როგორც ყველა ქართველისთვის, უპირველეს ყოვლისა, ბრძოლა.

# დავით ნინიაშვილი
# DAVIT NINIASHVILI

**საუკეთესო ლეგიონერი**
**The best legionnaire**

**At what age did you start playing rugby and where?**
I was 8 years old. The rugby club “Khvamli”.

**Why rugby?**
I liked this game very much from the very beginning.

**As I know, you have had some interruption in your career ...**
My family told me to focus on my school studies.

**Was 2021 the best year of your career?**
Virtually every season was better than the previous.

**Who would you name as the best rugby player of Georgia in 2021?**
Beka Saghinadze.

**Who do you single out at the international level?**
New Zealander Will Jordan.

**Is rugby more of a game or a fight?**
As for all Georgians, first of all, it is a fight.



„მქონდეს პროგრესი ყველა ასპექტში, ეს არის ყოველწლიური გეგმა“

“Having progress in all aspects is the annual plan”

# აკაკი ტაბუცაძე
# AKAKI TABUTSADZE

საუკეთესო მელელოვე
The best try scorer

**რა ასაკში დაიწყეთ რაგბის თამაში და სად?**
16 წლის ვიყავი, კლუბში „ლელო“.

**რატომ მაინცდამაინც რაგბი?**
ეს სპორტი ჩემთვის ყოველთვის საინტერესო იყო. ბავშვობიდან ვგულშემატკივრობდი საქართველოს ეროვნულ ნაკრებს და თვალს ვადევნებდი მატჩებს.

**რა გრძნობაა ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში თამაში?**
პასუხისმგებლობა, და დღემდე, ყოველი თამაშის წინ მომყვება.

**იყო თუ არა 2021 წელი საუკეთესო თქვენს კარიერაში?**
2021 წელი ნამდვილად საუკეთესო იყო ჩემს კარიერაში.

**გასულ წელს გატანილი 6 ლელოდან რომელს გამოარჩევდით და რატომ?**
საფრანგეთის წინააღმდეგ დადებულ ლელოს.

**ვის გამოარჩევდით მორაგბეებიდან, ადგილობრივი ან საერთაშორისო მასშტაბით?**
სამხრეთ აფრიკელ Cheslin Kolbe-ის.

**რაგბი – უფრო თამაშია თუ ბრძოლა?**
ვფიქრობ, რაგბი თამაშსაც მოიცავს და ბრძოლასაც.

**At what age and where did you start playing rugby?**
I started playing at the age of 16 in the club “Lelo”.

**Why rugby anyway?**
I always found this sport interesting. I've been a fan of the Georgian national team since my childhood and always watched the matches.

**What was the turning point in playing for the national team?**
I feel responsibility, which disappeared as soon as the game started.

**Was 2021 the best year of your career?**
From my point of view, 2021 was definitely the best year of my career.

**Which of the 6 tries scored last year would you point out and why?**
I would single out the try against France.

**Who would you single out as a rugby player, locally or internationally?**
The South African Cheslin Kolbe.

**Is rugby more of a game or a fight?**
I think rugby includes both, the game and the fight.



„იტალიასთან თამაშზე იმ დღის შემდეგ მეფიქრება, რაც გავიგეთ, რომ შესაძლოა ზაფხულში ვეთამაშოთ“

“I can't stop thinking about the game with Italy since the day I heard that they might come in summer”

**რამდენი წლისამ დაიწყეთ რაგბის თამაში და სად?**
9-10 წლის. რაგბს პირველად, ჩემს სკოლაში ვეზიარე.

**რატომ მაინცდამაინც რაგბი?**
რაგბში თავს თავისუფლად ვგრძნობ.

**იყო თუ არა 2021 წელი საუკეთესო თქვენს კარიერაში?**
არა, რადგან წელს გამორჩეული თამაში არ მიჩვენებია.

**წლის განმავლობაში მოხვეჭილი 70 ქულით კმაყოფილი ხართ?**
ქულები არ დამითვლია. შეიძლება მეტის მიღწევა.

**ვინ არის თქვენთვის გამორჩეული მორაგბე?**
ფინ რასელი.

**თქვენი საუკეთესო თვისება?**
საუკეთესო თვისება ალბათ შრომისმოყვარეობაა.

**რაგბი თამაშია თუ ბრძოლა?**
თამაშისას ბრძოლა გიწევს და ბრძოლასთან ერთად – თამაში.

# თედო აბჟანდაძე
# TEDO ABZHANDADZE

საუკეთესო მექულე
The best point scorer

**How old were you when you started playing rugby, and where?**
9 or 10. I first was introduced to rugby at my school.

**Why rugby anyway?**
I feel free in rugby.

**Was 2021 the best year of your career?**
No because I haven't had a distinctive performance.

**Are you satisfied with the 70 points earned during the year?**
I haven't counted the points. 70 points isn't bad.

**Who is the most outstanding rugby player to you?**
Finn Russell.

**What are your best trait?**
My best trait is probably my love for hard work. .

**Is Rugby a game or a battle?**
During the game you have to fight and during the fight you have to play.

**რამდენი წლისამ დაიწყეთ რაგბის თამაში და სად?**
7 წლიდან ვთამაშობ. რუსთავის „ხარებში“ ვარ.

**რატომ აირჩიეთ მაინცდამაინც რაგბი?**
მამაჩემი მორაგბე იყო. უფროსი ძმაც თამაშობდა და არჩევანზე არც მიფიქრია.

**კლუბში რომელ პოზიციაზე თამაშობთ?**
შუამარბი ვარ. 13 ნომერი.

**2021 წელი საუკეთესო იყო თქვენს კარიერაში?**
ალბათ. უფრო სწორად – რა თქმა უნდა, საუკეთესო იყო,

**ვინაა ყველაზე გამორჩეული მოთამაშე თქვენთვის?**
ბექა გორგოძე და იზრაელ ფოლაუ.

**თქვენი საუკეთესო თვისება, როგორც მორაგბის...**
შრომისმოყვარეობა... მიზანდასახულობა.

**15-კაცას თამაში უფრო მეტ სიამოვნებას განიჭებთ თუ შვიდკაცას?**
შვიდკაცას.

# ლევან ნარიმანიძე
# LEVAN NARIMANIDZE

## შვიდკაცა რაგბის საუკეთესო მოთამაშე
## The best player of rugby sevens

**Levan, how old were you when started playing rugby and where?**
I have been playing since I was 7 years old. Club “Kharebi”.

**Why did you choose rugby?**
My father was a rugby player, as well as my older brother. I did not even think about the choice.

**What position do you play in the club?**
I am number 13, outside center.

**Was 2021 the best year of your career?**
Probably. Or rather, of course, it was the best.

**Who is the most outstanding rugby player for you?**
Beka Gorgadze and Among Foreign.

**Shortcomings you would like to fix? As a player?**
I think I need some weight gain...

**What Do you enjoy more - playing rugby-15 or sevens?**
Sevens.



**„არჩევანი - რაგბი არადანი - წიგნების კითხვა“**

**“First choice - Rugby Second choice - Book reading”**

ტექსტი **მამუკა ჩიხლაძე** // Worlds **Mamuka Chikhladze**   ფოტო // Pictures **Georgian Rugby**

# მამუკა გორგოძე
# Mamuka Gorgodze

## „არასოდეს თქვა არასოდეს“ / “NEVER SAY NEVER”



RUGBY STAR

**დაიბადა/Born**:
14/07/1984 (37)

**მიღწევები**
**Achievements:**

- ➤ საქართველოს საუკეთესო სპორტსმენი 2011
Best sportsman of Georgia 2011
- ➤ საფრანგეთის ტოპ-14 საუკეთესო უცხოელი მორაგბე 2010/2011
Best foreign player of the French Top 14 in 2010/2011



## რაგბის ვარსკვლავი

**მამუკა გორგოძე ინტერვიუზე ზუსტად 11 საათზე მოვიდა. გარეგნულად არ შეცვლილა. ზუსტად ისე გამოიყურება, როგორც მოთამაშეობის დროს. ფორმაშია.**



**RWG რას ურჩევდით ახალგაზრდებს, რომლებიც პროფესიონალი სპორტსმენის კარიერას ირჩევენ?**

**მ.გ.** მე მაქსიმალისტი ვიყავი, თუმცა იყვნენ ადამიანები, რომლებიც ჩემზე მეტს შრომობდნენ, მაგალითად, ჯონი ვილკინსონი. ზომიერების ფარგლებში, რა თქმა უნდა, ყველაფერი შეიძლება, მაგრამ საჭიროა იცოდე, რომ კარიერის ბოლომდე თავი ამ საქმისთვის უნდა გქონდეს გადადებული. ასევე, იყვნენ მონპელიეში ჩემი თანაგუნდელები – ჯერ მამუკა მაგრაქველიძე და შემდეგ – მიშა ნარიაშვილი. შრომა და ენერგია, რომელიც სპორტში უნდა დახარჯო, არ ღირს იმად, რომ საშუალო მოთამაშე გახდე. მე, მაგალითად, არ მიღირდა. კარგი ბუნებრივი მონაცემები მქონდა, ამიტომ თავიდანვე გადავწყვიტე, რომ დაახლოებით 35 წლამდე ყველაფერი გვერდით უნდა გადამედო. როდესაც კარიერას დაასრულებ, ჯერაც ახალგაზრდა კაცი იქნები და ყველაფრის გაკეთებას მოასწრებ, რაც სპორტსმენობის დროს დაგაკლდა. რაგბში წარმატების მისაღწევად სამი რამაა მთავარი: პირველი – უნდა გქონდეს ბუნებრივი მონაცემები. უამისოდ კარგი მორაგბე შეიძლება გახდე, მაგარი კი ვერ გახდები; მეორე – ღმერთის წყალობა, გამართლება, იღბალი. ერთი მძიმე ტრავმა, და შესაძლოა ყველაფერი გვერდზე დაგრჩეს; და მესამე – ზუსტად უნდა იცოდე, რის მიღწევა გინდა და თუ გამორჩეული სპორტსმენი გინდა გახდე, ამისთვის ყველაფერი უნდა გაიღო.

**RWG ცხოვრებაში არის მომენტები, როცა შენმა არჩევანმა შენი მომავალი უნდა გადაწყვიტოს. ასეთი მომენტი ბევრი გქონდათ? ვთქვათ, არ გადასულიყავით რაგბზე, წარმოგიდგენიათ, როგორი კალათბურთელი იქნებოდით?**

**მ.გ.** კალათბურთს კარგად ვთამაშობდი. ვერ გეტყვით, რომ მაინცდამაინც NBA-ში ვიქნებოდი, თუმცა გარკვეულ დონეზე ➡

---

**Mamuka Gorgodze turned up for the interview at 11 sharp as agreed. He has not changed a bit and looks exactly the same as he looked when playing top rugby. You can tell he is in shape.**

**RWG What is your advice to young people who choose to become professional sportsmen?**

**M.G.** I was maximalist, although there were others who worked harder than I did. For example, Johny Wilkinson. You can do other things to a certain degree but you must know that for the entirety of your sports career you should dedicate yourself to it. This is how my teammates in Montpellier were: first Mamuka Magrakvelidze and then Misha Nariashvili. Work and energy that you put in sports is not worth the effort of becoming an average player. It was not worth for me. I had good natural abilities and from the very beginning I decided to put everything else aside until I was about 35 years old. I told myself that after my sports career I would still be a young man and could do everything that I could not do when being a professional sportsman. There are three things in rugby you should have to be successful: first is the talent. Without it you can become a good rugby player but not a great one. Second is luck. One serious injury and all your hard work might go to waste. Third is to know exactly what you want to achieve and if this is becoming an exceptional rugby player, then to do everything for it.

**RWG There are moments in life when the choices you make determine your future. Have you had many such moments? If you did not become a rugby player, do you think you could become a basketball player?**

**M.G.** I was good at basketball. I cannot say that I would play in the NBA but I believe I was capable of playing professionally at a certain level. I have achieved everything myself and I am happy with my career. I could not have dreamed of more. I started playing rugby late, at the age of 16, and ➡



**კლუბები/Clubs**:
„ლელო“/ Lelo
2001-2005
„მონპელიე“
Montpellier
2005-2014
„ტულონი“/Toulon
2015-2019

**საქართველოს ნაკრები**
**Georgian National Team**:
2003-2019
75 მატჩი/Matches
27 ლელო/Tries
4 მსოფლიო თასზე/4 world cup appearances (2007, 2011, 2015, 2019)
14 მატჩი/Matches ოთხჯერ დასახელდა მატჩის საუკეთესო მორაგბედ
4 times man of the match

ვითამაშებდი. მართალია, ყველაფერს ჩემი შრომით მივაღწიე, მაგრამ სადმე ტრავმა რომ მიმეღო, რაიმე სხვაგვარად მომხდარიყო, კარგად არ ამწყობოდა საქმე – ხომ ვერ გავაკეთებდი იმას, რაც გავაკეთე? პირიქით, კმაყოფილი ვარ ჩემი კარიერის და ამაზე მეტს ვერც ვინატრებდი. გვიან, 16 წლისამ დავიწყე რაგბის თამაში და მეტი რისთვის უნდა მიმეღწია? ღმერთის მადლობელი ვარ – ადამიანი უნდა აფასებდე იმას, რაც მოგეცემა.

**RWG ხომ არ ნანობთ, ტულონში გადასვლის პირველივე შანსი რომ არ გამოიყენეთ? რამეს შეცვლიდა ეს თქვენს კარიერაში?**

**მ.გ.** არა, არ ვნანობ. ტულონში თავიდან მწყინდა, რომ ცოტას მათამაშებდნენ, მაგრამ მესამე ხაზში ჰყავდათ მსოფლიო ჩემპიონი, სამხრეთაფრიკელი ჟუან სმითი, არგენტინელი ფერნანდეს-ლობე, ზელანდიელი ქრის მასოი. მათზე უკეთესიც რომ ვყოფილიყავი, ბერნარდ ლაპორტი რატომ შეცვლიდა შემადგენლობას, რომლითაც ზედიზედ ორჯერ მოიგო საფრანგეთის ჩემპიონატი და სამჯერ – ევროპის საკლუბო თასი? საერთოდ, ტულონი და მონპელიე – ცა და დედამიწაა. ტულონი დიდი სარაგბო ტრადიციების მქონე ქალაქია, მონპელიეს კი პირველი წარმატება – საფრანგეთის ჩემპიონატის ფინალში გასვლა, ჩემ დროს ჰქონდა. შეიძლება ითქვას, რომ მე ამ გუნდთან ერთად გავიზარდე და ვფიქრობ, ტულონში გადასვლის დროც ზუსტად შევარჩიე. ესეც ძალიან მნიშვნელოვანია კარიერაში – საჭირო დროს ზუსტი გადაწყვეტილების მიღება.

**RWG რომელი გორგოძე უფრო ძლიერი იყო – მეორეხაზელი, 8 ნომერი თუ ფლანკერი? სად გერჩივნათ თამაში?**

**მ.გ.** მესამე ხაზში – გინდა რვაზე და გინდა შვიდზე, მაგრამ მესამის მარქაფში ყოფნას მეორე ხაზში დაწყება და თამაში სჯობდა. საერთოდ, ჯერ მესამეში იწყებენ და კარიერის ბოლოს, როდესაც სისწრაფე აკლდებათ, მეორეში გადადიან ხოლმე, მაგრამ ჩემს შემთხვევაში პირიქით იყო – დავიწყე მეორე ხაზში, გადავედი მესამეში და კარიერის ბოლოს ორივე პოზიციაზე მაყენებდნენ. ბერნარ ლაპორტი ასე მიხსნიდა ხოლმე – მეორეში მირჩევნია, ფაქტობრივად, მეოთხე მესამეხაზელი იქნებიო.





ჟურნალ Rugby World Georgia-ს საპრეტენზაციო საღამოზე გივი მრელაშვილთან ერთად, 9 ნოემბერი 2021
At the Rugby World Georgia Magazine Presentation with Givi Mrelashvili, November 9, 2021

---

what more could I have achieved? I am grateful to the God. We should all be grateful for what we are given in life.

**RWG Do you regret of letting down the first chance of moving to Toulon? Do you think it would have changed anything in your career?**

**M.G.** No, I don't regret. At first, I did not like that I was given little playing time in Toulon. But they had such great players in the third raw: world champion Juan Smith from South Africa, Fernández Lobbe from Argentina, Chris Masoe from New Zealand. Even if I were better than them, why would Bernard Laporte change the team he won the French Top 14 twice and European Rugby Champions Cup three times with? In general, Toulon and Montpellier are worlds apart. Toulon is a city with great rugby history and traditions whereas the first success for Montpellier was when we got to the final of French Top 14. I can say that I grew with this club and I think the timing of my moving to Toulon was right. It is important to make right decisions at the right time in a professional sports career.




**RWG Which Gorgodze was strongest – in the second raw, position 8 or a flanker? Where did you like to play more?**

**M.G.** I liked to play in the third raw – be it position 8 or 7. But I would rather be in the second raw than play as a markup in the third. Usually rugby players start in the third raw and move into the second raw later in their careers as they lose speed. But in my case, it was the opposite. I started in the second raw, moved to the third and played in both positions at the end of my career. Bernard Laporte would say that he preferred to put me in the second raw and that way I would be the fourth third rawer.

**RWG Frequent fights on the field in the early stages of your career. What was it: excessive emotion, self-establishment or**

**RWG მოედანზე ხშირი ჩხუბი, კარიერის დასაწყისში, რა იყო – ზედმეტი ემოციურობა, თავის დამკვიდრება თუ საკუთარი იმიჯის შექმნა?**
მ.გ. იმიჯი რა არის? – ნიღაბია. გინდა იმაზე ძლიერ ტიპად გამოჩნდე, ვიდრე სინამდვილეში ხარ. რამდენი ხანი უნდა გაძლო? ერთ მშვენიერ დღეს ვიღაც ჩამოგგლეჯს მაგ ნიღაბს და ნამდვილი სახე გამოგიჩნდება. არა, იმიჯისთვის არაფერი გამიკეთებია. ახალგაზრდული ემოციები იყო, რომელიც თანდათან დაცხრა. ტულონში ჩხუბის დრო აღარ მქონდა, შემადგენლობაში თავის დამკვიდრება მჭირდებოდა, მაგ დროს კი უკვე ხანგრძლივი დისკვალიფიკაციები იყო. ჰო, თანაც უკვე ყველას ეშინოდა ჩემთან ჩხუბის და ვიღასთან მეჩხუბა?..
**RWG რაგბი, ცხადია, ძალისმიერი სპორტია, მაგრამ მაინც ბურთით თამაშია. თქვენ, ბუნებრივ ძალასთან, სისწრაფესთან ერთად, მშვენიერი მობურთალიც იყავით. რომელი საწყისია მთავარი რაგბში? მობურთალის თუ ათლეტის?**
მ.გ. უმაღლეს დონეზე სათამაშოდ ორივე აუცილებელია.
**RWG ხომ არ ფიქრობთ, რომ თქვენს სარაგბო იმიჯში მობურთალი გორგოძე ცოტათი უკანა პლანზე დარჩა მებრძოლ, მეომარ გორგოძეზე?**
მ.გ. არა. ზედმეტად მობურთალი მე არასდროს ვყოფილვარ. ყველაზე კარგად რაც გამოგდის, ის უნდა გააკეთო. უფრო ძალისმიერი მოთამაშე ვიყავი, ვიდრე ტექნიკური. სადაც გასანგრევი და გასაგლეჯი იყო, იქ პასი არასოდეს გამიკეთებია.
**RWG საქართველოს ნაკრებში ყველაზე დასამახსოვრებელი თამაში რომელი იყო?**
მ.გ. სადებიუტო მატჩი ესპანეთთან. შემდეგ, მოგება მსოფლიო თასზე ტონგასთან. მე ჩემი თავი გუნდურ მოთამაშედ მიმაჩნია და გუნდურად ყველაზე უკეთ ტონგასთან ვითამაშეთ, ინდივიდუალურად კი, რა თქმა უნდა საუკეთესო იყო ზელანდიასთან მატჩი იმავე მსოფლიო თასზე, 2015 წელს.
**RWG და კიდევ ერთი: მწვრთნელობაზე არ გიფიქრიათ?**
მ.გ. არა. ძალიან რთული პროფესიაა. როგორია სხვადასხვა ხასიათის 45 კაცის გაძღოლა? არ მიფიქრია, თუმცა დისციპლინის მოყვარული კაცი ვარ, რაგბიც ვიცი... იქნებ გამომსვლოდა კიდეც... მოკლედ, მწვრთნელობაზე არ მიფიქრია და არც ვფიქრობ... თუმცა... ხომ არის ასეთი გამოთქმაც: „არასოდეს თქვა არასოდეს“.









წიგნის ავტორი ზურაბ ქსოვრელი
The author of the book Zurab Qsovreli

**the creation of image?**
M.G. What is image? It is a mask. You want to portray yourself as stronger or cooler of a person than you really are. How long can you do it? One day someone will take off that mask and your real face will show. So, no, I did nothing for the image. It was youthful emotions that went away with time. I had no time for fight in Toulon, I needed to establish myself in the team. Also, by that time, fighting players would receive lengthy disqualifications. I don't think that anybody wanted to fight with me either…
**RWG Rugby is obviously a physical sport but it is a ball sport nonetheless. You were strong, fast, and handled ball well. What is more important in rugby: athleticism or ball-handling skills?**
M.G. To play at a top level you must have both.
**RWG Do you think that as a rugby player Mamuka Gorgodze the ball-handler is overshadowed by Mamuka Gorgodze the warrior?**
M.G. No. I was good with the ball: I could pass it, kick it, do offloads. But I was better carrying the ball and crushing through defense lines. You should do what you are best at. I was more of a physical player than a technical one. Where I had to crush and go through a defense, I never passed the ball.
**RWG Which one was your most memorable match in the Georgian National Team?**
M.G. My debut with Spain and win against Tonga at the World Cup. I consider myself a team player and we played best team rugby against Tonga. Individually, of course, my best game was against New Zealand at the same 2015 Rugby World Cup.
**RWG And one final question: have you thought about coaching?**
M.G. No, I have not. It is a very difficult profession. How can you lead 45 men of different characters? I have not thought about it but I love discipline and I know rugby… Who knows, maybe I can be a good coach… Anyway, I have not thought and I do not think about coaching… However, as the saying goes: "never say never".

CELEBRATING RUGBY'S RECORD BREAKERS

ტექსტი **მამუკა ჩიხლაძე** // Worlds **Mamuka Chikhladze**

ფოტო **ირაკლი ტყემალაძე** // Pictures **Irakli Tkemaladze**

# ჯანსაღი თაობა და მეტი მორაგბე

**RUGBY WORLD GEORGIA** საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტს **იოსებ ტყემალაძეს** ესაუბრა

# A HEALTHY GENERATION AND MORE RUGBY PLAYERS

**RUGBY WORLD GEORGIA** TALKED TO **IOSEB TKEMALADZE**, PRESIDENT OF THE GEORGIAN RUGBY UNION



ჟურნალის პირველი ნომრის მთავარი თემა, რა თქმა უნდა, არის დიდი პროექტი, რომლის განხორციელება 2022 წლიდან იწყება. მეტიც – 100 ახალი სარაგბო მოედნის მშენებლობა ჩვენს გამოცემაში მუდმივი თემა იქნება. გვესაუბრება საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტი, იოსებ ტყემალაძე. ➡

The project of 100 new rugby pitches is in the focus of our magazine's first edition. Moreover, implementation of this project will be one of the key topics in our future editions as well. We discussed the details with the President of the Georgian Rugby Union (GRU), Mr. Ioseb Tkemaladze. ➡

**RWG როგორ გაჩნდა 100 ახალი მოედნის იდეა?**

**ი.თ.** როდესაც რაგბის კავშირის ახალმა ხელმძღვანელობამ არსებული მდგომარეობის შესწავლა დაიწყო, ორი საკითხი გამოიკვეთა – როგორ სწრაფად მოიტანა შედეგები ფონდ „ქართუს“ მიერ აშენებულმა 13-მა ახალმა სარაგბო ბაზამ, რომელიც 27 მოედანს მოიცავს, და ასევე, პრობლემა: ეს პროექტი არ ფარავს მთელ საქართველოს და არის უამრავი გუნდი, სადაც 200-300 ბავშვი ვარჯიშობს და ელემენტარული პირობები არ გააჩნიათ.

შესაბამისად, წამოიჭრა ამ პროექტის გაფართოების საკითხი. ცხადია, მხოლოდ რაგბის კავშირი ამას ვერ აუვიდოდა



ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტსა და საქართველოს რაგბის კავშირს შორის თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა
The memorandum of cooperation was signed between Kutaisi International University and the Georgian Rugby Union

## „შეირჩევა დაახლოებით 45 ლოკაცია, სადაც აშენდება 100 ახალი მოედანი“

და დავაყენეთ საკითხი მთავრობაში. პრემიერმინისტრი სწრაფად გამოგვეხმაურა და მხარი დაგვიჭირა. საკითხს კარგად იცნობდა, იცოდა, როგორი მნიშვნელოვანი საკითხია ახალგაზრდა თაობის ჯანსაღ, სპორტულ გარემოში აღზრდა, განსაკუთრებით – რეგიონებში.

და საქმეც დაიძრა. შეიძლება ითქვას, რომ მძიმედ. ქვეყანაში არ





შეხვედრა საქართვრლოს თავდაცვის სამინიტროში
Meeting at the Ministry of Defense Of Georgia

არის სტადიონების პროექტირებისა და მშენებლობის დიდი გამოცდილება, პრობლემაა თავისუფალი მიწის ნაკვეთების გამოძებნაც – ისეთის, რომელიც შესაბამის სტანდარტში უნდა ჩაჯდეს.

**RWG საბოლოოდ დადგენილია თუ არა ახალი მოედნების ადგილმდებარეობა?**

**ი.თ.** სულ უნდა შეირჩეს დაახლოებით 45 ლოკაცია, სადაც აშენდება 100 ახალი მოედანი. ძირითადი ადგილები დადგენილია. ყველა რეგიონში ვარჩევთ ადგილებს გარკვეული კრიტერიუმების მიხედვით: სკოლასთან სიახლოვე,

**RWG How did the idea for 100 new rugby pitches emerge?**

**I.T.** When the new leadership of the Union started to study the current situation, two key findings have been outlined. First - how quickly the 13 new rugby bases established by the Cartu Foundation (27 pitches in total), brought positive results. Second – the issue referred to the fact that the project was not truly nationwide. Many rugby clubs are training 200-300 children each but do not meet basic requirements for this purpose.

Accordingly, the potential benefit from expanding this project has become obvious. Clearly, the Rugby Union has not been capable to implement the expended projects independently and we raised the issue in the Georgian Government. The Prime Minister responded quickly and supported us. He well acquainted with the issue and he knows how important it is to raise the young generation in a healthy, sporty environment, especially in the provinces.

And the process has been started. Though, It can be considered as smooth as desired. There is not widespread experience in designing and building stadiums in the country, Another challenge is to find appropriate free plots for construction.

**RWG Have you made a final decision on locations for new pitches?**

**I.T.** A total of about 45 locations should be selected where 100 new pitches will be established. Major locations are already identified. We search locations in all provinces according to certain criteria: proximity to the school, number of children. When the project is completed, we will be able to say that rugby is already well-introduced throughout Georgia ...

**RWG What is the purpose of the new project and what is the expected outcome in 10, 20 years?**

**I.T.** First and foremost, it's the healthy younger generation. Georgian adults do not have access to sports infrastructure (this is more obvious in the provinces).

Then comes the high-performance professional sport. Imagine teenagers between the ages of 10 and 20 having access to well-established pitches, training in good conditions, receiving appropriate coaching. These kids will have a greater chance to become qualified rugby players. Now, we have approximately 10,000 kids involved in rugby training. With help of new rugby pitches, this number will triple. It means we will have at least three times more choices for the national teams. Today we constantly talk about the lack of depth in certain positions of the national



წარმოიდგინეთ, რომ მოზარდი 10-დან 20-წლამდე მოემზადება ხარისხიან მოედანზე, კარგ პირობებში, კვალიფიციურ მწვრთნელთან, და დადგება კვალიფიციურ მორაგბედ. შესაბამისად, დღეს, თუ გვყავს რაგბში მოვარჯიშე 10 000 ბავშვი, ახალ მოედნებზე ეს რიცხვი გასამმაგდება და სანაკრებო არჩევანიც სულ ცოტა, სამჯერ მეტი გვექნება. დღეს მუდმივად ვლაპარაკობთ, რომ ეროვნულ ნაკრებში გარკვეულ პოზიციებზე სიღრმე გვაკლია – 100 ახალი მოედანი ამ პრობლემას მოხსნის.

**RWG ბუნებრივია, ახალ მოედნებთან ერთად დადგება მწვრთნელების მომზადებისა თუ გადამზადების საკითხი...**

**ი.ტ.** მოედნები აშენდეს, და მწვრთნელების რაოდენობითა და ხარისხით დავეწევით! შეიძლება ითქვას, რომ საკმარისი რაოდენობისა და კვალიფიკაციის მწვრთნელი გვყავს და უამრავი მორაგბე გამოთქვამს სურვილს, მწვრთნელობა შეისწავლოს.



ბავშვების სიმრავლე. როდესაც პროექტი დასრულდება, შევძლებთ თქმას, რომ რაგბი უკვე მთელ საქართველოშია განვითარებული...

**RWG რა არის ახალი პროექტის მიზანი? რას შედეგს ელით მშენებლობის დასრულებიდან 10, 20 წლის შემდეგ?**

**ი.ტ.** უპირველესად, ეს არის ახალგაზრდა თაობის სიჯანსაღე. საქართველოში მოზარდთა ორ მესამედს, განსაკუთრებით რეგიონებში, არ აქვს წვდომა სპორტულ ინფრასტრუქტურაზე.

ამის შემდეგ მოდის უკვე მაღალი მიღწევების, პროფესიული სპორტი.

## "About 45 locations should be selected where 100 new pitches will be established"

**RWG დავაზუსტოთ – პროექტის დამფინანსებელი მთლიანად სახელმწიფოა?**

**ი.ტ.** დიახ. დაზუსტების სტადიაშია, მთლიანად რა დაჯდება პროექტი და რა ფორმით დაფინანსდება. ვიცით, საიდან უნდა დავიწყოთ. რამდენიმე პრიორიტეტი გვაქვს. მაგალითად, ყაზბეგში არის „დიდი ათის" გუნდი, რომელსაც არ აქვს მოედანი; ან საგარეჯოში, პატარძეულში – ➡

---

team - 100 new pitches will solve this problem.

**RWG Apparently, a need for additional qualified coaches will arise, amid new pitches are presented…**

**I.T.** When the pitches will be established, we will ensure to provide a required number of coaches, as well as capacities for the improvement of their skills. In fact, the number of qualified coaches is already sufficient. Many rugby players want to study coaching. The Union Coaches Development Team works well.

**RWG To clarify - is the project funded entirely by the Government?**

**I.T.** Yes, now It is being clarified what the project will cost and in what form it will be funded. We know where to start and several priorities have been determined. For example, in Kazbegi there is a team performing in "didi 10" (Georgian top rugby league) which does not have a pitch; Or in Sagarejo, Patardzeuli, a first league team – with the same problem. The projecting works are underway here; One of the projects in Adjara has already passed the tender stage and the construction works are starting.

**RWG The operation of such facilities is rather costly. Who will operate these new pitches? Where will the funding come from?**



შეხვედრა საქართველოს პრემიერმინისტრ ირაკლი ღარიბაშვილთან
Meeting with the Prime Minister of Georgia Irakli Garibashvili

**I.T.** Yes, it is an expensive pleasure - field maintenance, utility costs, staff salaries and so on. Therefore, designers have the task of doing everything based on minimalist approach. We have to avoid unnecessary costs. The operation costs will be shared between the municipal governments and the Rugby Union. You know that the Cartu Foundation allocates five million GEL a year to cover the operation costs of 13 existing rugby bases. This support will be continued.

**RWG Within the framework of the project, the creation of international multi-sports training centers in resort areas (Borjomi, Racha, Bakhmaro, Adjara) is planned. Can you provide some more details?**

**I.T.** The clubs have requested to establish training camps, but there are not appropriate, well-equipped places available in Georgia. We are already a well-known rugby nation and players from other countries have a desire to train here. The same is true for football, as agreed with ➡

პირველი ლიგის გუნდი. აქ მიმდინარეობს წინასაპროექტო სამუშაოები; აჭარაში ერთ-ერთმა პროექტმა ტენდერის სტადია უკვე გაიარა და სამუშაოები იწყება.

**RWG სპორტული ბაზების ფუნქციონირებას საკმაოდ დიდი ხარჯი აქვს. პროექტის დასრულების შემდეგ დადგება საკითხი – ვის ბალანსზე იქნება სტადიონები? საიდან ექნება დაფინანსება?**

ი.თ. კი, ბატონო, სტადიონი ძვირი სიამოვნებაა – მოედნის მოვლა, კომუნალური ხარჯი, პერსონალის ხელფასი და ასე შემდეგ. ამიტომ, დამპროექტებლებს დავალება აქვთ, რომ სადაც საჭიროება არ მოითხოვს, ყველაფერი მინიმალისტური კონცეფციით გაკეთდეს – არაფერი ზედმეტი. შემდეგ მოხდება გადანაწილება: ნაწილს მუნიციპალიტეტი შეინახავს, ნაწილს – კავშირი. თქვენ იცით, რომ ფონდი „ქართუ“ წლიურად ხუთ მილიონს გამოგვიყოფს – უკვე აშენებული 13 ბაზის საექსპლუატაციო ხარჯებისთვის, და მომავალშიც დაგვეხმარება.

**RWG ახალ პროექტში გათვალისწინებულია საერთაშორისო საწვრთნელი ცენტრების შექმნა საკურორტო ადგილებზე (ბორჯომში, რაჭაში, ბახმაროში, აჭარაში), სადაც მოეწყობა მულტიფუნქციური საწვრთნელი ცენტრები სპორტის სხვადასხვა სახეობისთვის. არის უფრო ზუსტად ცნობილი ამ პროექტის შესახებ?**

ი.თ. კლუბებისგან გვაქვს მოთხოვნა, რომ მათ საწვრთნელი შეკრებები გაიარონ და ასეთი ადგილი საქართველოში არაა. ჩვენ უკვე აღიარებული სარაგბო ქვეყანა ვართ და სხვა ქვეყნებიდანაც აქვთ აქ ვარჯიშის სურვილი. იგივე შემიძლია ვთქვა ფეხბურთზე, რადგანაც მქონია ამ თემაზე საუბარი ლევან კობიაშვილთან. სპორტული ტურიზმი ჩვენი მოგონილი არ არის და მსგავსი ცენტრები საქართველოში არსებობდა – ზღვისპირეთში თუ მთიან ადგილებში.

ამ თემაზე ჩვენ გვაქვს კონსულტაცია ეკონომიკის სამინისტროსთან, რათა შევარჩიოთ შესაბამისი ადგილები ინვესტორებისთვის შესათავაზებლად. ეს ქვეყნის ეკონომიკასაც წაადგება, მორაგბეებსაც, ფეხბურთელებსაც და მოჭიდავეებსაც...

**RWG რა დროში ვარაუდობთ ახალი პროექტის საბოლოოდ დასრულებას?**

ი.თ. ვფიქრობ, დაახლოებით 7, მაქსიმუმ 10 წელიწადში.

**RWG დაბოლოს, როგორ წარმოგიდგენიათ ქართული რაგბი იმ დროისთვის, როდესაც პროექტი დასრულდება – 10 წლის შემდეგ, 6 თუ 8 ერში? პირველ დონეზე (tier 1)?**



ბრენდონ ბესტერთან (Future plc) და გივი მრელაშვილთან ერთად
With Brendon Bester (Future plc) and Givi Mrelashvili

ი.თ. ცალსახად – უნდა ვიყოთ. ჩვენ ვმუშაობთ განვითარების სტრატეგიულ გეგმაზე. იცით, რომ გამოვაცხადეთ ვაკანსია რაგბის განვითარების დირექტორის პოზიციაზე და აქ უცხოელი უნდა ჩამოვიყვანოთ, რადგანაც მსგავსი გამოცდილება საქართველოში ჯერჯერობით არავის აქვს. მასთან ერთად შევიმუშავებთ გრძელვადიან ხედვას იმის შესახებ, თუ სად უნდა ვიყოთ. ვნახოთ, როდის გაგვიღებს კარს „ექვსი ერი“, მაგრამ ამის მიუხედავად, ჩვენ ბევრი უნდა ვიშრომოთ. იმ პირობებით, რაც გვქონდა, აქამდე მოსვლაც ალოგიკური ჩანს – გაიხსენეთ, ჩვენ არცთუ დიდი ხნის წინ ჯერ რუმინეთის, შემდეგ სამოას დამარცხებაზე ვოცნებობდით და ეს უკვე მოხდა. 100 მოედანი ამისთვის შენდება, რათა სამჯერ მეტი მოთამაშე გვყავდეს, მეტი კვალიფიციური მწვრთნელი – ქართველი თუ უცხოელი, და ეს აუცილებლად მოიტანს თვისებრივად ახალ შედეგს. RW



## „დღეს თუ გვყავს რაგბში მოვარჯიშე 10 000 ბავშვი, ახალ მოედნებზე ეს რიცხვი გასამმაგდება და სანაკრებო არჩევანიც სულ ცოტა, სამჯერ მეტი გვექნება“

Levan Kobiashvili (head of the Georgian football federation). Sports tourism is not something new for us. In the past, similar centers existed in Georgia – coastal and mountain areas.

On the topic, We are consulting with the Ministry of Economy to select the appropriate areas and attract private investors. We consider this project as very useful for rugby and football players, wrestlers, and for the country's economic development as well.

**RWG When do you expect the new project to be completed?**

I.T. I think in about 7, maximum 10 years.

**RWG Finally, how do you see Georgian rugby 10 years later, by the time the project is completed – 6 or 8 nations, one of the tier-1 nations?**

I.T. Definitely - we should be. We are working on a strategic development plan. You know that we have announced a vacancy for the position of Rugby Development Director and we have to bring a foreigner here, owing to the fact that no one in Georgia has such an experience yet. Together with the new Director, we will develop a long-term vision of where we should be. Let's see when the "Six Nations" door will be opened to us, but anyway we still have to work hard. With the capacities available in the past, it seems illogical what we have achieved so far - remember, not so long ago we dreamed of defeating Romania, then Samoa, and it has already happened. We are building 100 new pitches to have three times more players, more qualified coaches - locals or foreigners, and this will definitely bring a qualitatively new result . RW

# ველური ბუნება
# WILDLIFE

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა



















ჟურნალის ბეჭდური და ელექტრონული ვერსიის ყოველკვარტალური გამოცემა

## შეინარჩუნე ველური ბუნება!

The printed and online editions of the quarterly magazine.

## PRESERVE THE WILDLIFE!

**wildlife.ge**

# 100 ახალი მოედნიდან ორი კონფლიქტურ რეგიონებთან ახლოს აშენდება

# TWO OF THE 100 NEW PITCHES WILL BE BUILT NEAR THE CONFLICT REGIONS

ტექსტი **მამუკა ჩიხლაძე** // Worlds **Mamuka Chikhladze** ფოტო // Pictures **Georgian Rugby**

**საქართველოს რაგბის კავშირმა 2022 წლიდან დაიწყო გრანდიოზული პროექტი, რომელსაც შეგვიძლია ვუწოდოთ „100 ახალი მოედანი“. აღსანიშნავია, რომ პროექტი ითვალისწინებს სპორტული ტურიზმისა და პროფესიული განათლების სფეროს განვითარებას, ორი სარაგბო კერა კი კონფლიქტურ რეგიონებთან ახლოს გაჩნდება. პროექტის თაობაზე რაგბის კავშირის რეგიონული განვითარების მენეჯერმა ᲒᲐᲘᲝᲖ ᲛᲝᲜᲘᲐᲕᲐᲛ გვიამბო.**

„პროექტს ვიწყებთ აჭარიდან, სამი ახალი სტადიონის მშენებლობით ჩაქვში, ქობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბანში და ფურტიოში (შუახევი).

ცხადია, მშენებლობა ყველგან ერთდროულად ვერ დაიწყება. გვაქვს პრიორიტეტული და პერსპექტიული მიმართულებები. პრიორიტეტულ ადგილებში უკვე გამოცხადებულია ან ცხადდება ტენდერები, რის შემდეგაც მალევე დაიწყება პროექტირება და






## „დაწყებისთანავე, ერთი სარაგბო მოედანი აშენდება ერგნეთში, მეორე სოფელ რუხში“

**Since 2022, the Georgia Rugby Union (GRU) has launched a grandiose project that could be called "100 new pitches". Note that the project provides for the development of sport tourism and vocational education. And two rugby centers will appear in the immediate vicinity of the conflict regions.**

**GRU Regional Development Manager GAIOZ MONIAVA told us about the project**:

"We are starting the project with the construction of three new stadiums in Atchara, namely, in Chakvi, Khutsubani, Kobuleti Municipality, and Purtio, Shuakhevi Municipality.

Clearly, construction cannot start everywhere at once. We have prioritized and prospective directions. For the prioritized





მშენებლობა; პერსპექტიულ პროექტებში ზუსტდება ადგილმდებარეობა, სხვადასხვა ფორმალური საკითხი. ამ პროექტის დასრულების შემდეგ, რაგბი მოიცავს საქართველოს ყველა რეგიონს. შეიძლება ითქვას – ყველა მუნიციპალიტეტსაც.

სრული მხარდაჭერა გვაქვს საქართველოს მთავრობისგან. პროექტის მთლიანი ღირებულება დაახლოებით 300 ➡

places, some tenders already have been announced. The rest will be announced soon, which will eventually lead to the design process and construction. For prospective projects, location and different formal issues are being specified. We can say that after the completion of the project, rugby will cover not only all regions of Georgia, but also all municipalities.

We have full support from the government of Georgia. The cost of the project will be somewhere around 300 million Lari. The project will be financed by the Ministry of Culture and Sports, the Ministry of Regional Development and Infrastructure, and the Municipal Development Fund.

## "Sports centers will be created at the resorts – in Tsqaltubo, Mzetamze, Borjomi, on Shaori reservoir, Ratcha, Bakhmaro"

The stadiums will be of three categories. The first category stadiums will be built in major cities and traditional rugby hotbeds. There will be one or two pitches with stands for 500 spectators, changing rooms, rooms for coaches, referees and doctors, as well as a gym. In relatively small settlements the stadium capacity will be correspondingly less, but there will be all the auxiliary facilities. Where two fields will be built, one will certainly be covered with grass.

I would like to highlight two projects. One will be implemented in Ergneti, near the so-called border. Here we are planning ➡

მილიონი ლარი იქნება. დამფინანსებლები იქნებიან: კულტურისა და სპორტის სამინისტრო, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, მუნიციპალური განვითარების ფონდი.

სტადიონები იქნება სამი სხვადასხვა კატეგორიის. პირველი დონის მოედნები მოეწყობა დიდ ქალაქებსა და რაგბის ტრადიციულ კერებში. ამ სტადიონებზე იქნება ერთი ან ორი მოედანი, ტრიბუნა 500 მაყურებელზე, გასახდელები; მწვრთნელთა, მსაჯთა და ექიმის ოთახები, ფიტნესდარბაზი. შედარებით მცირე დასახლებულ პუნქტებში ტევადობაც ნაკლებია, თუმცა სტადიონზე ყველა საჭირო სათავსო მოეწყობა. იქ, სადაც გაკეთდება ორი მოედანი, ერთი აუცილებლად იქნება მინდვრის საფარიანი.

მინდა გამოვყო ორი პროექტი: ერთი იქნება ერგნეთში, ე.წ. სასაზღვრო ზოლთან. აქ, მოედანთან ერთად დაგეგმილი გვაქვს ერთგვარი პროფესიული განათლების ცენტრის მოწყობაც, სადაც ახლომახლო სოფლების ბავშვები რაგბთან ერთად ხელობას, სხვადასხვა პროფესიასაც შეისწავლიან.

მეორე ამგვარი პროექტია აფხაზეთის ადმინისტრაციულ საზღვართან, სოფელ რუხში, სადაც დიდი საწვრთნელი ცენტრი მოეწყობა საქველმოქმედო ფონდ „ქართუს“ მხარდაჭერით. „ქართუმ“ სარაგბო ბაზების მშენებლობა 12 წლის წინ დაიწყო და ააშენა 3 უმაღლესი დონის სარაგბო ცენტრი, 13 საწვრთნელი ბაზა და 27 მოედანი. ეს პროექტი სწორედ რუხის საწვრთნელი ცენტრით დასრულდება, საბოლოო ჯამში კი 4-5 წლის შემდეგ გვექნება ასზე მეტი სარაგბო კერა საკუთარი სტადიონით, მათ შორის ისეთ ადგილებში, სადაც რაგბი





## “After the completion of the project, rugby will cover all regions of Georgia”



თელავის სარაგბო ბაზა
Telavi rugby base

to build, in addition to the pitch, a kind of a vocational education centre, where children from nearby villages will study a craft or profession along with rugby.

Another similar project will be carried out near the administrative border of Abkhazia, in the village of Rukhi, where a large training center will be organized with the support of the Charity Foundation Cartu. Cartu began construction of rugby bases 12 years ago and has built 3 HP Centers, 13 training bases and 27 stadiums. This project will come to the end precisely with the Rukhi Training Center. Ultimately, in 4-5 years, we will have over 100 rugby centers with stadiums, including places where rugby has not yet been developed. It is very important to create new centers in villages, where children will be provided with new opportunities for development.

Naturally, the question will arise about preparing coaches for new centers. The



დიდი დიღმის სარაგბო ბაზა (ლელო არენა)
Didi Dighomi Rugby Base ("Lelo Arena")



აქამდე განვითარებული არ ყოფილა. ძალიან მნიშვნელოვანია ახალი კერების შექმნა სოფლად, სადაც ბავშვებს ახალი საშუალება მიეცემათ განვითარებისთვის.

ბუნებრივია, დადგება მწვრთნელთა მომზადების საკითხიც რაგბის ახალი კერებისთვის. რაგბის კავშირის განვითარების ჯგუფი უკვე მუშაობს ამაზე. მოვიწვევთ უცხოელ სპეციალისტებსაც – მწვრთნელთა მოსამზადებლად თუ გადასამზადებლად.

პროექტში გათვალისწინებულია სპორტული ტურიზმიც. საკურორტო ადგილებში: ფოთში – მალთაყვაში, ბორჯომში – მზეთამზეში, რაჭაში – შაორის წყალსაცავზე, ახალციხეში, სავარაუდოდ, გურიაშიც (ბახმარო) უნდა მოეწყოს სპორტული ცენტრები, სადაც ჩამოვლენ და შეკრებას გაივლიან უცხოური გუნდები. ეს არ იქნება მხოლოდ სარაგბო ცენტრები – უნდა აშენდეს მულტიფუნქციური ბაზები, სადაც ვარჯიშის საშუალება სხვადასხვა სახეობის სპორტსმენებს ექნებათ. ფურტიოში დაგეგმილი გვაქვს ბავშვთა რაგბის საერთაშორისო ცენტრის მოწყობა. სოფელ შუხუთში, რომელიც ლელობურთის ფუძე ადგილია, მუზეუმის შექმნას ვგეგმავთ.

ვფიქრობ, პროექტის დასრულება დაახლოებით 2025-2026 წლებში იქნება შესაძლებელი. თითო მოედანზე საშუალოდ ასმა ბავშვმაც რომ დაიწყოს ვარჯიში, და დარწმუნებული ვარ, მეტიც იქნება, ეს ნიშნავს მინიმუმ ათიათას ახალგაზრდა მორაგბეს, სპორტსმენს; ჯანსაღი, პატრიოტული სულისკვეთებით გაზრდილ ათასობით ახალგაზრდას მთელ საქართველოში!" RW

## „ამ პროექტის დასრულების შემდეგ, რაგბი მოიცავს საქართველოს ყველა რეგიონს"

GRU Development Group has already been working on this. We will also invite foreign specialists for training or retraining.

The project envisages development of sport tourism as well. Sport centers will be created at the resorts – in Tsqaltubo, Mzetamze, Borjomi, on Shaori reservoir, Ratcha, presumably also in Bakhmaro, Guria, where foreign teams will come and hold training camps. These will not only be rugby centers, but multi-functional bases where athletes from different sports can train. We are planning to build an international children's rugby center in Purtio, and to create a museum in the village of Shukhuti, which is one of the ancient Leloburti venues.

I think it will be possible to finish the project by 2025-2026. Even if a hundred children begin to train on each field, and I am sure that their number will be even greater – this means at least ten thousand new young rugby players, athletes, young people, brought up with a true patriotic spirit throughout Geo RW



ბათუმის სარაგბო სტადიონი
Batumi rugby stadium



თელავის სარაგბო ბაზა
Telavi rugby base

# 27 სარაგბო მოედანი

# RUGBY COURTS

ტექსტი **უჩა გოგიძე** // Worlds **Ucha Gogidze** ფოტო // Pictures **Georgian Rugby**

ბოლო 11 წლის განმავლობაში საქართველოში სარაგბო ინფრასტრუქტურის მხრივ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა. საქველმოქმედო ფონდ „ქართუს" რაგბის პროგრამამ ქვეყნის თითქმის ყველა რეგიონი მოიცვა და ცამეტ ლოკაციაზე ჯამში 27 სარაგბო მოედანი, 2 სარაგბო აკადემია და 5 სასტუმრო გაკეთდა. ძველი თაობის, თუნდაც 2000-იანი წლების დასაწყისში მოთამაშე მორაგბეებისგან ხშირად გვსმენია, რომ ვარჯიში ელემენტარული პირობების გარეშე, მათ შორის ბეტონის სტადიონებზეც კი უწევდათ. მაგალითად, ჩვენი ერთ-ერთი რესპონდენტი, საქართველოს ეროვნულ ნაკრებში 92 კეპის მომხვეჭი გიორგი ნემსაძე გვიყვება, რომ 20 წლის წინ ქუთაისელ მორაგბეებს გასახდელიც არ ჰქონდათ, მოედნის შემოგარენი კი ეკალ-ბარდებით იყო დაფარული. ამავე ქალაქში 2015 წლიდან საქართველოში ყველაზე დიდი ბაზა ფუნქციონირებს 4 მოედნითა და სასტუმროთი. სარაგბო ბაზების მშენებლობა უკვე აისახა (და მომავალში მეტად უნდა აისახოს) ახალი თაობის მორაგბეების ჩამოყალიბებაზე. 2018 წელს 20-წლამდელთა მსოფლიო ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრებმა ხუთიდან სამი მატჩი მოიგო და მე-9 ადგილი დაიკავა, იმ გუნდიდან ბევრი მოთამაშე დღეს უკვე ფრანგული ტოპ 14-ის წამყვან კლუბებში ასპარეზობს.

როგორც საქველმოქმედო ფონდ „ქართუს" გამგეობის თავმჯდომარე, ბატონი ნიკოლოზ ჩხეტიანი გვეუბნება, ამ პროექტის მიზანი რაგბის პოპულარიზება, მისი მასობრიობის ზრდა ➡



„აია არენა" ქუთაისი
"Aia Arena", Kutaisi

During the last 11 years, important steps have been taken in terms of rugby infrastructure in Georgia. The Cartu Charitable Foundation's rugby program has covered almost all regions of the country and a total of 27 rugby fields, 2 rugby academies and 5 hotels have been built at thirteen locations. From the older generation rugby players, even in the early 2000's, we often hear that they had to train without basic conditions, even in concrete stadiums. For instance, one of our respondents, Giorgi Nemsadze, an earner 92 caps in the Georgian national team, tells us, that 20 years ago Kutaisian rugby players didn't even have a changing room. The surrounding area outside of the pitch was covered with thorns. In the same city, the largest base of Georgia with 4 pitches and a hotel has been operating since 2015. The construction of rugby bases has already reflected (and will have to be reflected even more in the future) on the formation of a new generation of rugby players. Georgian national team won three out of five matches at the 2018 U-20 World Cup and took the 9th place. A lot of the players from that team are already competing in the leading clubs of the French Top 14 today.

As a representative of the charity fund "Cartu", Mr. Nikoloz Chetiani tells us, that the goal of this project is to popularize rugby, make it more public and increase the popularity of a healthy lifestyle in the country based on the success and love of rugby.

"At the time when Mr. Bidzina Ivanishvili started paying attention to rugby and the Cartu Foundation started developing rugby infrastructure, there were only ??? rugby pitches in the country. At of today, there are 3 top level rugby centers, 14 training bases and 27 pitches, which were built during ➡



საქველმოქმედო ფონდ „ქართუს“ რაგბის პროგრამამ ქვეყნის თითქმის ყველა რეგიონი მოიცვა და ცამეტ ლოკაციაზე ჯამში 27 სარაგბო მოედანი, 2 სარაგბო აკადემია და 5 სასტუმრო გაკეთდა

## სტადიონები / STADIUMS

### გორის სარაგბო ბაზა

**გაიხსნა**: 2016 წელს
**მოედნები** (2): 1 ბუნებრივსაფარიანი, 1 ხელოვნურსაფარიანი
**ტევადობა**: 2500 – ძირითადი მოედანი, 500 – სათადარიგო მოედანი.
**ბიუჯეტი**: 9,671,818 ლარი
**მასპინძელი გუნდი**: „ჯიქი“

### GORI RUGBY STADIUM

**Opened**: In 2016.
**Pitches** (2): 1 natural, 1 artificial.
**Capacity**: 2500 – main pitch, 500 – spare pitch.
**Budget**: 9,671,818 GEL.
**Home team**: "Jiqi".

### ბათუმის სარაგბო ბაზა

**გაიხსნა**: 2017 წელს
**მოედნები** (2): 1 ბუნებრივსაფარიანი, 1 ხელოვნურსაფარიანი
**ტევადობა**: 5 000 – ძირითადი მოედანი, 2500 – სათადარიგო მოედანი.
**ბიუჯეტი**: 3,134,187 ლარი
**მასპინძელი გუნდი**: „ბათუმი“

### BATUMI RUGBY STADIUM

**Opened**: In 2017.
**Pitches** (2): 1 natural, 1 artificial.
**Capacity**: 5 000 – main pitch, 2500 – spare pitch.
**Budget**: 3 134 187 GEL.
**Host team**: "Batumi".

და რაგბის წარმატებასა და სიყვარულზე დაყრდნობით, ქვეყანაში ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარობის ზრდაა.

„იმ დროს, როდესაც ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა რაგბის ყურადღება მიაქცია და ფონდმა „ქართუმ“ დაიწყო სარაგბო ინფრასტრუქტურის განვითარება, ქვეყანაში საერთაშორისო სტანდარტის სარაგბო მოედანი, ფაქტობრივად, არ არსებობდა. დღეისათვის ქვეყანაში 27 მოედანი გვაქვს, რაც გასული 12 წლის განმავლობაში აშენდა და გადაეცა ქართულ რაგბის. შესაბამისად, ამ პერიოდში ქართული რაგბის პროგრესიც გაზომვადი გახდა: 2015 წლის შემდეგ დაიწყო რაგბიში ჩართული ბავშვების რაოდენობის ზრდა და 2018 წელს პიკს მიაღწია - 5674. ქვეყნის ეროვნული ნაკრები რაგბის ევროპის ჩემპიონატის ბოლო 13 გათამაშებაში 11-ჯერ გახდა გამარჯვებული.

აღსანიშნავია, რომ განხორციელებული პროექტებისთვის ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა 2014 წელს მიიღო IRB-ის (ამჟამად მსოფლიო რაგბის) განვითარების ჯილდო.

იდეა სწორად და პროდუქტიულად რომ განხორციელებულიყო, საკითხს მეტი შესწავლა და სიღრმისეული ანალიზი ესაჭიროებოდა. შესაბამისად, კომპანია „გეოგრაფიკთან“ პარტნიორობით მოხდა ქვეყნის დეტალური, გეოგრაფიული და დემოგრაფიული მდგომარეობის შესწავლა ჩვენთვის საჭირო და საინტერესო აქცენტებით; მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით და მიღებული სიტუაციის ანალიზით კი დაისახა კონკრეტული პრიორიტეტები და სამოქმედო გეგმა, რაც უკვე ცნობილ, 100 ახალი მოედნის პროექტში აისახა“.

ფონდ „ქართუს“ მიერ სარაგბო ინფრასტრუქტურის მშენებლობასა და შენახვაში დახარჯული თანხა 200 მლნ. ლარს აღწევს (მშენებლობა 130 მლნ. ლარზე მეტი, მოვლა/რეაბილიტაცია 70 მლნ-მდე). RW

**გთავაზობთ ყველა სტადიონის აღწერას** *(მოცემული თანხა მოიცავს ბაზების შენახვის ხარჯებსაც, 2021 წლის დასაწყისის მონაცემები).*

## The Cartu Charitable Foundation's rugby program has covered almost all regions of the country and a total of 27 rugby fields, 2 rugby academies and 5 hotels have been built at thirteen locations

the last 12 years and granted to Georgian rugby. Consequently, the progress of Georgian rugby became measurable during this period: The number of children has been increased by 5674. The country's national team has won 11 of the last 13 European Rugby Championships.

If the idea was implemented correctly and productively. The issue required further study and in-depth analysis. Accordingly, in partnership with the company “Geographic”, a detailed, geographical and demographic situation of the country was studied with the accents necessary and interesting to us; Based on the results obtained and the analysis of the situation, specific priorities and action plan were set, which was reflected in the already known project of 100 new pitches.”

The amount spent by the Cartu Foundation on the construction and maintenance of rugby infrastructure reaches 200 million GEL (construction - over 130 million GEL, maintenance/rehabilitation - up to 70 million GEL). RW

**Here's a detailed description of all stadiums** *(This amount includes the cost of maintaining the bases. Data for the beginning of 2021.)*

## სტადიონები / STADIUMS

**„აია არენა“ ქუთაისი**
(ყველაზე დიდი სარაგბო ბაზა საქართველოში)
**გაიხსნა**: 2015 წელს
**მოედნები** (4): 1 ბუნებრივსაფარიანი, 3 ხელოვნურსაფარიანი
**ტევადობა**: 4 860 — ძირითადი მოედანი,
1 330 — მეორე მოედანი, 751 — მესამე მოედანი.
სასტუმრო, აკადემია
**ბიუჯეტი**: ბაზა 19,464,810 ლარი
სასტუმრო — 6,541,256 ლარი
აკადემია — 3,724,347 ლარი
**მასპინძელი გუნდი**: „აია“ „არესი“

**“AIA ARENA”, KUTAISI**
(the largest rugby base in Georgia)
**Opened**: In 2015.
**Pitches** (4): 1 natural, 3 artificial.
**Capacity**: 4 860 — main pitch, 1 330 — second pitch, 751 — third pitch.
Hotel, Academy
**Budget**: base — 19 464 810 GEL
hotel — 6,541,256 GEL
Academy — 3,724,347 GEL.
**Host team**: “Aia”, “Aresi”.

# სტადიონები / STADIUMS

**„პარკი არენა“ ფოთი**
**გაიხსნა**: 2015 წელს
**მოედნები** (2): 1 ბუნებრივსაფარიანი, 1 ხელოვნურსაფარიანი
**ტევადობა**: 2500 – ძირითადი მოედანი, 500 – სათადარიგო მოედანი.
**ბიუჯეტი**: 8,926,782 ლარი; **მასპინძელი გუნდი**: „კოლხი რაინდები“

**„კავკასიონი არენა“ თელავი**
**გაიხსნა**: 2018 წელს
**მოედნები** (2): 1 ბუნებრივსაფარიანი, 1 ხელოვნურსაფარიანი
**ტევადობა**: 2000 – ძირითადი მოედანი.
**ბიუჯეტი**: 10,370,415 ლარი; **მასპინძელი გუნდი**: „ჭადარი“

**რუსთავის სარაგბო ბაზა**
**გაიხსნა**: 2013 წელს
**მოედნები** (2): 1 ბუნებრივსაფარიანი, 1 ხელოვნურსაფარიანი
**ტევადობა**: 2900 – ძირითადი მოედანი.
**ბიუჯეტი**: 11,320,004 ლარი; **მასპინძელი გუნდი**: რუსთავის „ხარები“

**ასპინძის სარაგბო ბაზა** + სასტუმრო
**გაიხსნა**: 2011-12 წწ.
**მოედნები** (1): 1 ბუნებრივსაფარიანი; **ტრიბუნის ტევადობა**: 550
**ბიუჯეტი**: 4,157,629 ლარი; **მასპინძელი გუნდი**: „ტაო“

**მარტყოფის სარაგბო ბაზა** + სასტუმრო
**გაიხსნა**: 2017 წელს
**მოედნები** (2): 1 ბუნებრივსაფარიანი, 1 ხელოვნურსაფარიანი
**ტრიბუნის ტევადობა**: 500; **ბიუჯეტი**: 8,007,013 ლარი

**შევარდენის სანაკრებო ბაზა** + სასტუმრო, სარაგბო აკადემია
**გაიხსნა**: 2011 წელს
**მოედნები** (2): 1 ბუნებრივსაფარიანი, 1 ხელოვნურსაფარიანი
**ტევადობა**: 2000;
**ბიუჯეტი**: 11,467,028 ლარი

**ავჭალის სარაგბო ბაზა**
**მოედნები** (2): 1 ბუნებრივსაფარიანი, 1 ხელოვნურსაფარიანი
**ტევადობა**: 3500; **ბიუჯეტი**: 10,812,530 ლარი
**მასპინძელი გუნდი**: „ლოკომოტივი“ „იუნკერები“

**დიღმის მასივის სარაგბო ბაზა** + სასტუმრო
**გაიხსნა**: 2018 წელს
**მოედნები** (2): 1 ბუნებრივსაფარიანი, 1 ხელოვნურსაფარიანი
**ბიუჯეტი**: 7,415, 686 ლარი; **მასპინძელი გუნდი**: „ლოკომოტივი“

**დიდი დიღმის სარაგბო ბაზა** (ლელო არენა)
**გაიხსნა**: 2015 წელს
**მოედნები** (2): 1 ბუნებრივსაფარიანი, 1 ხელოვნურსაფარიანი
**ტევადობა**: 1750; **ბიუჯეტი**: 8,698,752 ლარი
**მასპინძელი გუნდი**: „ლელო სარასენსი“

**„რაგბი პლატო“ – ნუცუბიძის სარაგბო ბაზა**
**გაიხსნა**: 2018 წელს
**მოედნები** (2): 1 ბუნებრივსაფარიანი, 1 ხელოვნურსაფარიანი
**ტევადობა**: 2070
**ბიუჯეტი**: 8,555,380 ლარი; **მასპინძელი გუნდი**: „აკადემია“ „ყოჩები“

**"PARK ARENA", POTI**
**Opened**: In 2015.
**Pitches** (2): 1 natural, 1 artificial.
**Capacity**: 2500 – main pitch, 500 – spare pitch.
**Budget**: 8 926 782 GEL**; Host team**: "Kolkhian Knights"

**"CAUCASUS ARENA", TELAVI**
**Opened**: In 2018.
**Pitches** (2): 1 natural, 1 artificial.
**Capacity**: 2000 – Main pitch.
**Budget**: 10 370 415 GEL; **Home team**: "Tchadari"

**RUSTAVI RUGBY BASE**
**Opened**: In 2013.
**Pitches** (2): 1 natural, 1 artificial.
**Capacity**: 2000 – Main pitch.
**Budget**: 11 320 004 GEL; **Host team**: Rustavi "Kharebi"

**ASPINDZA RUGBY BASE** + Hotel
**Opened**: In 2011-2012.
**Pitches** (1): 1 natural paved.
**Budget**: 4 157 629 GEL; **Home team**: "Tao"

**MARTKOPI RUGBY BASE** + Hotel
**Opened**: In 2017.
**Pitches** (2): 1 natural, 1 artificial.
**Budget**: 8 007 013 GEL.

**"SHEVARDENI" TEAM BASE** + Hotel, rugby academy
**Opened**: In 2011.
**Pitches** (2): 1 natural, 1 artificial.
**Capacity**: 2000.
**Budget**: 11 467 028 GEL; Host team: "Armazi"

**AVCHALA RUGBY BASE**
**Pitches** (2): 1 natural, 1 artificial.
**Capacity**: 3500.
**Budget**: 10 812 530 GEL; **Host team**: "Locomotive", "Yunkers"

**DIGOMI RUGBY BASE**
**Opened**: In 2018.
**Pitches** (2): 1 natural, 1 artificial.
**Budget**: 7 415 686 GEL; Host team: "Locomotive"

**DIDI DIGHOMI RUGBY BASE** ("Lelo Arena")
**Opened**: In 2015.
**Pitches** (2): 1 natural, 1 artificial.
**Budget**: 8 698 752 GEL
**Home team**: "Lelo Saracens"

**NUTSUBIDZE RUGBY BASE**
**Opened**: In 2018.
**Pitches** (2): 1 natural, 1 artificial.
**Budget**: 8 555 380 GEL
**Host team**: "Academy", "Kochebi"


CELEBRATING
RUGBY'S
RECORD
BREAKERS

ტექსტი **ზურაბ ქსოვრელი** // Worlds **Zurab Qsovreli** ფოტო **ირაკლი ტყემალაძე** // Pictures **Irakli Tkemaladze**

# დავით კაჭარავა

# DAVID KACHARAVA

## ცენტურიონი თავმჯდომარე ახალი გამგეობის შესახებ

## CENTURION CHAIRMAN ON THE NEW BOARD

დავით კაჭარავა, რომელიც ბორჯღალოსანთა კვართით ჩატარებული მატჩების რაოდენობით (122) რეკორდსმენია, ქართული რაგბის მომავლისთვის ზრუნვას რაგბის კავშირის გამგეობის თავმჯდომარის პოზიციიდან აგრძელებს.

**RWG რაგბის კავშირის პრეზიდენტად არჩევის შემდეგ, იოსებ ტყემალაძის ერთ-ერთი**

David Kacharava, who holds the record for the number of matches played (122) in the Lelos' robe, continues to care for the future of Georgian rugby from the position of chairman of the board of the Rugby Union.

**RWG One of Ioseb Tkemaladze's first initiatives after being elected president of the Rugby Union was to change the rules of staffing the board. Half of the board members were**



**პირველი ინიციატივა გამგეობის დაკომპლექტების წესის შეცვლა იყო. გამგეობის წევრთა ნახევარი მან, მეორე ნახევარი კი კლუბებმა წარადგინეს. სწორად მიგაჩნიათ ეს პრინციპი, და რატომ?**

**დ.კ.** რა თქმა უნდა, რადგან ეს უფრო დემოკრატიული გადანაწილებაა. პრეზიდენტი გამგეობის წევრთა ნახევარს წარადგენს და ეს სწორია, რადგან მას უნდა ჰქონდეს დასაყრდენი, ბერკეტი, რათა საკუთარი პოლიტიკა გაატაროს. მეორე ნახევარს კლუბები წარადგენენ და ესეც სწორია, რადგან რაგბის კავშირი კლუბების კავშირია და ეს ადამიანები მათ პოზიციას წარმოადგენენ.

**RWG ხომ არ ფიქრობთ, მომავალში კიდევ უფრო გაიზარდოს გამგეობის წევრთა რაოდენობა, რათა ბევრად მეტი კლუბის პოზიცია იყოს წარმოდგენილი?**

**დ.კ.** საკითხი ასე არ დამდგარა. გამგეობის კანდიდატთა წარდგენისას, კლუბები გაერთიანდნენ და რამდენიმე სუბიექტი ერთ კანდიდატზე შეჯერდა. ჩემს შემთხვევაში „ყოჩებმა“ და „ტაომ“ ერთობლივად წარმადგინეს. თუ მომავალში მეტი კლუბი ჩაერთვება ამ განხილვებში, ვფიქრობ, უფრო საინტერესო იქნება. რეალობა ისაა, რომ ახლანდელი გამგეობის დაკომპლექტების წესი უფრო დემოკრატიულია, ვიდრე მანამდე არსებული, როდესაც გამგეობის წევრებს მხოლოდ პრეზიდენტი წარადგენდა.



## „ქართული რაგბის ინტერესებიდან გამომდინარე ვიმოქმედებ“

**represented by him and the other half by the clubs. Do you think this principle is correct, and why?**

**D.K.** Of course, because it is a more democratic redistribution. The president nominates half of the board members, and that's right, because he has to have a foothold, a lever, to pursue his own policies. The second half will be represented by clubs and that is also true because the rugby union is a union of clubs and these people represent their position.

**RWG Do you think the number of board members will increase even more in the future to represent many more club positions?**

**D.K.** The issue did not arise that way. When nominating candidates for the board, the clubs merged and several entities agreed on one candidate. In my case, "Kochebi" and "Tao" were presented jointly. If more clubs are involved in these discussions in the future, I think it will be more interesting. The reality is that the rule of staffing the current board is more democratic than it was before, when board members were represented only by the president.

**RWG If there is an issue related to "Kochebi" or "Tao" on the board, will you act in accordance with the interests of these clubs?**

**D.K.** In any case, I will act in the interests of the common Georgian rugby, because if I do not do so, I will not be able to protect the interests of these clubs in particular. In the short run, I may help them, but overall, along with Georgian rugby, they will also suffer. This is not a question mark either, of course we should all act in the interests of Georgian rugby and not the clubs representing us.

**RWG თუ გამგეობაზე „ყოჩებთან“, ან „ტაოსთან“ დაკავშირებული საკითხი დადგება, თქვენ ამ კლუბების ინტერესების შესაბამისად იმოქმედებთ?**

**კ.ს.** ნებისმიერ შემთხვევაში საერთო, ქართული რაგბის ინტერესებიდან გამომდინარე ვიმოქმედებ, რადგან მე თუ ასე არ მოვიქცევი, კონკრეტულად ამ კლუბების ინტერესებსაც ვერ დავიცავ. მოკლევადიან პერსპექტივაში შესაძლოა მათ დახმარება გავუწიო, მაგრამ მთლიანობაში, ქართულ რაგბთან ერთად ისინიც დაზარალდებიან. აქ კითხვის ნიშანი არც არის, რა თქმა უნდა ყველამ ქართული რაგბის ინტერესებით უნდა ვიმოქმედოთ და არა წარმდგენი კლუბების.

**RWG რამდენად შეიცვალა გამგეობის მუშაობის პრინციპი მისი არჩევის ცვლილების შემდეგ?**

**დ.კ.** აქამდე გამგეობის სხდომას არასდროს დავსწრებივარ და წინა სხდომების შესახებ ვერაფერს ვიტყვი. რაც შეეხება დღევანდელ სიტუაციას, გახსნილი საუბრები გვაქვს, ხშირად ვკამათობთ. ისე არაა, საკითხი რომ შემოდის, მისი შედეგი წინასწარ ვიცოდეთ. კამათში სხდომები საკმაოდ დიდხანს გრძელდება. იყო შემთხვევები, როდესაც გამგეობა 4-5 საათი გაგრძელებულა. საბოლოოდ, შესაძლოა ამა თუ იმ საკითხს ყველამ დავუჭიროთ მხარი, მაგრამ ეს მხოლოდ მას შემდეგ ხდება, რაც აღნიშნული საკითხის ირგვლივ შეკითხვები აღარ რჩება. ეს არის ჯანსაღი ურთიერთობა, იდეებისა და მოსაზრებების არგუმენტირებული გაცვლა. კამათში იბადება ჭეშმარიტება.

**RWG როგორი სიხშირით იკრიბება გამგეობა და რა საკითხებს განიხილავთ?**

**დ.კ.** ამჟამად ბევრი საკითხია. მოსაწესრიგებელია სტრუქტურა, სადისციპლინო, სამსაჯო და სხვა უამრავი მიმართულება. დასახვეწია დებულებები. ეს ყველაფერი მსჯელობას და ანალიზს საჭიროებს. შეკრების პერიოდულობა წინასწარ დაგეგმილი არ გვაქვს და ეს საკითხების რაოდენობასა და მოცულობაზეა დამოკიდებული. ჩვენთვის მთავარი სწორ დასკვნებამდე მისვლაა და არა საკითხების მაქსიმალურად სწრაფად განხილვა.

**RWG რომელია ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც გამგეობამ დაამტკიცა?**

**დ.კ.** ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი იყო ნაკრების სამწვრთნელო შტაბის დამტკიცება და განხილვებმაც დიდი დრო წაიღო. მნიშვნელოვანი იყო სადისციპლინო მიმართულებით განხორციელებული ცვლილებები. აქამდე სადისციპლინო კომიტეტის გადაწყვეტილების გასაჩივრება გამგეობაზე ხდებოდა, რაც არასწორი იყო. ახლა ამ საკითხებს სააპელაციო ინსტანცია განიხილავს. იურიდიულ კომპანია Mc-Gill-თან გავაფორმეთ ხელშეკრულება და მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება უფრო ობიექტური და მიუკერძოებელი იქნება.

**RWG ქართული რაგბის მომავლისთვის ზრუნვა მოედნიდან უფრო მარტივია თუ გამგეობის თავმჯდომარის პოზიციიდან?**

**დ.კ.** ამ პოზიციიდან უფრო რთულია, რადგან მთელი ქართული რაგბის განვითარებაზე ფიქრობ და პასუხისმგებლობაც გაცილებით მეტია. როდესაც მოთამაშე ხარ, კონკრეტული თამაშისთვის კონკრეტული დავალება გაქვს და მისთვის ემზადები.

**RWG მოედანზე გატარებული წლები როგორ გეხმარებათ ამჟამინდელ საქმიანობაში?**

**დ.კ.** მოედანი მხოლოდ 80 წუთი არ არის. რაგბი ცხოვრების წესია. ფასეულობები, შრომა, ურთიერთპატივისცემა, ადამიანობა – ყველაფერი, რაც რაგბმა მომცა, რა თქმა უნდა მომავალ საქმიანობაშიც მეხმარება. მე ისევ ის ადამიანი ვარ, როგორადაც რაგბმა მაქცია და ასეთად დავრჩები ბოლომდე. RW



## “I will act in the interests of the common Georgian rugby”

**RWG How much has the working principle of the board changed since its election?**

**D.K.** I have never attended a board meeting before and I can not say anything about previous meetings. As for the current situation, we have open conversations, we often argue. It's not that the issue that comes up is to know its outcome in advance. Sessions in arguing last quite a long time. There were cases when the board lasted 4-5 hours. Eventually, we may all support this or that issue, but that only happens after questions about that issue remain. It is a healthy relationship, an argumentative exchange of ideas and opinions. Truth arises in arguing.

**RWG How often does the board meet and what issues do you discuss?**

**D.K.** There are a lot of issues right now. Structure, disciplinary, judicial and many other areas need to be regulated. Refine provisions. All this requires reasoning and analysis. The frequency of the meeting is not planned in advance and it depends on the number and volume of issues. The main thing for us is to come to the right conclusions and not to discuss issues as quickly as possible.

**RWG What are the most important issues approved by the board?**

**D.K.** One of the most important issues was the approval of the coaching staff of the team and the discussions also took a long time. Disciplinary changes were important. Until now, the decision of the disciplinary committee was appealed to the board, which was wrong. These issues are now being considered by the appellate court. We have signed an agreement with the law firm McGill and the decision made by him will be more objective and impartial.

**RWG Is it easier to take care of the future of Georgian rugby from the field or from the position of the chairman of the board?**

**D.K.** It is more difficult from this position, because you think about the development of the whole Georgian rugby and the responsibility is much more. When you are a player, you have a specific task for a particular game and you prepare for it.

**RWG How do the years spent on the pitch help you in your current activities?**

**D.K.** The pitch is not just 80 minutes. Rugby is a way of life. Values, hard work, mutual respect, humanity - everything that rugby has given me will certainly help me in my future endeavors. I'm still a person like rugby werewolf and I will stay that way until the end. RW

RUGBY'S RECORD BREAKERS



# „ორგანიზაციებს შორის ურთიერთობა გრძელდება“

# “The relationship between the organizations continues”

# UN WOMEN და ქართული რაგბი თანამშრომლობა გლობალური აქცენტით

საქართველოს რაგბის კავშირის
პრეზიდენტის მრჩეველი **ნიკოლოზ ალავიძე**

# UN WOMEN AND GEORGIAN RUGBY COLLABORATION WITH A GLOBAL FOCUS

ADVISOR OF THE PRESIDENT
OF GEORGIAN RUGBY UNION **NIKOLOZ ALAVIDZE**

ტექსტი **ელენე ლომსაძე** // Worlds **Ellene lomsadze**     ფოტო **ირაკლი ტყემალაძე** // Pictures **Irakli Tkemaladze**

საქართველოს რაგბის კავშირს გაეროს ქალთა ორგანიზაციასთან (UN WOMEN) დიდი ხნის თანამშრომლობა აკავშირებს იმდენად, რამდენადაც ქართული რაგბი ყოველთვის აქტიურად ერთვებოდა ძალადობის წინააღმდეგ მიმართულ ადგილობრივ თუ საერთაშორისო კამპანიებში. „ძლიერები არ ძალადობენ“ – სწორედ ამ სულისკვეთებით, 2021 წელს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის მხარდასაჭერად, ➡

The Georgian Rugby Union has had a long-standing cooperation with the United Nations Women (UN WOMEN) to the extent that Georgian rugby has always s been actively involved in local and international campaigns against violence.

"The strong do not violate" - in this spirit, the Georgian national rugby team wore the UN WOMEN logo on their jerseys in support of the fight against discrimination against women in 2021. This drew international attention to the team. What does ➡

საქართველოს მორაგბეთა ეროვნულმა ნაკრებმა საკუთარ კვართზე UN WOMEN-ის ლოგო დაიტანა, რითაც საერთაშორისო საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოექცა. რას მოიცავს ზემოთ ხსენებული თანამშრომლობა და როგორი შედეგების მომტანი იქნება ის ქართული რაგბისთვის? – ამ






გაეროს ქალთა ორგანიზაციის აღმასრულებელი დირექტორი პუმზილე მლამბო-ნქგუკა და საფრანგეთის სპორტის მინისტრი როქსანა მარასინეანუ
UN Women Executive Director Phumzile Mlambo-Ngcuka and French Minister of Sport Roxana Maracineanu



ლიეტუვის რესპუბლიკის ელჩ ანდრიუს კალინდრასთან ერთად
With the Ambassador of the Republic of Lithuania Andrius Kalindra

## „ბორჯღალოსნებმა საკუთარ კვართზე UN WOMEN-ის ლოგო დაიტანეს“

the above-mentioned cooperation include and what does it bring to the table for Georgian rugby? RUGBY WORLD GEORGIA spoke with the advisor of the president of Georgian Rugby Union Nikoloz Alavidze regarding these issues.

“During the 2019 World Cup, the Rugby Union and UN WOMEN joint campaign HeForShe was selected as the best collaboration. In this context, we had a desire give our cooperation a bigger purpose and unite against the same global problem. For that reason the Georgian national team put the UN WOMEN logo on their jeresys for the match with the current world champion - South Africa. The match took place in June of last year. Unfortunately, the campaign was terminated prematurely due to the pandemic, However, our cooperation has caused quite a positive international response. The project was widely covered by the international media. As a result, Georgian rugby, in addition to sporting achievements, has once again attracted global and, most importantly, positive attention." - Notes Nikoloz Alavidze.



ნაკრების ექიმი ნუცა შამათავა, ბორჯღალოსანი გიორგი კვესელაძე, მედიამენეჯერი თათია ბერიაშვილი
Team Doctor Nutsa Shamatava, Lelos player Giorgi Kveseladze, Media Manager Tatia Beriashvili

The collaboration is still active. The Georgian branch of the UN Women works closely with the Rugby Union. The “trace” of the partnership still adorns one of the streets in Tbilisi with a wall painting by Niko's artists. As for the



საკითხებთან დაკავშირებით RUGBY WORLD GEORGIA საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტის მრჩეველს, ნიკოლოზ ალავიძეს ესაუბრა.

„2019 წლის მსოფლიო ჩემპიონატის დროს, რაგბის კავშირისა და გაეროს ქალთა ორგანიზაციის ერთობლივი კამპანია HeForShe საუკეთესო კოლაბორაციად გამოარჩიეს. ამ კონტექსტში, გვქონდა სურვილი, უფრო მასშტაბური ფორმა მიგვეცა თანამშრომლობისათვის და ერთი გლობალური გამოწვევის წინააღმდეგ გავერთიანებულიყავით. სწორედ ამიტომ, საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა საკუთარ კვართზე UN WOMEN-ის ლოგო დაიტანა მოქმედ მსოფლიო ჩემპიონთან (სამხრეთ აფრიკა) თამაშის წინ, რომელიც გასული წლის ივნისში შედგა. სამწუხაროდ, ეს კამპანია პანდემიის გამო ვადაზე ადრე შეწყდა, თუმცა ჩვენმა თანამშრომლობამ საკმაოდ დადებითი საერთაშორისო რეზონანსი გამოიწვია. ამ პროექტის შესახებ მასობრივად ალაპარაკდა საერთაშორისო მედია. შედეგად, ქართულმა რაგბიმ, გარდა სპორტული მიღწევებისა, კიდევ ერთხელ მიიქცია გლობალური და რაც მთავარია, პოზიტიური ყურადღება“, – აღნიშნავს ნიკოლოზ ალავიძე.

კოლაბორაცია კვლავ აქტიურად მიმდინარეობს – გაეროს ქალთა ორგანიზაციის საქართველოს ფილიალი მჭიდროდ თანამშრომლობს რაგბის კავშირთან. პარტნიორობის „კვალი“ თბილისის ერთ-ერთ ქუჩას დღესაც ალამაზებს კედლის მხატვრობით, რომელიც „ნიკოს“ არტისტების მიერ არის მოხატული. რაც შეეხება მოსალოდნელ შედეგებსა და სამომავლო გეგმებს, საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა და გლობალური მიზნების მიღწევა, სტრატეგიულ და პრიორიტეტულ მიმართულებად რჩება.

„ორგანიზაციებს შორის ურთიერთობა გრძელდება და დიდი იმედი გვაქვს, ჩვენს მოკრძალებულ წვლილს შევიტანთ ზოგადად ძალადობის წინააღმდეგ მიმართული განათლების ამაღლებაში. „ძლიერები არ ძალადობენ“ – სწორედ ეს იყო ჩვენი ერთობლივი კამპანიის ნაწილი, რაც დღესაც აქტუალურია გლობალური მასშტაბით. ამასთან, ჩვენი მიზანია, კარგად გავაცნობიეროთ, რომ „რაგბი ყველას თამაშია“. გვყავს 7-ქალა ნაკრები, რომელიც რაგბიში წარმატებით ასპარეზობს და საქართველოს სახელს წარმოადგენს საერთაშორისო არენაზე. საქართველოს რაგბის კავშირის მენეჯმენტს ამ მიმართულების ჯეროვანი გაძლიერება აქვს დასახული მიზნად. გვსურს, ყველანაირი რესურსით შევუწყოთ ხელი სფეროს პროგრესს და გოგონებსა და ბიჭებში თანაბრად განვავითაროთ უპირველესად სპორტის სიყვარული, ხოლო შემდგომ – რაგბისადმი ინტერესი. გარდა ამისა, 7-კაცა/7-ქალა რაგბი ოლიმპიური სახეობაა და ჩვენი ამბიციაა, ამ კუთხით ქალთა და ვაჟთა გუნდები ჯეროვნად იყვნენ წარმოდგენილნი. მსგავსი ტიპის მასშტაბური თანამშრომლობა ავტორიტეტულ საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთსასარგებლოა ჩვენი გლობალური მიზნების მიღწევის გზაზე“, – განმარტავს ნიკოლოზ ალავიძე. RW



ნახატი შექმნილია სპორტში ქალთა მხარდაჭერის კამპანიის ფარგლებში გაეროს ქალთა ორგანიზაციის, საქართველოს რაგბის კავშირისა და ქუჩის ხელოვანთა მოძრაობა „ნიკოს“ თანამშრომლობით
The painting was created by the support campaign in sport in collaboration with the UN Women, the Georgian Rugby Union, and the Niko street artist's movement

## “The Lelos wore the UN WOMEN logo on their robes”

expected results and future plans, cooperation with international organizations and achieving global goals remains a high-priority strategic direction.

“The relationship between the organizations continues. We really hope, we can make our modest contribution to raising awareness against violence in general. “The strong do not violate" - this was part of our joint campaign, which is still relevant today globally. Also, our goal is to realize that “rugby is everyone's game". We have a women's sevens team, which successfully competes in rugby and represents the name of Georgia in the international arena. The management of the Georgian Rugby Union aims to properly strengthen this direction. We want to contribute to the progress of the field with all resources to have love for sports and an interest for rugby developed equally in boys and girls. In addition, rugby sevens is an Olympic sport and it is our ambition to have women's and men's teams represented properly. This type of large-scale cooperation with authoritative international organizations is mutually beneficial on the way to achieving our global goals." – Nikoloz Alavidze explained. RW







◀ გაეროს ქალთა ორგანიზაციის წარმომადგენლის მოვალეობის შემსრულებელი თამარ საბედაშვილი, რაგბის კავშირის პრეზიდენტი იოსებ ტყემალაძე, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილე სოსო გიორგაძე
Acting Representative of the UN Women Tamar Sabedashvili, President of the Rugby Union Ioseb Tkemaladze, Deputy Minister of Culture, Sports and Youth Affairs Soso Giorgadze

# რას რატომ როგორ | WHAT WHY HOW

ტექსტი **ზურაბ ქსოვრელი** // Worlds **Zurab Qsovreli** ფოტო **ირაკლი ტყემალაძე** // Pictures **Irakli Tkemaladze**

## ლევან მაისაშვილი

ბორჯღალოსნების მთავარი მწვრთნელი სამწვრთნელო შტაბის მუშაობას გვაცნობს

## Levan Maisashvili

The head coach of the Lelos informs us about the work of the coaching staff

რაგბი თამაშია, რომლის მიღმა უამრავი დეტალი იმალება. გულშემატკივარი მხოლოდ 80 წუთს ხედავს, რასაც წინ 10-ათასწუთიანი სამუშაო უძღვის და მასში უამრავი ადამიანია ჩართული.

ლომის წილი რა თქმა უნდა სამწვრთნელო შტაბსა და მოთამაშეებზე მოდის. პირველზე განსაკუთრებით, რადგან ნათქვამია, თამაშს მორაგბეები იგებენ და აგებს მწვრთნელიო...

პასუხისმგებლობა ყოველთვის მთავარ მწვრთნელზეა და თითოეულ თამაშს წინ უძღვის გარჩევა, ანალიზი, შეცდომების ➡

Rugby is a game behind which many details are hidden. Fans can only see 80 minutes, which is preceded by a 10-thousand-minute work, and it involves a lot of people.

The lion's share of course comes from the coaching staff and the players. Especially on the first one, because it is said that the rugby players win the game and the coach loses ...

The responsibility is always on the head coach and each game is preceded by deciphering, analyzing, correcting mistakes, refining tactical outlines, adjusting details, processing combinations, exploring the ➡



## მონაცემები
## PROFILE

**ასაკი/Age**: 45
**პოზიცია/Position**:
ეროვნული ნაკრების
მთავარი მწვრთნელი
**მიღწევები/Achievements**:
ევროპის ჩემპიონი მთავარი
მწვრთნელის რანგში 2020
და 2021 წლები

გამოსწორება, ტაქტიკური მონახაზების დახვეწა, დეტალების მორგება, კომბინაციების დამუშავება, მეტოქის შესწავლა, მისი სუსტი და ძლიერი მხარეების აღმოჩენა და სიურპრიზების მომზადება. თამაშიდან თამაშამდე მთელი ნამუშევარი აისახება ციფრებში, რომელიც მწვრთნელებს აძლევს სურათს, რომელ კომპონენტში და რა დოზით მოხდა ცვლილებები.

საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი ლევან მაისაშვილი გვიყვება, როგორ მუშაობს ბორჯღალოსნების სამწვრთნელო შტაბი და როგორ აისახა ეს ციფრებში:



## „ძალიან ბევრს ვმუშაობთ მსაჯებთან და ამ კუთხით პროგრესი გვაქვს“

„2019 წლის მსოფლიო თასის შემდეგ, მიზნად არა რომელიღაც კონკრეტული რგოლის გაძლიერება, არამედ ჩვენი სათამაშო სტილის განსაზღვრა დავისახეთ. უმნიშვნელოვანესად მივიჩნიეთ თამაშის მართვა, ანუ ბალანსის დაჭერა შეტევასა და დაცვაში. არ არსებობს დაცვის სისტემა, რომელიც არასწორად დაბალანსებული თამაშის შემთხვევაში, მუდმივად დაიცავს თავს შეტევისგან.

ჩვენი სამუშაო სამი შეკითხვის ირგვლივ ტრიალებს – რას, რატომ და როგორ ვაკეთებთ. მნიშვნელოვანი იყო დაცვისა და შეტევის სისტემების მორგება არსებულ მოთამაშეებზე, იმის გათვალისწინებით, რომ უნარ-ჩვევების გარკვეული პროცენტულობით გაუმჯობესება შეგვიძლია და ამაზე გამუდმებით ვმუშაობთ. ასევე, აუცილებელია კონკრეტულ პოზიციებზე ახალი მოთამაშეების მოძიება და მათი სანაკრებო სივრცეში შემოყვანა, თუმცა ორივე შემთხვევაში ლიმიტირებულები ვართ – უნარ-ჩვევების გაუმჯობესება მხოლოდ გარკვეული დოზით შეგვიძლია და არც საერთაშორისო სტანდარტის მოთამაშეებით გახლავართ განებივრებული.

ორი წლის თავზე თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ მოთამაშეებს ზუსტად ესმით ჩონჩხი. ამ პერიოდში ძალიან დიდი სამუშაო ჩატარდა. მსოფლიო თასის შემდეგ ბევრმა მორაგბემ დაგვტოვა, მოხდა ახალი მოთამაშეების შემოდინება, სისტემის აწყობას კი დრო სჭირდება და ბუნებრივია, დასაწყისში პატარ-პატარა ჩავარდნები გვქონდა.

ყოველი თამაშის შემდეგ, გვაქვს ანალიზი, როგორ შესრულდა დავალება. ტიერ1-ის გუნდებთან მთავარ პრობლემად ბურთისა და ტერიტორიის ფლობა რჩება. ამ კუთხით მუდმივად წაგებაში ვართ, თუმცა წინა წლებთან შედარებით, გარკვეული წინსვლა შეინიშნება. ეს თამაშის მართვის შედეგია, რასაც რა თქმა უნდა ტექნიკური პოტენციალი ერთვის. ნოემბრის ტესტებზე

opponent, discovering his strengths and weaknesses, and preparing surprises. From game to game the whole work is reflected in numbers, which gives the coaches a picture of which component and to what extent the changes have taken place.

Levan Maisashvili, the head coach of the Georgian national rugby team, tells us how the Lelos coaching staff works and how it was reflected in the numbers:



ტრადიციულ პრესკონფერენციაზე მედიამენეჯერ თათია ბერიაშვილთან ერთად
TAt the traditional press conference with media manager Tatia Beriashvili



დადებითი ბალანსი გვქონდა შერკინებებში საფრანგეთსა და ფიჯისთან. ორივე თამაშის ჯამში, ჩვენც და მეტოქეებსაც 20-20% გვაქვს 22-ში ეფექტურობასთან მიმართებაში – მეტოქეები 43-ჯერ შემოვიდნენ ჩვენს 22-ში და 9-ჯერ შეძლეს ქულის აღება; ჩვენ 10-ჯერ შევედით მეტოქის 22-ში და ორჯერ ავიღეთ ქულები.

ეს ციფრები გვაჩვენებს, რომ როდესაც მეტოქის 22-ში შევდივართ, პროცენტულად ისეთივე შედეგს ვაღწევთ, როგორსაც ტიერ1-ის გუნდები, და სწორედ აქაა გადამწყვეტი თამაშის მართვა. რაც უფრო დიდხანს გაქვს ბურთი, რაც უფრო ნაკლებ შეცდომას უშვებ, მით მეტჯერ ახერხებ მეტოქის 22-ში შესვლას და შესაბამისად, ნაკლებად გიწევს საკუთარი 22-ის დაცვა.

ნოემბრის მატჩებში ეს ციფრი საფრანგეთთან თამაშმა ასწია, სადაც ორი ყვითელი ბარათის გამო კაცნაკლული დავრჩით. შორს ვართ იმ აზრისგან, რომ მსაჯის ქმედებები ვაკრიტიკოთ. ნებისმიერ ქმედებას ვუტარებთ ანალიზს. ჩვენთვის მნიშვნელოვანია ზუსტად ვიცოდეთ, თუ რის გამო დავჯარიმდით, რათა შემდგომში იგივე არ გამეორდეს. არის შემთხვევები, როდესაც მოწინააღმდეგე იმდენად გჯობნის, რომ იძულებულს გხდის დაჯარიმდე. ვაწარმოებთ ჯარიმების აღრიცხვას, სისტემიდან გამომდინარე მოხდა ეს – უნარ-ჩვევების ბრალი იყო თუ კიდევ რაიმე სხვა მიზეზი არსებობდა.

დისციპლინა მხოლოდ უხეში თამაში არ არის და ის პირდაპირ კავშირშია თამაშის ცოდნასთან, ანალიზთან. ძალიან ბევრს ვმუშაობთ მსაჯებთან და მიმაჩნია, რომ ამ კუთხით პროგრესი გვაქვს. მაგრამ როდესაც მაღალი დონის მოთამაშეებით დაკომპლექტებულ გუნდს ხვდები, რომელმაც ისედაც კარგად იცის თამაშის მართვა, და ამ დროს არაფრისგან კაცნაკლული რჩები, რთულია ბალანსზე საუბარი.

მთლიანობაში, ჯერ მხოლოდ პირველ ნაბიჯებს ვდგამთ და იმედს ვიტოვებ, აქტივობიდან აქტივობამდე ეს ციფრები გაიზრდება, რაც საბოლოო ჯამში, შედეგს მოგვცემს“.


საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილმა და რაგბის კავშირის პრეზიდენტმა იოსებ ტყემალაძემ ბორჯღალოსნების სიხარულ გაიზიარეს
The Prime Minister of Georgia Irakli Gharibashvili and the President of the Rugby Union Ioseb Tkemaladze shared the joy of the Lelos

## ბალანსი შერკინებასა და დაცვაში

„კონტაქტის არეალი იყო და რჩება ჩვენს მთავარ ქვაკუთხედად. არავინ ამბობს ძლიერ მხარეებზე უარს, თუმცა შერკინებაში მსაჯობა იმდენად პრეტენზიული ➡



# “We work with referees a lot and we have made progress in this regard”

“After the 2019 World Cup, our goal was not to strengthen a specific ring, but to define our playing style. We considered the management of the game to be the most important, ie to catch the balance in attack and defense. There is no defense system that, in case of improperly balanced game, will constantly protect itself from attack.

Our work revolves around three questions - what, why and how we do it. It was important to adjust the defense and attack systems to the existing players, given that we can improve the skills by a certain percentage and we are constantly working on that. It is also necessary to find new players for specific positions and bring them into the team space, although in both cases we are limited - we can improve our skills only to a certain extent, and we are not spoiled by international standard players. After two years we can confidently say that the players understand the skeleton exactly. A lot of work was done during this period. Many rugby players left us after the World Cup, there was an influx of new players, it takes time to set up the system and naturally, we had small setbacks in the beginning.

After each game, we have an analysis of how the task was performed. Possession of the ball and territory remains a major problem with Tier 1 teams. We are constantly losing in this regard, although compared to previous years, some progress has been made. This is the result of managing the game, which of course has technical potential attached to it. We had a positive balance in the November tests in the clashes with France and Fiji. In both games, both we and our opponents have a 20-20% chance of scoring in 22 - rivals have scored 43 times and scored 9 times; We entered the opponent 22 times 10 times and scored points twice.

These numbers show that when we enter the ➡

გახდა, აუცილებელია ამ კომპონენტის დაბალანსება. ყველა შერკინებაში თუ ჯარიმისთვის ვიბრძოლებთ, ამან შესაძლოა სადღაც არ იმუშაოს. ერთია, რომ ტიერ1-ის ქვეყნებს შერკინებაში ასე ხელაღებით ვერ დაჯაბნი, და მეორე – არასდროს იცი როგორ იმსაჯებს და რა გადაწყვეტილებას მიიღებს მსაჯი.

სწორედ ამიტომ აუცილებელია გეგმა B, რითაც მოხდება ძალისმიერი თამაშის სწრაფი და გონივრული თამაშით დაბალანსება. ტიერ1-ის ქვეყნებთან ყველა კომპონენტში თანაბრად სახიფათო უნდა იყო და აქაც გვაქვს თვალსაჩინო პროგრესი. ჩვენ შეგვიძლია ხაზით თამაში, ნებისმიერი მეტოქისთვის საფრთხის შექმნა და ამის ნათელი მაგალითია საფრანგეთთან მატჩი, სადაც ხაზით ორი ბრწყინვალე ლელო გავიტანეთ, აღარაფერს ვამბობ რუსეთთან და რუმინეთთან გატანილ ლელოებზე.

მთლიანობაში, რთულია ციფრების შედარება, როდესაც რაგბი ევროპის ჩემპიონატისა და ზაფხული-შემოდგომის ტესტებზე ვსაუბრობთ. ერთ შემთხვევაში ვართ დომინანტები, ვატარებთ ექსპერიმენტებს როგორც მოთამაშეებთან, ასევე სათამაშო სქემებთან მიმართებაში. მეორე მხრივ, ზაფხულსა და ნოემბერში ვეთამაშებით უმაღლესი დონის გუნდებს და ჩვენი შემადგენლობაც ოპტიმალურთან მიახლოებულია.

2020 წლის შემოდგომის ერთა თასსა და წლევანდელ ნოემბრის ტესტებს თუ ავიღებთ, ნათლად ჩანს, რომ გვაქვს უკეთესი ბალანსი შეტევასა და დაცვაში, ხაზისა და ძალისმიერ თამაშში, სტატიკურ ფაზებში, შესრულებული ბოჭვების ხარისხის პროცენტულობასა და ბოჭვის შემდეგ თამაშში სწრაფად დაბრუნების მაჩვენებელში, შეტევაში დაშვებული შეცდომების რაოდენობაში.

ეს სწორი ანალიზის შედეგია, რადგან თუ ანალიზი სწორად არ გააკეთე, დასკვნებიც არასწორი იქნება. სწორედ ანალიზზეა დაფუძნებული ჩვენი მომდევნო ქმედებები. რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ შორს ვართ იმისგან, რაც გვინდა და ვაგრძელებთ მუშაობას, თუმცა როგორც სამწვრთნელო შტაბს, ასევე მოთამაშეებს, ზუსტად გვესმის, საით მივდივართ.

მნიშვნელოვანია ფიზმომზადება და აქაც აშკარა წინსვლა გვაქვს. არ ყოფილა შემთხვევა, რომელიღაც გუნდთან ფიზიკურად დავჩაგრულიყავით, ან ტემპს ვერ ავყოლოდით, და ამის მიზეზი მზადების განსხვავებული მეთოდია. დიდ ყურადღებას ვუთმობთ სპორტულ მედიცინას, გვაქვს GPS-სისტემები და მისი მეშვეობით ზუსტად ვიცით რა მოცულობის დატვირთვა უნდა მიიღონ მორაგბეებმა დღის თუ კვირის განმავლობაში. ყველა ვარჯიში იგეგმება ფიზმომზადების ჯგუფთან მჭიდრო კავშირში და ზუსტად გვაქვს გაწერილი ამა თუ იმ ქმედების დრო და მოცულობა.




## „ვარჯიშები მაქსიმალურადაა დაახლოებული სათამაშო სიტუაციებთან“

opponent's 22, we achieve the same percentage percentage as the Tier 1 teams, and this is where crucial game management comes into play. The longer you have the ball, the less mistakes you make, the more times you are able to enter the opponent's 22 and therefore the less you have to defend your 22's.

In the November matches, this figure was raised by the game against France, where we were left with two yellow cards. We are far from thinking to criticize the actions of the referee. We analyze any action. It is important for us to know exactly why we were fined so that the same thing does not happen again. There are times when an opponent is so superior that he is forced to face a penalty. We keep track of fines, depending on the system, whether it was a skills fault or some other reason.

Discipline is not just a rough game and it is directly related to game knowledge, analysis. We work with referees a lot and I think we have made progress in this regard. But when you meet a team of high-level players who already know how to manage the game, and at this point you are left with nothing, it is difficult to talk about balance.

Overall, we are only taking the first steps and I hope these numbers will increase from activity to activity, which will ultimately yield results."

### BALANCE IN SCRIMMAGE AND DEFENSE

"The area of contact was and remains our main cornerstone. No one says to give up strengths, however the refereeing in the clash has become so pretentious, it is necessary to balance this component. In all clashes if we fight for a penalty, it might not work somewhere. One is that you can not beat the countries of Tier 1 so arrogantly, and the other is that you never know how the referee will judge and what decision will be made.

This is why Plan B is necessary to balance the power play with a fast and reasonable game. It should have been equally dangerous in all components with the Tier1 countries, and we have made visible progress here as well.





ვარჯიშები მაქსიმალურადაა დაახლოებული სათამაშო სიტუაციებთან და ხელოვნურად ვქმნით სირთულეებს, რათა საჭიროების შემთხვევაში ამოცანას თავი კარგად გავართვათ. ამის მაგალითია რუმინეთთან შეხვედრა, სადაც 1 საათის განმავლობაში კაცნაკლულები ვიყავით, მაგრამ მეტოქეს იქით შევუქმენით პრობლემები და ავიღეთ ქულები.

თებერვალ-მარტში ვთამაშობთ რაგბი ევროპის ჩემპიონატს, რომელიც მსოფლიო თასის შესარჩევი ეტაპის დასკვნითი ნაწილია და ველით მეტოქეების დაზუსტებას ზაფხულისა და შემოდგომის ტესტებისთვის. 2022 წლიდან ველოდებით დასტაბილურებას – როგორც შემადგენლობის, ასევე თამაშის ხარისხის კუთხით, და ეს ციფრებიც უფრო თვალსაჩინო გახდება“. RW

## “The exercises are as close as possible to the playing situations”

We can play on the line, create danger for any opponent and a clear example of this is the match against France, where we scored two brilliant tries on the line, not to mention the tries against Russia and Romania.

Overall, it is difficult to compare numbers when talking about the European Rugby Championship and summer-autumn tests. In one case, we are dominant, experimenting with both players and gaming schemes. On the other hand, in summer and November we play against top teams and our composition is close to optimal.

If we take the tests of the Nations Cup in the fall of 2020 and November of this year, it is clear that we have a better balance in attack and defense, in line and force play, in static phases, in the percentage of quality of spins and in the rate of quick return in the game after spin.

This is the result of a correct analysis, because if you do not do the analysis correctly, the conclusions will also be incorrect. It is on analysis that our next actions are based. Of course, we are still far from what we want and we continue to work, but both the coaching staff and the players understand exactly where we are going.

Physical training is important and we have obvious progress here as well. There has never been a time when we were physically bullied with any team, or could not keep up with the pace, and the reason for this is a different method of preparation. We pay a lot of attention to sports medicine, we have GPS systems and through it we know exactly how much workload rugby players should receive during the day or week. All exercises are planned in close connection with the physical training group and we have precisely written the time and volume of this or that action.

The exercises are as close as possible to the playing situations and we artificially create difficulties in order to cope well with the task if necessary. An example of this is the match against Romania, where we lost for 1 hour, but we created problems for the opponent and got points.

We currently have information that we will play the European Rugby Championship in February-March, which is the final part of the World Cup qualifiers, and we are waiting for the opponents to be clarified for the summer and autumn tests. “We expect stabilization from 2022 - both in terms of composition and game quality, and these numbers will become more visible.” Physical training is important and we have obvious progress here as well. There has never been a time when we were physically bullied with any team, or could not keep up with the pace, and the reason for this is a different method of preparation. We pay a lot of attention to sports medicine, we have GPS systems and through it we know exactly how much workload rugby players should receive during the day or week. All exercises are planned in close connection with the physical training group and we have precisely written the time and volume of this or that action.

The exercises are as close as possible to the playing situations and we artificially create difficulties in order to cope well with the task if necessary. An example of this is the match against Romania, where we lost for 1 hour, but we created problems for the opponent and got points.

We currently have information that we will play the European Rugby Championship in February-March, which is the final part of the World Cup qualifiers, and we are waiting for the opponents to be clarified for the summer and autumn tests. “We expect stabilization from 2022 - both in terms of composition and game quality, and these numbers will become more visible.” RW



# კლოდ სორელი

## „ქართულ რაგბს უნდა ჰქონდეს თავისი განსაკუთრებული იდენტობა“

# Claude Saurel

## “GEORGIAN RUGBY SHOULD HAVE IT'S OWN UNIQUE IDENTITY”



ტექსტი **ზურაბ ქსოვრელი** // Worlds **Zurab Qsovreli** ფოტო **ირაკლი ტყემალაძე** // Pictures **Irakli Tkemaladze**

საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტის მრჩეველთა საბჭოში მოწვეულია ფრანგი მწვრთნელი კლოდ სორელი, რომელიც საქართველოში 1996 წელს ჩამოვიდა, ქართველ სპეციალისტებსა და მორაგბეებს რაგბის ანი-ბანი შეასწავლა, გზა გაუხსნა ქართველ ლეგიონერებს ფრანგული კლუბებისკენ და საქართველო გაიყვანა პირველ, 2003 წლის მსოფლიო თასზე.

**RWG მოგესალმებით. კიდევ ერთხელ გავიხსენოთ 1996 წელი. რატომ გადაწყვიტეთ იმ რთულ პერიოდში საქართველოში ჩამოსვლა?**

**კ.ს.** საქართველოში 1996 წელს ზაზა ქასაშვილისა და ბიძინა გეგიძის თხოვნით ჩამოვედი, რათა ჩამეტარებინა ქართული რაგბის აუდიტი. აქ ვნახე უდიდესი ენთუზიაზმი იმ ადამიანებში, რომლებიც რაგბში იყვნენ ჩართულნი და მაშინვე ვთქვი, რომ ამ საქმის მიტოვება არ შეიძლებოდა.

**RWG რა უფრო მეტად დაგხვდათ საქართველოში, რამაც აქ დარჩენა და მუშაობა გადაგაწყვეტინათ?**

**კ.ს.** მოთამაშეთა პოტენციალი და ფიზიკური შესაძლებლობები.

**RWG რა იყო პირველი, რისი გამოსწორებაც დაიწყეთ?**

**კ.ს.** როცა ჩამოვედი, დილის 4 საათი იყო და უკვე 10 საათზე რაგბის კავშირში ვიყავი. იქ 10 თუ 12 მწვრთნელი დამხვდა. თარჯიმნობას გია ჭუმბურიძე მიწევდა და დაფაზე დავწერეთ: „რაგბის გაკვეთილი #1“. დავიწყეთ საუბარი თანამედროვე რაგბზე, ნაშუადღევს გავედით მოედანზე, სადაც პირველად შევხვდი მოთამაშეებს. მათ ჰქონდათ შესანიშნავი მონაცემები, მაგრამ ტექნიკური თვალსაზრისით ძალიან სუსტები იყვნენ.

მაშინდელმა ხელმძღვანელობამ მითხრა, რომ ფული არ ჰქონდათ. ჩემი პასუხი იყო: არა უშავს, მოდით ეს ფული ერთად ვიშოვოთ. წინსვლის უმოკლესი გზა იყო, რომ დავწინაურებულიყავით საერთაშორისო რეიტინგში და მსოფლიო რაგბისგან მეტ დაფინანსებას მივიღებდით.

**RWG ქართული რაგბის და საქართველოს ნაკრების წინსვლა მაშინ დაიწყო, როდესაც თქვენი ხელშეწყობით ქართველ მორაგბეებს ფრანგული** ➡

## „მე დარწმუნებული ვარ, რომ 2027 წლის მსოფლიო თასზე, შეგიძლიათ ტოლსწორად ეთამაშოთ ნებისმიერ მეტოქეს“

One person who will be on the Advisory Board is French coach Claude Saurel who first arrived in Georgia in 1996. He was the one who taught Georgian specialists and rugby players the principles of modern rugby, opened the door for Georgian players to the French clubs and led Georgia on its first ever Rugby World Club 2003.

**RWG Greetings. Let me go back to 1996. Why did you decide to come to Georgia during that troublesome period?**

**C.S.** I came to Georgia in 1996 on the request of Zaza Kasashvili and Bidzina Gegidze to conduct the audit of the Georgian rugby. I found huge enthusiasm in people who were involved in rugby and said that I had to take up this job.

**RWG And still what was it that made you decide to stay and work in Georgia?**

**C.S.** The potential and physical abilities of the players.

**RWG What was the first challenge you started with?**

**C.S.** When I arrived it was 4am and already by 10am I was in the Rugby Union. I was met by 10 or 12 coaches there. Gia Chumburidze did the interpreter job. On the whiteboard we wrote: “Rugby lesson #1”. We started talking about modern rugby. In the afternoon we went onto the field where I met the players for the first time. They had excellent abilities but were very low on the technical skill level.

The Georgian rugby leadership told me that they did not have money. I said: it is OK, let us earn money together. The shortest ➡

**კლუბებისკენ გაეხსნათ გზა. მაშინ თუ ფიქრობდით, რომ ეს ასეთი შედეგის მომტანი იქნებოდა?**

**კ.ს.** კიპლინგის სიტყვებს გავიხსენებ – ეს გავაკეთე იმიტომ, რომ მეგონა შეუძლებელი იყო. ეს გამოწვეული იყო აუცილებლობით, რადგან სავარჯიშოდ არანაირი პირობები არ გვქონდა. თავიდან ცაბაძე და რაფავა გავუშვით. მთლიანობაში, ფრანგულ კლუბებში 80-მდე მოთამაშე გავუშვით, თუმცა უნდა ითქვას, რომ ეს არ გახლდათ წამყვანი კლუბები.

**RWG საფრანგეთში საქართველო წარმომადგენლობითი დელეგაციით გახლდათ – ქვეყნის პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი თეა წულუკიანი. თქვენი აზრით, რას მოუტანს ქართულ რაგბს სახელმწიფოს ასეთი ჩართულობა?**

**კ.ს.** დღეს რაგბი არის ერთ-ერთი ის სფერო, რითაც საქართველოს მთელი მსოფლიო იცნობს. რაგბი ქმნის საქართველოს პოზიტიურ იმიჯს, როგორც მინიმუმ საფრანგეთში. იქ ქართველი მორაგბეები ცნობილი არიან როგორც წესიერი, მებრძოლი ადამიანები. ქალბატონი პრეზიდენტისა და მინისტრის იქ ყოფნა დასტურია იმისა, რომ საქართველოს მთავრობას კარგად ესმის რაგბის როლი ქვეყნის მსოფლიოსთვის გაცნობისა და დასავლურ სამყაროსთან ინტეგრირების საქმეში.

**RWG როგორ ფიქრობთ, კიდევ რა დრო სჭირდება ქართულ რაგბს იმისათვის, რომ ტიერ1 დონის სარაგბო ქვეყანა გახდეს?**

**კ.ს.** ეს დამოკიდებულია იმ სამუშაოზე, რომლის ჩატარებასაც მოახერხებთ. მე დარწმუნებული ვარ, რომ დაახლოებით 5 წელიწადში, 2027 წლის მსოფლიო თასზე, შეგიძლიათ ტოლსწორად ეთამაშოთ ნებისმიერ მეტოქეს და საუკეთესო 8-10 გუნდს შორის მოხვდეთ.

**RWG იოსებ ტყემალაძემ სხვა ვეტერან მორაგბეებთან ერთად პრეზიდენტის მრჩეველთა საბჭოში მიგიწვიათ. რას ფიქრობთ ამ ფორმატზე?**

**კ.ს.** პირველ შეხვედრაზე ყველანი შევთანხმდით მთავარ



პრიორიტეტზე – მთავარი არის ეთიკური მხარე. აუცილებელია, რომ სარაგბო ღირებულებები განვრცობილ და მიღებულ იქნას მთელ საქართველოში. მშობლები უნდა დავარწმუნოთ, რომ შვილის რაგბზე მიყვანით ისინი ხვდებიან მზრუნველ გარემოში, სადაც ზრუნავენ ბავშვების ჯანმრთელობაზე, განათლებაზე.



Rugby World Georgia-ს აღმასრულებელ რედაქტორს ზურაბ ქსოვრელს კლოდ სორელი გამოცდილებას უზიარებს
Claude Saurel shares experience with Rugby World Georgia CEO Zurab Ksovreli



way to progress was to move up on the world rugby rankings. If we did that we would receive more funding from the world rugby.

**RWG The progress of Georgian Rugby and the Georgian National Team started when you helped Georgian players sign contracts with French clubs. Did you think back then that this would bear the fruit it did?**

**C.S.** I will borrow the words of Kipling – I did it because I thought it was impossible. It was caused by the necessity that we had no conditions to train. First we sent Tsabadze and Rapava. In total, we sent about 80 players to French clubs. It should be said that these were not leading clubs.

**RWG Georgia arrived for that game with a representative delegation that included Georgian President Salome Zourabichvili and Minister of Culture, Sports and Youth**

**RWG Tea Tsulukiani. What do you think the government involvement will bring to the Georgian rugby?**

**C.S.** Today rugby is one of the things Georgia is world famous for. Rugby creates a positive image of Georgia, at least in France. There Georgian rugby players are known as worthy, courageous people. The attendance of the president and the minister of that game is a proof that the Georgian government understands the role of rugby in the promotion of Georgia and its integration in the western world.

**RWG What else do you think Georgian rugby needs to become a tier 1 level rugby nation?**

**C.S.** It depends on the work you will do. I believe that in about 5 years at the Rugby World Cup 2027 you can play level with any opponent and finish among top 8-10 teams.

**RWG Ioseb Tkemaladze invited you to join the Advisory Board together with veteran rugby players. What do you think of this format?**

**C.S.** At the first meeting we agreed upon the key priority: to spread and promote rugby values around Georgia. We should convince



როდესაც მორაგბე კარიერას ასრულებს, უნდა იცოდეს, რომ მასზე იზრუნებენ და მარტო არ დარჩება ცხოვრებისეული პრობლემების წინაშე. მშობლებმა უნდა იცოდნენ, რომ რაგბზე შვილის მიყვანით, ის ღირსეულ ადამიანად აღიზრდება. ბავშვთა რაგბის განვითარება მთავარი პრიორიტეტია.

**RWG როდესაც საქართველოში მუშაობდით, სავარჯიშოდ ერთი მოედანიც არ გვქონდა, ახლა კი უკვე გვაქვს 27 მოედანი და დაანონსებულია 100 მოედნის მშენებლობის პროექტი.**

**პ.ს.** მოედანი ზედმეტი არასდროსაა. ესაა ხანგრძლივი პროექტი და ძალიან მომწონს, რომ ის მთელ საქართველოზეა გათვლილი. შედეგად, დიდი ქალაქებიდან მოშორებით მცხოვრებ ადამიანებსაც ექნებათ რაგბის თამაშის შესაძლებლობა და ეს აუცილებლად გახდება შედეგის მომტანი.

**RWG თქვენ საქართველოს 7-კაცა ნაკრებსაც ავარჯიშებდით და წარმატებებიც გვქონდა – 2001 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე მე-10 ადგილი დავიკავეთ. რამდენად მნიშვნელოვანია 7-კაცა რაგბის განვითარება?**

**პ.ს.** 7-კაცა რაგბის განვითარებაზე უარის თქმა, ჩემი აზრით იყო რაგბის კავშირის წინა რამდენიმე ხელმძღვანელობის დროში განგრძობადი შეცდომა. დამრჩა შთაბეჭდილება, რომ ახლანდელ პრეზიდენტს კარგად ესმის 7-კაცას განვითარების აუცილებლობა. ვიცი, რომ საქართველოს 7-კაცა ნაკრების ბედი ახლა ორი ყოფილი უძლიერესი მოთამაშის – გია ლაბაძისა და ბესიკ ხამაშურიძის ხელშია. მათ ყველანაირად დავეხმარები.

**RWG საქართველოს ნაკრების სამწვრთნელო შტაბზე და მის პერსპექტივებზე რას იტყვით?**

**პ.ს.** მიმაჩნია, რომ საქართველოს ნაკრების სამწვრთნელო შტაბი შესანიშნავად მუშაობს და თამაშის ის დონე, რომელსაც მაყურებელს სთავაზობენ, ძალიან მაღალია. ასევე მიმაჩნია, რომ მოთამაშეებს, რომლებმაც უკვე დაასრულეს კარიერა, მიიღეს მაღალი დონის განათლება და აიღეს შესაბამისი დიპლომები, მაგალითად, დავით ზირაქაშვილს, აქვსენტი გიორგაძეს, გოდერძი შველიძეს, დავით ბოლღაშვილს და ა.შ., შეუძლიათ საქართველოს ნაკრების სამწვრთნელო შტაბის კიდევ უფრო გაძლიერება.

**RWG ხომ არ ფიქრობთ, რომ წარმატებული უცხოელი მწვრთნელის მოწვევით თამაშის ხარისხი კიდევ უფრო უკეთესი გახდება?**

**პ.ს.** დღეს საქართველო ჩამორჩება დიდ სარაგბო ქვეყნებს, მაგრამ თუ გაიმეორებს იმას, რასაც სხვები აკეთებენ, მათ ვერასდროს დაეწევა. მან უფრო მეტი უნდა გააკეთოს, ვიდრე სხვებმა, და ჩამოაყალიბოს ქართული რაგბის იდენტობა, რომელიც დაკავშირებული იქნება თქვენს ხასიათთან და ბუნებრივ თვისებებთან. აუცილებელია გვქონდეს განვითარების საკუთარი გზა, და დღეს ამის საშუალება გვაქვს. RW



საქართველოს კულტურისადა სპოტრის მინისტრმა
თეა წულუკიანმა ცნობილ მწვრთნელს საჩუქარი გადასცა
The Minister of Culture and Sports of Georgia
Tea Tsulukiani presented a gift to the famous coach

## "I believe that at the Rugby World Cup 2027 you can play level with any opponent "

parents that by enrolling their children in rugby they provide them with caring environment where their health, education and careers are being taken care of. Players should know that after their rugby career is over they will not be alone to face life problems. The parents should know that by enrolling their children in rugby they will grow worthy people. Children rugby development is our key priority.

**RWG When you worked in Georgia you did not have a single field to train. Now we have 27 and the government promised to build 100 more.**

**C.S.** The field is never enough. It is a long-term project and I like that it cover all of Georgia. As a result, people living away from big cities will have an opportunity to play rugby and it will bring results by all means.

**RWG You also trained the Georgian National Rugby Sevens Team and successfully so. At Rugby World Cup Sevens 2001 you finished on the 10th place. How important is the development of rugby sevens?**

**C.S.** The abandoning of rugby sevens by the previous leadership of the Georgian Rugby Union is a long-term mistake. My impression is that the current president understands the need to develop rugby sevens. I know that the Georgian National Rugby Sevens Team is in the hands of two former excellent players Gia Labadze and Besik Khamashuridze. I will do my best to help them.

**RWG What do you think of the Georgian coaching staff and their prospects?**

**C.S.** I think that the coaching staff of the Georgian National Rugby Team is doing an excellent job and I think that the level of play they show is very high. I also think that the former players who have received high-level education and corresponding diplomas, such as Davit Zirakashvili, Avksenti Giorgadze, Goderdzi Shvelidze, Davit Bolghashvili, etc., can make the Georgian coaching team even stronger.

**RWG Do you think that by inviting a successful foreign coach the level of play will become even higher?**

**C.S.** Today Georgia is behind the great rugby nations but if it repeats what others are doing, it will never catch up to them. It needs to do more than the others and to establish an identity of Georgian rugby that will be connected to your character and natural qualities. You need to have your own path of development and today we have an opportunity to follow it. RW

# 60

## წელი | YEARS

### სიბრძნის ასაკი
### Age of Wisdom



ტექსტი **ზაალ გიგინეიშვილი** // Worlds **Zaal Gigineishvili** ფოტო **ირაკლი ტყემალაძე** // Pictures **Irakli Tkemaladze**

2021 წლის 1 დეკემბერს საქართველოს რაგბის კავშირის იუბილე ვიზეიმეთ

ON 1ST DECEMBER 2021, WE HAVE CELEBRATED JUBILEE OF GEORGIA RUGBY UNION






## 1961

წლის 1 დეკემბერს გივი მრელაშვილის თაოსნობით დაფუძნდა საქართველოს რაგბის კავშირის წინამორბედი თბილისის რეგბის სექცია

აგურის ძირძველ შენობას, სადაც შეიქმნა ჩვენი ორგანიზაცია, ბორჯღალიანი, თეთრი მარმარილოს, ოვალური დაფა ხომ მივამაგრეთ, და დამაარსებლის მოგონებათა წიგნიც ხელახლა დავსტამბეთ. ჰოდა, საზოგადოება მიხვდებოდა — იმ ხნისა მოვყრილვართ, რომ ჭკუა ნამდვილად მოგვეკითხება და 60 წელიწადშიც ბევრი რამისთვის მიგვიღწევია.

დაბრუნდა და აქვე დარჩა და წინამძღოლად ვინა ჰყავდათ ამ დამთხვეულებს? — უშიშროების მიერ თვალთვალზე აყვანილი კერძო მკერავი ჟაკ ასპეკიანი, რომელიც არზას არზაზე წერდა, ➡

R Oval shaped, white marble plaque adorned with “eternity sign” Borjghali has been pinned to the old brick building where our organization was formed, and the founder's memoirs reprinted as well. As a result, the public felt our wisdom and saw our achievements over that spell.

Who led those mavericks? — French-born self-employed poor tailor who even could not speak Georgian and was carefully monitored by Soviet security service KGB for relentlessly demanding back his French citizenship and permission to leave. This gentleman possessed a leather oval thing brought with him from native Marseille and had created those three teams but inexplicably taught his pupils to kick a penalty for goal without first placing the ball onto the ground.

Furthermore, those pupils held that ball with arms outstretched towards the ➡

**საქართველოს მორაგბეთა ეროვნული პირველი გუნდი შეიქმნა 1989 წელს, მწვრთნელი – დავით კილასონია, კაპიტანი – ოლეგ ლიპარტელიანი**

**The first national rugby team of Georgia was formed in 1989, coach – David Kilasonia, captain – Oleg Liparteliani**





პასპორტი დამიბრუნეთ და სამშობლოში (საფრანგეთში) გამიშვითო. ამას ჰქონოდა ერთი, მარსელიდან წამოღებული ტყავის ოვალი და ზემოთ ხსენებული სამი გუნდიც შეექმნა, მაგრამ ჯარიმას კარში მიწაზე ბურთის დაუდებლად კი არტყმევინებდა შეგირდებს.

მეტიც: ბიჭებს ბურთი თურმე ხელაწეულებს ეჭირათ და პასის დროს ხმალივით იქნევდნენ კიდურებს, რაც უტყუარად იმას გვაფიქრებინებს, რომ მოძღვარს რაგბი არათუ არ ეთამაშა, ხეირიანადაც კი არ ენახა. მიუხედავად ამისა, ამ გულკეთილსა და ენთუზიასტ კაცს – „ჟაკოს“, ჩვენი დაბრძენებული ორგანიზაციისგან ალალი მადლობა ეკუთვნის დემო-მატჩის გამართვისა და პრესაში გაპარებული ორი სტატიის გამო.

ასე, ჯახირში გალეულიყო ორი წელი, რომ ბედმა გაგვიღიმა — 24 წლის ბიჭი მოსკოვიდან შინ უეცრად, ოჯახური მიზეზის გამო დაბრუნდა და აქვე დარჩა.

**საქმე – 40 დღეში!**

ეს მოციქული გივი მრელაშვილია — თანამედროვე ქართული რაგბის ჭეშმარიტი მესაძირკვლე: რაგბის კავშირის შემქმნელი და მისი მთავარი მამოძრავებელი ძალა პირველი 15 წლის განმავლობაში;

sky and used to brandish upper limbs like swords in the act of passing. All this leads us to conclude that the mentor neither had played rugby himself nor ever watched it decently. Nevertheless, our wised-enough organization must sincerely thank that kind and devoted man — JAKO from the outskirts of Saburtalo, then itself outside of Tbilisi — for holding a single demo game and squeezing a couple of articles into media.

After full two years of struggle, fortune finally smiled at us – a 24-years-old chap



ქართული რაგბის დაარსების 60 წლისთავისადმი მიძღვნილი მემორიალური დაფის გახსნა, 2022 წლის 1 დეკემბერი.
Opening of a memorial plaque dedicated to the 60th anniversary of Georgian Rugby, December 1, 2022.



**1961**

**On December 1, under the leadership of Givi Mrelashvili, the Tbilisi Rugby Section, the predecessor of the Georgian Rugby Union, was established.**

ენციკლოპედიებისა და მემატიანეთა მიერ აღიარებული პიონერი; ნასწავლი ინტელიგენტი; ჯეელობიდანვე საზოგადო მოღვაწე, ხოლო სიჭარმაგეში „ღირსების ორდენის“ პირველი კავალერიც ქართული რაგბის თემში.

დახვდა დედაქალაქში ამ ნარკვევის მთავარ გმირს არეულობა და უიმედობა, მაგრამ ჯიქურ შეეჭიდა საქმეს: გაერია ტოლებში, მოიკითხა უფროსობა, გაიცნო ძლიერი ამა ქვეყნისანი და ბევრი ეჩიჩინა ახალი სახეობის სიკეთეზე; გადალახა უამრავი წინაღობა და ქველი ხალხიც რომ მრავლად შეხვდა, საქმეს 40 დღეში დაადგა თავი — ქალაქის სპორტკავშირში გამართა „რეგბის სექციის“ დამფუძნებელი კრება და სახელმწიფოს შეაწყნარებინა ოვალური ბურთი.

ამით ერთბაშად მოგვარდა უამრავი პრობლემა — რაგბი უფლებრივად გაუთანაბრდა სხვა თამაშებს, რითაც გაეღო სტადიონების კარი და გამოეყო დაფინანსება. ამის შედეგად დაწესდა შინაურ პირველობათა გამართვა და მოეწყო გასვლები „რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ“, ხოლო თაოსნის იშვიათი მარიფათის წყალობით, სწორედ რომ საქართველომ უმასპინძლა აღორძინებული „საბჭოთა რეგბის“ პირველ ორ, უმაღლესი რანგის ტურნირს (1963, 1966). RW

from Plekhanoff avenue suddenly arrived back home for family-related reasons and stayed here.

## ACCOMPLISHED IN 40 DAYS!

That apostle turned to be Givi Mrelashvili — the true founder of modern Georgian rugby; the creator of the GRU and its principal driving force for the initial 15 years; the pioneer recognized by encyclopedists and historians; an educated intellectual; a public figure since a young age; and the first person in Georgian rugby community who was awarded national “Order of Dignity”.

Faced with rubble and no hope in the Mother City, our protagonist attacked the task hands-on: mixed-up with peers, met with seniors, acquainted with big guns and lectured them on virtues of the new sport; overcame every obstacle and with the assistance of a lot of good people, accomplished the job in just 40 days – held Founding Congress of “City Section of Rugby" at City Sports Union's premises, thus gaining state recognition for the oval ball.

That solved various problems at once — rugby got rights equal with other sports: stadium gates opened for it and regular funding was secured. These made it possible to start the domestic competition and arrange trips to other Soviet republics. Furthermore, thanks to the founder's rare skills Georgia beat every contender in earning rights to host two highest-profile, post-revival all-Soviet rugby tournaments (1963, 1966). RW

WELCOME TO MY CLUB

ტექსტი **უჩა გოგიძე** // Worlds **Ucha Gogidze**

# აია

## ჩემპიონი დიდი ისტორიით, აწმყოთი და მომავლით



სანდრო ქოიავა, ბათუმი / Sandro Qoiava, BATUMI

**ქუთაისის „აია“ – ამ მითოლოგიური სახელის მქონე სარაგბო კლუბმა საქართველოს ფარგლებს გარეთ სახელი ჯერ კიდევ ათეული წლების წინ გაითქვა – მაშინ, როცა ასპარეზობა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში უწევდა. ქუთაისელებმა 1980-იან წლებში სსრკ-ის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული გუნდის სტატუსი მოიპოვეს; „აია“ სამჯერ გახდა შიდა ჩემპიონატის გამარჯვებული (1987, 1988, 1989), ერთხელ ვიცეჩემპიონი (1984) და ერთხელაც საპრიზო, მესამე ადგილის დაკავება შეძლო (1985).** ➡

ფოტო **აჩი გეგენავა** // Pictures **Achi Gegenava**



# AIA

## A champion with a great history, present and future

ნოდარ ჭეიშვილი, აია / Nodar Cheishvili, AIA

Kutaisi "Aia" – A Rugby Club with this mythological name made its name outside of Georgia decades ago back when they had to compete in the Soviet Championship. Kutaisians gained the status of one of the most successful teams of the USSR in the 1980's. "Aia" become the winner of the domestic championship three times (1987, 1988, 1989), the vice-champion one time (1984) and also took the third place prize once (1985). They managed to raise the Soviet Union Cup twice (1987, 1990). ➡



შემდეგ კი მწვრთნელის რანგიდან ეხმარებოდა, შარშანდელ საჩემპიონო სეზონზე კი სწორედ ის ედგა გუნდს სათავეში.

„კოვიდ“-სიტუაცია როგორც ყველაფერს, ასევე სარაგბო სფეროსაც შეეხო. „დიდი 10“-ის წინა გათამაშება რამდენიმეჯერ შეჩერდა, ობიექტური

საბჭოთა კავშირის თასის აღმართვა კი ორჯერ მოახერხა (1987, 1990).

„აია“, ამავდროულად, საქართველოს პირველობაზეც შესაბამისად იჩენდა თავს და ჩემპიონის ტიტულს ზედიზედ ეუფლებოდა. ასეთი სვლა საქართველოს დამოუკიდებელ სარაგბო ჩემპიონატშიც გაგრძელდა, თუმცა ამჯერად არც ისე ხანგრძლივად, როგორც მანამდე.

2021 წლის „დიდი 10“-ის სეზონი გუნდმა ერთი ამოსუნთქვით ჩაამთავრა და „ბათუმთან“ საკუთარ კედლებში გამართული ფინალური მატჩი გამარჯვებით დასრულდა. ქუთაისელების შარშანდელი და ზოგადად, ბოლო წლების ერთ-ერთი მთავარი შემოქმედი ყოფილი ბორჯღალოსანი – ბესიკ ხამაშურიძე გახლავთ, რომელიც მშობლიურ ქალაქს საფრანგეთიდან 2008 წელს დაუბრუნდა. ის „აიას“ ჯერ მოთამაშე-მწვრთნელის,

გარემოების გამო მატჩების თარიღი იცვლებოდა და ასეთ არასტაბილურ ტემპში სპორტსმენისთვის ტონუსში ყოფნა საკმაოდ რთულია. თუმცა, „აიას“ როგორც მოთამაშეებმა, ასევე პერსონალმა, მიზნის მისაღწევად კარგად გაიაზრა, რომ თითოეული მატჩისთვის შესაბამისი მომზადება იყო საჭირო, ყველას თავისი მისია ბოლომდე ჰქონდა გააზრებული და შესაბამისად, პროფესიულმა მიდგომამ დიდი როლი ითამაშა ჩვენს ჩემპიონობაში“, – ამბობს ბესიკ ხამაშურიძე.

„აიასთვის“ სასიკეთო გარდატეხა 2007-2008 წლებში დაიწყო, როცა კლუბის მმართველობა გიორგი გორგასლიძემ ითავა, მან კი, თავის მხრივ, ბესიკ ხამაშურიძეს სთხოვა დაბრუნება. გარდამტეხი პერიოდის მნიშვნელობაზე გვიყვება ლევან შარვაშიძე, რომელიც „აიას“ ყოფილი მორაგბე, ახლა კი მთავარი მწვრთნელია.

„უფრო თანამედროვე სტილის რაგბის მივანიჭეთ უპირატესობა, სადაც ხელით თამაში ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია. რადგან „აიას“ მთავარი გუნდი ძირითადად საკუთარი აკადემიის აღზრდილებით საზრდოობს, ნაყოფის გამოღებას წლები დასჭირდა“.

თავად ბესიკ ხამაშურიძე კი ამჟამად კლუბის ვიცეპრეზიდენტის თანამდებობას იკავებს.

„აიას“ სკოლის აღზრდილების სიმრავლე შეინიშნება როგორც ეროვნულ, ასევე ასაკობრივ ნაკრებ გუნდებში. მაგალითისთვის „ბორჯღალოსნების“ რიგებში ამჟამად ქუთაისური გამოცდილებით თამაშობენ ფრანგულ ტოპ 14-ში მოასპარეზე მორაგბეები: მიხეილ ნარიაშვილი, ბექა გიგაშვილი, ვანო კარკაძე, ოთია გიორგაძე და თედო აბჟანდაძე; მირიან მოდებაძე, გიორგი ბაბუნაშვილი და ლაშა ლომიძე კი პირველი ქართული ფრანჩაიზის – „შავი ლომის“ ღირსებას იცავენ; მათ გარდა, ნაკრების გაფართოებულ შემადგენლობაში „აიას“ გაცილებით მეტი სკოლაგამოვლილი მოიაზრება...

„ძველი და ახლანდელი საწვრთნელი პირობები ცა და მიწასავით განსხვავდება

At the same time “Aia” was proving themselves at the Georgian championship. They kept winning the title of the champion over and over. “Aia” continued the same pace at the Independent Rugby Championship of Georgia, although this time not for as long as before.

The team finished the 2021 season of the “DIDI 10” in one breath and the final match against “Batumi” ended with a victory. One of the Kutaisians' main characters in recent years is an former Borjghalosani Besik Khamashuridze, who has returned from France to his hometown back in 2008. He assisted “Aia” as a player-coach first, and as a full time coach later. At last year's championship season, he was the one who led the team.



The COVID situation affected everything, as well as the rugby field. The draw of the “Big Ten” was suspended several times. Dates of the matches have been changed due to objective circumstances, and it is quite difficult for an athlete to stay balanced at such an unstable pace. The previous draw of the Big Ten was suspended several times. Date of the matches kept changing due to objective circumstances, and it is quite difficult for an athlete to stay balanced at such an unstable pace. However, both the players and the staff of “Aia” understood well that in order to achieve the goal, proper preparation was needed for each





ერთმანეთისგან. ბოლო წლებში ჩამოყალიბდა აღმოსავლეთისა და დასავლეთის აკადემიები, ამჟამად ამ უკანასკნელს მე ჩავუდექი სათავეში. ეს ძალიან კარგი პროექტია, რადგან მიზანი ნიჭიერი ახალგაზრდების აღმოჩენა და მათ პროფესიულ ზრდაში ხელის შეწყობაა," — ამბობს გიორგი ნემსაძე.

მსგავსი ოპტიმისტური შემართება იგრძნობა თავად მოთამაშეებშიც.

„შეკრების გავლის შემდეგ თამაშებისთვის მზად ვართ და, როგორც ყოველთვის, ყველა მატჩში გამარჯვებისთვის ვიბრძოლებთ", — ეს „აიას" კაპიტან პეტრე ჯინჭარაძის კომენტარია.

ასე რომ, დიდი წარსულის მქონე ქართულ სარაგბო ფლაგმანს კვლავ დიდი გეგმები აქვს. RW

match. Everyone fully understood their mission, and consequently, the professional approach played a big role in becoming the champion." - says Besik Khamashuridze.

A positive turnaround for "Aia" started in 2007-2008, when Giorgi Gorgaslidze took over the management of the club. Giorgi, on his behalf, asked Besik Khamashuridze to return. Levan Sharvashidze, a former rugby player of "Aia", now the head coach, tells us about the importance of this turning point.

"We started giving preference to a more modern style of rugby where hand-play is one of the main components. Since the main team of "Aia" mainly feeds off of the upbringing of its own academy, it took years to bear fruit."

Besik Khamashuridze himself is currently in position of the vice president of the club.

The abundance of "Aia" school pupils is noticeable in both national and age teams. For example, rugby players competing in the French Top 14 are currently playing in the "Borjghalosnebi" with Kutaisian experience: Mikheil Nariashvili, Beqa Gigashvili, Vano Karkadze, Otia Giorgadze and Tedo Abzhanidze; Mirian Modebadze, Giorgia Babunashvili and Lasha Lomidze are defending dignity of the first Georgian franchise "Black Lion". Besides the ones listed above, way more "Aia" school graduates are considered in the expanded roster of the team.

"Old and current training conditions are as different from each other as heaven and earth. East and West academies have been formed in recent years. Now I am in charge of the West one. This is a very good project because the goal is to find talented young people and help their professional growth," - Says Giorgi Nemsadze.

A similarly optimistic attitude is felt among the players.

"After the assembly we are ready for the games and as always, in every match we are going to fight for victory." - This is the comment of the captain of "Aia", Petre Jincharadze.

So, the Georgian rugby flagship with a great past still has big plans. RW

## ქუთაისის „აიას" მწვრთნელები და კაპიტნები 2008 წლიდან

(როცა გუნდი უმაღლეს ლიგაში დაბრუნდა)

## COACHES AND CAPTAINS OF KUTAISI "AIA" SINCE 2008

(when the team returned to the Premier League)

**კაპიტნები/CAPTAINS**

2008-2010
**ირაკლი ჩხიკვაძე/Irakli Chkhikvadze**
2011-2014
**ირაკლი რევიშვილი/Irakli Revishvili**
2015
**ბადრი დანგაძე/Badri Dangadze**
2016-2019
**გელა შალამბერიძე/Gela Shalamberidze**
2019-2021
**გიორგი ბაბუნაშვილი/ Giorgi Babunashvili**
2022 წელი
**პეტრე ჯინჭარაძე/Petre Jincharadze**

**მწვრთნელები/COACHES**

2008
**ემზარ ძაგნიძე/Emzar Dzagnidze**
2009
**ბესიკ ხამაშურიძე/Besik Khamashuridze**
2010-2011
**კობა გიორგაძე/Koba Giorgadze**
2012
**ბესიკ ხამაშურიძე/Besik Khamashuridze**
2012-2013
**კობა გიორგაძე/Koba Giorgadze**
2013-2016
**ბესიკ ხამაშურიძე/Besik Khamashuridze**
2016-2019
**ბექა ყურაშვილი/Beqa Kurashvili**
2019-2021
**ბესიკ ხამაშურიძე/Besik Khamashuridze**
2022
**ლევან შარვაშიძე/Levan Sharvashidze**



## ნიაზ მამრიკიშვილი / NIAZ MAMRIKISHVILI

**საქართველოს რაგბის კავშირის საშეჯიბრო კომიტეტის ხელმძღვანელი**
**Head of the Competition Committee of the Georgian Rugby Union**

# მესამე, პანდემიური...
# THE THIRD, PANDEMIC...

ტექსტი **მამუკა ჩიხლაძე** // Worlds **Mamuka Chikhladze** ფოტო // Pictures **Georgian Rugby**

**პანდემიის** თითქმის ორწლიანმა მონაკვეთმა ქართული რაგბისთვის, შეიძლება ითქვას, მნიშვნელოვანი დანაკარგების გარეშე გაიარა. დასრულდა მესამე პანდემიური, 2021-2022 სეზონის პირველი ნახევარიც.

ვესაუბრებით რაგბის კავშირის საშეჯიბრო კომიტეტის ხელმძღვანელ ნიაზ მამრიკიშვილს. საუბრის თემა ვრცელია: დიდი 10, ქვედა ლიგები, შინაური სარაგბო მეურნეობა და არა მხოლოდ...

**ნ.მ.** შეიძლება ითქვას, რომ დიდი 10-ის იდეამ, როგორც მარკეტინგული, ასევე სპორტული თვალსაზრისით გაამართლა. საქართველოს ჩემპიონატის დონემ აიწია. კლუბებს ფინანსურად არ უჭირთ. არის საბაზო დაფინანსება რაგბის კავშირიდან, თუმცა არა მარტო ეს თანხა – რეგიონულ გუნდებს მუნიციპალიტეტებიდანაც აქვთ თანადაფინანსება, ბევრ კლუბს ➡

---

**It can be said** that the almost two-year period of the pandemic has passed without serious losses for Georgian rugby. The first half of the third pandemic season, 2021-2022, has already ended.

We spoke with the Head of the Competition Committee of the Georgian Rugby Union (GRU), Mr Niaz Mamrikishvili. There were plenty of topics for conversation: Georgian Premier Division – the Didi 10, lower and age grade leagues, the situation in domestic rugby in general and much more...

**N.M.** The idea of Didi 10 paid off from both marketing and sporting points of view. The level of the Georgian championship has increased. The clubs have no financial difficulties. They receive basic funding from the GRU, and apart from that the regional teams are also co-funded ➡




17
17

ჰყავს სპონსორი. შემიძლია დავასახელო რამდენიმე სერიოზული ქართული კომპანია: RMG, „ბაგრატიონი“, „კაპაროლი“...

ეს არ ეხება მხოლოდ დიდი 10-ის გუნდებს – მუნიციპალური დაფინანსება აქვთ პირველი და რეგიონული ლიგის წევრებსაც. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ეწყობა დიდი 10-ის თითქმის ყველა თამაშის პირდაპირი სატელევიზიო რეპორტაჟი.

**RWG საკლუბო ბიუჯეტი ძირითადად ხელფასებზე იხარჯება?**

**ნ.მ.** არა მხოლოდ. არის სახელფასო, მოსამზადებელი შეკრებების, მგზავრობის, ეკიპირების ხარჯები. ცხადია, თანხა იხარჯება განვითარებისთვისაც – დიდი 10-ის ყველა გუნდს ჰყავს ჭაბუკთა ორი ასაკისა და უმცროსი ასაკის ბავშვთა გუნდები. არის დუბლიორთა პირველობაც, სადაც დიდი 10-ის რვა კლუბი გამოდის. დუბლები არ ჰყავთ მხოლოდ ყაზბეგსა და რუსთავს.

**RWG მოთამაშეთა დენადობა თუ შემცირდა უცხოურ კლუბებში?**

**ნ.მ.** გარკვეულწილად, შემცირდა კიდეც, თუმცა მორაგბეთა უცხოეთში მიგრაცია ბუნებრივი პროცესია. უმეტესობა, ცხადია, საფრანგეთში მიდის. ბოლო წლებში გაიზარდა ქართველების რიცხვი რუსეთშიც. ევროპის თითქმის ყველა სარაგბო ქვეყანაში ნახავთ ქართველს. დიდი იმედით შევყურებთ „შავი ლომის“ პროექტს, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს ნიჭიერი მოთამაშეების შინაურ ასპარეზზე დარჩენას და აქ დაოსტატებას.

**RWG ბოლო ორ წელიწადში, პანდემიის დროს, რაგბში მოვარჯიშეთა რიცხვი შემცირდა?**

**ნ.მ.** ვერ ვიტყოდი, რომ მნიშვნელოვნად. ჭაბუკთა „ბ“ ლიგა „კოვიდამდელ“ დონეზეა, „ა“ ლიგაში კი სასკოლო მიზეზთა გამო 17-პროცენტიანი კლებაა. დანაკარგი მეტია საფესტივალო ასაკობრივ კატეგორიებში, ცნობილი შეზღუდვების გამო.

**RWG დაახლოებით რამდენი კაცი თამაშობს ახლა ქართულ გუნდებში?**

**ნ.მ.** რაღა დაახლოებით? – ზუსტად ვიცით! ამას აღნუსხავს კავშირის სტატისტიკური სამსახური. კლუბური და ასაკობრივი სიები

## „23 დეკემბრის მდგომარეობით გვყავდა 85 გუნდი და 3752 ლიცენზირებული მორაგბე“

from local municipalities. Some clubs have sponsors, of which I can name some large Georgian companies: RMG, Bagrationi, Caparol...

This is not limited to Didi 10 clubs only. Members of the First and Regional Leagues also receive municipal funding. It is very important that almost every match of Didi 10 is broadcast live.

**RWG Are the clubs' budget mainly spent on salaries?**

**N.M.** On more than that. There are expenses for salaries, training camps, travel, and equipment. Of course, certain sums go to development - in each Didi 10 club there are two youth teams, as well as children teams. There is also Didi 10 Reserve Grade Competition. Only Qazbegi and Rustavi have no reserves.

**RWG The outflow of players to foreign clubs decreased?**

**N.M.** To some extent, it has. However, the migration of rugby players abroad is a natural process. Most of them, of course, head to France. In recent years, the number of Georgians has also increased in Russia. You can see a Georgian player in almost every European country. We have great hopes for the Black Lion project, which would help ensure that talented players stay and master the craft at home.

**RWG Has the number of youth engaged in rugby reduced over the past two years, that is, during the pandemic?**

**N.M.** I would not say that it has reduced



ყოველდღიურად ახლდება და ყველა მონაცემი ოფიციალურ საიტზე STAT. RUGBY.GE ღიად, გამოსაჩენ ადგილას – ტაბლოზე გვიდევს. მეტიც – ბოლო ოთხი სეზონის შედარებითი დინამიკაც გვიწერია. ჰოდა, თქვენს პასუხად ვიტყვი, რომ 23 დეკემბრის მდგომარეობით გვყავდა 85 გუნდი და 3752 ლიცენზირებული მორაგბე: 1795 კაცთა 36 გუნდში, 673 – ჭაბუკთა „ა" კატეგორიის 16 გუნდში და 1284 – „ბ" ასაკის 33 გუნდში.



აი, ასეთი სტრუქტურა და ადამიანური რესურსი გვაქვს. პანდემიური დანაკარგები, შეიძლება ითქვას, მინიმალურია. იმედია, ამ მონაცემებს არაფერი მოაკლდება და ზრდა გაგრძელდება.

ზრდას დიდად შეუწყობს ხელს 100 ახალი სარაგბო მოედნის პროექტიც...

რა თქმა უნდა. ისევე, როგორც თავის დროზე ძალიან წაგვწია წინ ფონდ „ქართუს" მიერ განხორციელებულმა სტადიონების პროგრამამ, ახალი პროექტი თვისებრივად ახალ დონეზე აგვიყვანს.

ვერ გეტყვით, რამდენ წელიწადში აშენდება ყველა სტადიონი. მხოლოდ ის ვიცი, რომ 4 მოედნის მშენებლობა უკვე იწყება, მაგრამ ჩათვალეთ, რომ ეს უდიდეს პროგრესს მოიტანს სპორტული თვალსაზრისით, ყველა დონეზე.

**RWG რაკი პროგრესზე ჩამოვარდა სიტყვა, მაშინ ასეთი შეკითხვა მექნება: როგორ ფიქრობთ, დღესდღეობით მზად ვართ „6 ერში" სათამაშოდ?**

ნ.მ. ასე გიპასუხებდით: ყოველ შემთხვევაში, იტალიასთან საკონკურენციოდ მზად ვართ!

ძალიან დიდი იმედი მაქვს „შავი ლომის" პროექტის. საფრანგეთთან და ფიჯისთან შემოდგომის ტესტებს თუ გავიხსენებთ, ვიტყოდი, რომ „შავი ლომის" ფრანჩაიზმა უკვე მოიტანა შედეგი და უფრო რეალურ წინსვლას დაახლოებით წელიწადის, წელიწადნახევრის შემდეგ ვნახავთ. მნიშვნელოვნად წაგვწევს წინ სამხრეთი აფრიკის „ქარრის თასის" ქვედა, პირველ ჯგუფში მისაღები გამოცდილებაც. RW

**"That by December 23 there were 3752 licensed rugby players in 85 teams"**

dramatically. U17 League is still at the pre-Covid level, but in U19 League, for schooling reasons, there has been 17 percent decline. The loss has been more significant in the Festival age groups U15-11-9, due to the same restrictions.

**RWG Approximately how many players are licensed by Georgian clubs?**

N.M. Why approximately? We can tell you exactly, spot on. League players are registered by the Union's Stats Department. They update club and age lists on daily basis and publish amounts on official site STAT.RUGBY.GE at focal point – on scoreboard. In addition, there are recent 4 year comparative dynamics. To answer your query I'd rather mention, that by December 23 there were 3752 licensed players in 85 teams: 1795 seniors over 36 teams, 673 U19 youth in 16 organizations and 1284 U17 boys throughout 33 clubs.

This is how our structure and human resources look like. We can say that the losses by the pandemic are minimal. I hope this data will not worsen and growth will continue.

The project of 100 new rugby pitches will also greatly contribute to this ...

Certainly. Just as the stadium program implemented by the CARTU Foundation helped us move forward many years ago, this new project will take us to a quite new level.

I cannot say how many years it will take to build all the pitches. I only know that the construction of 4 stadiums is about to begin. Overall, this will bring tremendous progress in sports terms at all levels.

**RWG If we are talking about progress, my question is: Do you think we are ready to play in Six Nations today?**

N.M. I would answer you this way: at least we are ready to challenge Italy!

I pin my hopes on the Black Lion project. If you recall autumn tests against France and Fiji, we can say that Black Lion has already yielded results. And we will see even more advancement in a year or a year and a half, which will also be facilitated by the experience that we will gain at the Currie Cup First (Lower) Division in South Africa. RW

ტექსტი **ზურაბ ქსოვრელი** // Worlds **Zurab Qsovreli** ფოტო **მარიამ გაგნიძე** // Pictures **Mariam Gegenidze**

# მომავალი ჩემპიონები
# FUTURE LELOS





საფესტივალო რაგბი მოიცავს 2007-2015 წლებში დაბადებულ ბავშვებს, რომლებიც გაყოფილი არიან ოთხ ასაკობრივ ჯგუფად: 15-წლამდე (2007-2008 წლებში დაბადებულები), ანუ უფროსი საფესტივალო ასაკი და სამი უმცროსი საფესტივალო ასაკი – 13-წლამდე (2009-2010), 11-წლამდე (2011-2012) და ➡

The festival rugby unites children born in 2007-2015 who are divided in four age groups: under 15 (born in 2007-2008) – senior festival age group and three junior festival age groups: under 13 (born in 2009-2010), under 11 ➡




9-წლამდე (2013-2015). ყველა ასაკობრივ ჯგუფში, თითოეულისთვის ორ კვირაში ერთხელ, სექტემბრიდან-დეკემბრის შუა რიცხვებამდე (შემოდგომის სეზონი) და მარტიდან ივნისის ბოლომდე (გაზაფხულის სეზონი) იმართება ფესტივალები, სადაც არ წარმოებს ანგარიში და სატურნირო ცხრილი.

ეს ბავშვებს, მათ მშობლებსა და მწვრთნელებს ათავისუფლებს დამატებითი წნეხისგან და თამაშობენ მხოლოდ გართობისთვის.

მხოლოდ უფროს საფესტივალო ასაკში, გაზაფხულის სეზონზე ტარდება საქართველოს ჩემპიონატი როგორც 12-კაცა, ასევე 7-კაცა რაგბში, რომელსაც წინ უძღვის ორი შესარჩევი ეტაპი.

ამ ასაკობრივ ჯგუფში ჩემპიონატის ჩატარებას თავისი მიზეზი აქვს. სექტემბრიდან 2007 წელს დაბადებული მორაგბეები უკვე ჭაბუკთა „ბ“ ლიგას თამაშობენ და საფესტივალო რაგბის ბოლო სეზონზე სატურნირო წნეხს ეჩვევიან. ამ ასაკში და მხოლოდ ჩემპიონატებზე იწყებენ მორაგბეები კარში დარტყმას. 15-წლამდელთა ასაკიდან ერთვებიან საქმეში მსაჯები, მანამდე კი ფესტივალებზე თავად მწვრთნელები მსაჯობენ.

საფესტივალო რაგბის ხელმძღვანელი ნიკა ჩიტალაძე ამბობს, რომ ყოველი გადაწყვეტილების უკან დიდი ჯგუფის შრომა და კონკრეტული მიზანი დევს:

„სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში სხვადასხვა რეგულაცია გვაქვს, რათა თამაში იყოს უსაფრთხო და სახალისო. ეს რეგულაციები მიღებულია სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილებით. მასზე დიდი ხნის განმავლობაში მუშაობდა განვითარების ჯგუფი, რომელმაც მოარგო ქართულ

## რაგბის კავშირისთვის ბავშვთა რაგბის განვითარება, მასში ჩართული ბავშვების რაოდენობის ზრდა ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია

(born in 2011-2012) and under 9 (born in 2013-2015). In every age group, there are festival games once every two weeks from September to December (Autumn Season) and from March to June (Spring Season). No scores are recorded and there is no competition table. This helps children, their parents and coaches to be free from pressure and to play just for fun.



Only in a senior age group, there is a Championship of Georgia every spring among Rugby 12 and Rugby 7 preceded by two qualification rounds.

There are reasons why the championship is held in this age category. The players born in 2007 play B League and get ready for a competitive environment in their final festival season. It is in this age group and only in the championship games that the players start to kick the ball at goal. Under 15 games have referees whereas younger age groups are refereed by coaches.

The chairman of the festival rugby Nika Chitaladze says that behind every decision there is big effort and specific goal:

"There are different rules in different age groups to make the game safe and enjoyable. These rules have been written on the basis of experience of different countries. A development team spent a long time to develop these rules and adjust to the Georgian reality. At the same time, we are open and any time any coach can offer changes to rules".

The number of children enrolled in rugby started to grow since Rugby World Cup 2015 and reached peak of 5,674 children in 2018.

Besides monitoring the health of the children enrolled in rugby the licensing has another important meaning: the data is



რეალობას. ამავდროულად, ჩვენ გახსნილები ვართ და ნებისმიერ დროს, ნებისმიერ მწვრთნელს შეუძლია შემოიტანოს განაცხადი რაიმე წესის შეცვლის, დამატების, ან ამოღების თაობაზე.

რაგბში ჩართული ბავშვების რაოდენობამ ზრდა 2015 წლის მსოფლიო თასის შემდეგ დაიწყო და 2018 წელს პიკს მიაღწია – 5674. ლიცენზირება, აღრიცხვისა და რაგბში ჩართული ბავშვების ჯანმრთელობის მუდმივი მონიტორინგის გარდა, ერთ მნიშვნელოვან დატვირთვასაც ატარებს – მონაცემები შეტანილია ელექტრონულ ბაზაში და ორგანიზატორებს, პლანშეტის მეშვეობით, მოედანზევე შეუძლიათ ბავშვის მონაცემების გადამოწმება, რაც სხვადასხვა ასაკის ფესტივალზე გადაზრდილი მორაგბის თამაშის შესაძლებლობას გამორიცხავს.

სულ საქართველოში ბავშვთა 52 კლუბია რეგისტრირებული და მათი უმრავლესობა ფესტივალებში რეგულარულად მონაწილეობს – 34 აღმოსავლეთ და 28 დასავლეთ საქართველოში.

რაგბის კავშირისთვის ბავშვთა რაგბის განვითარება, მასში ჩართული ბავშვების რაოდენობის ზრდა ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. ფესტივალში მონაწილე ყველა ბავშვი დაზღვეულია და საჭიროების შემთხვევაში მისთვის ყველა სახის სამედიცინო დახმარება უფასოა. ფესტივალებს ემსახურებიან ექიმები, მოედანზე მატჩის ექიმი, და გამოყოფილია რეანიმობილი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში ბავშვს დაუყოვნებლივ გადაიყვანს მშობლის მიერ შერჩეულ დისპანსერში.

„ბავშვს რაგბზე პირველი შთაბეჭდილება მწვრთნელისგან ექმნება. სწორედ ისაა პასუხისმგებელი, რომ მას სპორტის ეს სახეობა შეაყვაროს და განუვითაროს სხვადასხვა უნარი. ჩვენ აღმოსავლეთ ევროპაში ედუკატორთა წამყვანი ჯგუფი გვყავს და ერთბაშად რამდენიმე ლოკაციაზე, პარალელურ რეჟიმში მიმდინარეობს მწვრთნელთა გადამზადება, რასაც დაემატა სამედიცინო და სამსაჯო სემინარი“, – ამბობს ჩიტალაძე.

მიმდინარეობს მუშაობა სასკოლო რაგბის პროექტ „ჩაერთე რაგბში“ გასააქტიურებლად. განიხილება გარკვეული კატეგორიისთვის უკონტაქტო ფესტივალების ჩატარების იდეა და სხვადასხვა ღონისძიება, რათა ფესტივალმა სრულად უპასუხოს საკუთარ იდეას და მოთამაშეთა რაოდენობის ზრდის, ასევე ხარისხის ამაღლებასთან ერთად, ბავშვთა რაგბში ჩართული მწვრთნელები, მშობლები და თავად მოთამაშეები, ბედნიერები იყვნენ.

ამიერიდან ბავშვთა რაგბის განვითარებაზე ვეტერანი ბორჯღალოსანი – გია ლაბაძე იზრუნებს. RW

## The development of children's rugby and the increase of children's number enrolled in rugby is one of main priorities for the Georgian Rugby Union

entered into the electronic database and the organizers can check the children's information any time. It excludes the possibility of over the age kids playing with younger kids.

There are 52 children rugby clubs registered in Georgia and most of them regularly participate in festivals – 34 in the east and 28 in the west.

The development of children's rugby and the increase of children's number enrolled in rugby is one of main priorities. Every child taking part in the festival is insured and receives all kinds of medical aid for free. The festivals are served by doctors. There is a match doctor on the field and there is an ambulance ready to take the injured child to a hospital immediately.

"Children receive first impression on rugby from their coach. It is the coach who is responsible for developing the love of rugby in children as well as different skills. We have a leading team of educators in easter Europe. They train coaches on several locations simultaneously. Medical staff and referees are trained too," says Chitaladze.



The work is also underway to activate the school project "Enroll in Rugby". The idea of holding contactless festivals and other events is being discussed. The goal is to promote rugby, increase its quality and make coaches, parents and rugby players happy.

From now on, veteran Lelo Gia Labadze will care about the development of children's rugby. RW

# რატომ არის რის-ზამიტი საგანძური უელსისთვის?

შონ ჰოლი



**ლუის რის-ზამიტის** სახელი უელსის ნაკრებისა და „გლოსტერის“ ქომაგებმა მას შემდეგ აიტაცეს, რაც 2019 წლის დეკემბერში მან „ვუსტერთან“ მატჩში ორი ლელო მიითვალა და დიდ სარაგბო სცენაზე შემოაბიჯა.

ბევრი ფიქრობდა, რომ 20 წლის ტალანტის „ბრიტანელი და ირლანდიელი ლომების“ სამხრეთაფრიკულ ტურნეში ხმობა გამართლებული ნაბიჯი იქნებოდა, თუმცა ეს ადგილი დუან ვან დე მერვემ დაიკავა. უელსელის ელვისებრ ტემპს, ძალასა და აჩქარების უნარს, შესაძლოა, გადამწყვეტი როლიც კი ეთამაშა ტურნეში გამართულ მესამე შეხვედრაში. ამას ჩვენ ვერასდროს გავიგებთ. რაც ნამდვილად ვიცით კი ისაა, რომ პრემიერშიფში მისი პერფორმანსები უფრო და უფრო დახვეწილი ხდება.

2021 წლის 6 ერის გათამაშებაში უელსის ნაკრების სამწვრთნელო შტაბმა ახალგაზრდა ვარსკვლავი მოედნის სხვადასხვა არეალში მოსინჯა. ნაკრების ორივე გარემარბს – რის-ზამიტსა და ჯოშ ადამსს მწვრთნელების მხრიდან მოედანზე გადაადგილების სრული თავისუფლება ჰქონდათ, ისინი ხშირად იწევდნენ შუაში პასის მისაღებად. რის-ზამიტი კარგად ჩაჯდა შერკინების შემდეგ პირველი ფაზის კომბინაციაში, იგი თავად შერკინების ან დენ ბიგარის უკან იმალებოდა, რათა მეტოქეთა რიგებში არეულობა შეეტანა და დაცვის ხაზი თავად გაერღვია.

რის-ზამიტის საოცარი აჩქარების უნარი თითქოს ეწინააღმდეგება მის მაღალ ფიგურას. მოედნის ვიწრო მონაკვეთებში სალელოვე შეტევის დაგვირგვინება კი ძალიან ეფექტურად გამოსდის.

მას აშკარად აქვს ლელოს გატანის საოცარი უნარი, რაც ასე გამოარჩევს სხვებისგან. წლების განმავლობაში მიმუშავია რა ისეთ მელელოვეებთან, როგორებიც შეინ უილიამსი, ტომი ბოუ და ტომ ვარნდელი იყვნენ, ვაანალიზებ, რომ ლელოს ხაზის შეგრძნება თანდაყოლილი ნიჭია, რის-ზამიტს კი სწორედ ეს ნიჭი აქვს.

მე თვალი გადავავლე მის მიერ წინა სეზონზე დადებულ ლელოს შოტლანდიის ნაკრების წინააღმდეგ...




**ვინ არის შონ ჰოლი?**

**„ოსპრისისა“ და „ბრისტოლის“ ყოფილი მწვრთნელი, რომელიც უელსის ნაკრებშიც მუშაობდა, ახლა კი ტელევიზიის ანალიტიკოსია**

## 4

**სრულყოფილი ფინიში.** ლუის რის-ზამიტი მიფრინავს ვან დერ მერვესა და ჰარისის გასწვრივ დარჩენილ სივრცეში. ერთადერთი, ვისაც შოტლანდიის გადარჩენა პოტენციურად შეუძლია, ეს ფულბეკი სტიუარტ ჰოგია, რომელიც საკუთარ პოზიციას შორდება. ხედავს რა ჰოგის უკან დარჩენილ ღია სივრცეს, ლუისი იწყებს საკუთარი უნარების გამომჟღავნებას: უმაღლეს სისწრაფეზე მყოფი მარჯვედ ურტყამს ფეხს ბურთს და ლელოში აგდებს, წინ დარჩენილ მცველს იოლად სცდება და შეტევას ლელოთი აგვირგვინებს. ნამდვილად ჯადოსნურია!

**მწვრთნელის თვალთახედვა.** ასეთ სისწრაფეზე შესრულებული მსგავსი ილეთი ნამდვილად ბევრ ვარჯიშს მოითხოვს. უპირველესად, რის-ზამიტს უსწრაფესად უნდა გაეანალიზებინა ვან დერ მერვესგან წამოსული საფრთხე, ამავდროულად კი შეეფასებინა, რამდენად ახლოს იყო წინ მდგარი სტიუარტ ჰოგი. მას ბურთი მარჯვენა ხელიდან გადმოაქვს და ორივე ხელით მყარად იჭერს. ამ დროს აცნობიერებს, რომ ჰოგმა მასთან მოახლოების ზღვარი გადმოლახა, მყისვე ჭკვიანურად ურტყამს ბურთს ფეხს, რომელიც ზუსტად საჭირო მანძილზე ეცემა – უელსელი როგორც მისკენ პირით მდგარი ჰოგის გადასწრებას, ასევე გვერდით მადევარი ჰარისის ჩამოშორებას ახერხებს. ბურთის დაცემისა და ასხლეტის ტრაექტორია იდეალურადაა შერჩეული, მასთან მისაღწევი ბილიკიც გაკვალულია და რის-ზამიტი დავთარში მორიგ ლელოს იწერს.

**3**

**დროული მხარდაჭერა.** ჰალაჰოლოს განზე სირბილმა ჰარისი იძულებული გახადა საწყისი პოზიცია დაეთმო და მეტოქის შესაბოჭად შემობრუნებულიყო. ვან დერ მერვე სიღრმიდან დროულად კი ამოიწია, მაგრამ სანამ ჰარისი სივრცეს შეავსებდა, მას უკუსვლით სირბილმა მოუწია. სკოტებისთვის დამატებითი პრობლემა შექმნა ტობი ფალეტაუმ, რომელიც ჰალაჰოლოსა და რის-ზამიტს შორის მორბოდა და პასის მიღების ერთ-ერთი ვარიანტი გახდა. რის-ზამიტი კიდის ხაზთან უკიდურესად ახლოს მირბის. ჰალაჰოლო ხედავს რა დილემის წინაშე აღმოჩენილ ვან დერ მერვეს, მყისვე ბრტყელ პასს უშვებს გარემარბის მისამართით.

**მწვრთნელის თვალთახედვა.** ამ ეპიზოდში დამხმარე მოთამაშეების დროული აჩქარება საკვანძო მნიშვნელობისაა – ვგულისხმობ ფალეტაუსა და რის-ზამიტს. მათ ჰალაჰოლოს ზუსტად შეუსაბამეს დრო. ისინი რომ სიბრტყეზე ამოსულიყვნენ, როცა ბურთი ბერდმა მიიღო, რამდენიმე წამში უკვე ჰალაჰოლოს გადაასწრებდნენ და ეპიზოდსაც გამოეთიშებოდნენ. მაგრამ როგორც კი ბურთი უელსელთა შუამარბს მიუვიდა, ორივე მათგანმა სწორედ მაშინ აუჩქარა სისწრაფეს მის დასახმარებლად.




**2**

**ფანდი მოედნის ცენტრში.** შიდი ბურთს აწვდის ბერდს, რომელსაც პასის გაცემის ორი ვარიანტი აქვს: პირით მეტოქის ლელოსკენ მორბენალი ბრაუნი ან ბრაუნის ზურგს უკან განდაგან წასული ჰალაჰოლო. ბერდის პასი ჰალაჰოლოსკენ დროში იდეალურადაა გამოზომილი, დაცვის ხაზის ბოლოში მდგარი ჰარისი და ფრთაზე ამოსული ვან დერ მერვე სწორედ ამ გადაწყვეტილების შემდეგ ყოვნდებიან.

**მწვრთნელის თვალთახედვა.** იდეალური შესრულებაა. მეორეხაზელი ბერდი პირდაპირ მიიწევს მცველებისკენ და მასში საფრთხე იგრძნობა. მისი პასი აშკარად იკითხება გვერდით მორბენალ ბრაუნზე, რაც ჰარისის შეცდომას იწვევს. ბერდი თითქოს მართლაც ბრაუნისკენ უშვებს ბურთს, მაგრამ ამით ჰალაჰოლოს ვარიანტს მალავს. ბოლო შტრიხი ჰალაჰოლოს დახვეწილი ჩარბენია, რათა ბერდის მიერ გაშვებული გადაცემა ძალიან გრძელი არ ყოფილიყო.

**1**

**შეტევის სქემა.** უელსის მიერ საკუთარი ნახევრიდან წამოწყებული შეტევა სასიამოვნო სანახავია. ქირან ჰარდის ბურთი რაქიდან გამოაქვს და ქალუმ შიდისკენ უშვებს. მესამეხაზელი ჯეიმს ბოთჰემიც იქვეა – ის სკოტების დაცვისთვის დიდი საფრთხეა, ამიტომ მისი იქ ყოფნა ცენტრში რამდენიმე მცველს აყოვნებს. შიდის შემდეგ მიმღებად ადამ ბერდი დგას, რომელსაც მარჯვნივ პირველხაზელი ბრაუნი, მის უკან კი შემალული ჰალაჰოლო მოჰყვება.

**მწვრთნელის თვალთახედვა.** შეტევითმა სქემამ რომ გამართულად იმუშაოს, მოთამაშეების მიერ პოზიციების დროულად აღება ძალიან მნიშვნელოვანია. მათ მიერ შესრულებული როლები განსაზღვრავენ იმას, მოახერხებენ თუ არა მეტოქეები ბოჭვის გაკეთებას. სხვადასხვა სცენარის სრულყოფილებამდე მისაღწევად მოთამაშეებს ქცევის მრავალჯერ გამეორება უწევთ. შემტევებსა და მცველებს შორის გამართული დევნის დროს საკუთარი პოზიციის დროულად აღება ყურადღების ცენტრში მოქცევის იდეალური შესაძლებლობაა.

ILLUSTRATION Artlife

# THE ATTACKING SHAPE THAT UNDERPINS IRELAND

## SEAN HOLLEY ANALYSES A TACTIC THAT MAKES ANDY FARRELL'S TEAM ONE TO FEAR



**AS IRELAND'S** head coach, Andy Farrell has instilled a never-say-die culture and an adaptable playing style. For example, many teams now adopt a second playmaker in the back-line. Withthe likes of Bundee Aki and Robbie Henshaw at his disposal, Farrell instead looks to deploy others at first receiver in phase play and off first phase. This affords more time and space to the principal distributor, the outside-half.

It's no secret that Johnny Sexton has been targeted for some hefty treatment by defences. This tactic, coupled with some powerful forward ball-carriers, allows the No 10 to pick and choose when to step up into the front-line and take the attack to the defence. It also gives him the chance to receive a pass in more depth, allowing for more scanning and easier movement of the ball to the wider channels.

Ireland's general attack shape entails a grouping of forwards across the field in a 1-3-2-2 formation, with Sexton playing inside a group of three forwards. From closer to the sidelines, Sexton will play behind a group of three forwards linking to another forward group of two more infield. This shape allows the side to play direct or to play wide by having various phase plays within the structure.

The versatile backs that Ireland now possess facilitates this and the skill-set of all Ireland players is coveted by other teams in Europe. In many positions they have three options to choose from of similar calibre. The team is playing with vigour and enthusiasm, as illustrated by the win over the All Blacks last autumn.

The star of the autumn for Ireland was Caelan Doris and it was his try against New Zealand that I've looked at here...

### WHO IS SEAN HOLLEY?

A former Ospreys and Bristol coach who has also worked with Wales and is now a TV analyst




## 2

**THE THRUST.** Bundee Aki promotes himself ahead of Sexton, takes a flat pass from Conway and, with inventive footwork, tries to cross the gain-line. With this one carry, he takes out Richie Mo'unga, David Havili and Dalton Papalii. Conway follows his pass into the contact to help clear NZ threats, while van der Flier takes a short line to the tackle to police any potential jackal threat. But Aki's carry is so effective, and his ball presentation so clean, that NZ get nowhere near the ball. Ireland have fast ball for the next phase.

**Coaching Points** Ball presentation is the first key to Ireland's ruck speed success. A good exercise for quick, long ball placement is the Star Drill. Ask a player to lie on the ground with the ball. At five points around the full circumference of the player's height with fully extended arms, place five different-coloured cones. The coach calls the colours in turn and the player quickly moves their body position whilst on the floor in the direction of that cone. You can make this more difficult by getting a defender with a tackle shield to try to obstruct the movements.

## 4

**THE KILL.** Codie Taylor is isolated at the side of the ruck and Ireland smell blood. Taking a pass from his nine, Doris senses Taylor has to push off the ruck to cover the options. He steps off his outside foot and powers through on Taylor's inside shoulder. Blackadder is too late to intervene having been put on his back by Ryan's clearout. With no backfield cover, Doris sprints in for a superb score.

**Coaching Points** Forwards carrying after running around the corner must drive off their outside foot to square up and provide options. To practise this, use two poles to form gates. Get players to run sharp angles to cut the time to get to the gate. Forwards must get this trailing run correct to 'win the race'. Too early and they're flat and static; too much of an arc and they're too deep and lose the race.

## 3

**THE CAVALRY.** NZ are now scrambling. Gibson-Park has three options to pick from on this phase in Kelleher, James Ryan and Beirne. He chooses Kelleher, who gets over the gain-line. Blackadder has a slim chance to get over the ball but Ryan's angle, height and technique wipes him away (inset). Again, the ball is on a platter for the No 9.

**Coaching Points** Running lines to contact areas can be practised using entry points to ensure no penalties are conceded. Use poles for players to run around so they're square coming into contact. Poles or nets can be used to lower body height. I liked setting up tackles with a 1 v 1 in a 5m area and getting one jackler and a cleanout man to race to the tackle from different-coloured cones.




## 1

**THE SETUP.** Caelan Doris gathers Ronan Kelleher's throw to the front of the lineout and dummies the delivery to hold the NZ back-line ten metres back from the line of touch. The plan is to cross the gain-line in midfield and win the race around the corner to the next phase. Andrew Conway comes off his wing to play first receiver, freeing up Johnny Sexton for the next phase. Tadhg Beirne stops Ethan Blackadder coming through the lineout as he tries to get at Jamison Gibson-Park. And Josh van der Flier, anticipating where the ball carry will be, runs ahead and subtly blocks Sam Whitelock, delaying the lock to his position at the next ruck.

**Coaching Points** Getting the delivery right from a lineout without your usual first receiver can go horribly wrong unless you practise. If you have more than one scrum-half at training, send one to work with the forwards on lineout calls. First receivers need to know where to stand from different deliveries. In this instance, Conway will need to know the call, stand closer to the scrum-half as it's the front and take the timing of his run off Doris's dummy and feed. Not easy unless it's practised!

ILLUSTRATION Artlife

სრკ-ს ფიზმომზადების დეპარტამენტის ხელმძღვანელი **ირაკლი ჭყონია**
HEAD OF THE PHYSICAL TRAINING DEPARTMENT OF THE GRU **IRAKLI CHKONIA**

# როგორ ხურდებიან ბორჯღალოსნები
# HOW THE LELOS WARM-UP



MOVE

**1** თამაშიდან 5 საათით ადრე ვიწყებთ მომზადებას. უპირველესად ვაკეთებთ პრაიმერს (ჰორმონული ან დინამიკური). თამაშამდე 4 საათით ადრე გვაქვს კვება და სტადიონზე მივდივართ ისე, რომ 80-90 წუთით ადრე ადგილზე ვიყოთ.

გასახდელში იწყება მოთამაშეების დასტრაპვა. მოედანზე გავდივართ დაახლოებით 1 საათით ადრე და მოთამაშეებს აქვთ თავისუფალი 15-20 წუთი, რომლის განმავლობაში ისინი ინდივიდუალურად ხურდებიან, პოზიციების საჭიროების მიხედვით (9 ნომერი პასით, კვაჭი დერეფანში ბურთის აგდებით და ა.შ.). თამაშამდე 40-45 წუთით ადრე ვიწყებთ გუნდურ გახურებას.

გუნდურ გახურებას ეთმობა 19 წუთი, რომლის განმავლობაში ინტენსივობა მაქსიმალურად უახლოვდება სათამაშო ტემპს, რათა მორაგბე ისეთ სიტუაციაში არ მოხვდეს, რისთვისაც მზად არ იქნება. თამაშამდე 20 წუთით ადრე ვბრუნდებით გასახდელში და 8-10 წუთით ადრე გამოვდივართ ჰიმნებზე. მისი დასრულების შემდეგ, ბალიშებზე გვაქვს 2-3 წუთიანი გახურება, რათა კუნთის ტემპერატურა არ დავარდეს. ეს ვარჯიში აუცილებლად სრულდება სიცივეში.

ამის შემდეგ ვიყოფით და მორკინალები სპეციფიკურ ვარჯიშებს ასრულებენ (დერეფანი, შერკინება, მოლი), ხოლო ხაზის მოთამაშეები იმეორებენ კომბინაციებს. ბოლო 2-3 წუთი კვლავ ეთმობა ინდივიდუალურ გახურებას.

ჰიმნებზე გასვლამდე გასახდელში ყოველთვის გვაქვს 10 წუთი. ეს პერიოდი ეთმობა სათამაშო ფორმის მორგებას, საბოლოო მომზადებას. 5 წუთით ადრე გუნდს მიმართავს ჯერ მწვრთნელი, შემდეგ კაპიტანი და გავდივართ მოედანზე.

We start the game day (premier) training session, 5 hours ahead of kickoff. We have a meal 4 hours before the match and approach the stadium to be on the ground 80-90 minutes ahead of the kickoff.

In the dressing room, the players have to be strapped. We are on the field an hour before kickoff. The players have 15-20 free minutes for individual warming up, according to their positions (scrum-halves - passing out, hookers - line-out throwing, etc.). 40-45 minutes before the game we start teamwork warming up.

19 minutes are devoted to teamwork warm-up, during which the intensity is as close as possible to the game pace. 20 minutes before the game, we return to the dressing room and 10 minutes later go out for the national anthems. After that, we have 2-3-minute warm-ups to maintain the muscle temperature. These exercises have to be performed in the cold.

We then split up. The forwards perform specific exercises (lineout, scrum, maul) while the backs practice various game combinations. The last 2-3 minutes are again devoted to individual warm-ups.

We always have 10 free minutes in the dressing room before going for the anthems. We use these minutes for uniform adjustment, final preparation. 5 minutes ahead of the game, the team is addressed first by the coach, then by the captain and approach the field.



# 2

FEED

## სპორტსმენის ცხოვრების წესი
## THE LIFESTYLE OF A ATHLETE

**რაგბის კავშირის ფიზმომზადების ჯგუფმა შეიმუშავა პროფესიონალი სპორტსმენის ცხოვრების 10 წესი, რისი დაცვაც წარმატებული კარიერის გარანტია.**
**The Rugby Union's fitness team has developed 10 rules for a professional athlete's lifestyle. Following these rules is key for athletes, in terms of career success.**

**1.** არეგულირე წყლის ბალანსი ორგანიზმში / Regulate water balance in the body;
**2.** ამოიღე ინდუსტრიულად დამუშავებული საკვები შენი რაციონიდან / Reject industrially processed foods;
**3.** გაზარდე ნატურალური დაუმუშავებელი საკვები შენს რაციონში / Increase the share of natural unprocessed foods;
**4.** შეამცირე მარტივი ნახშირწყლების მიღება / Reduce simple carbohydrate intake;
**5.** ამოიღე ალკოჰოლი შენი რაციონიდან / Avoid alcohol;
**6.** მოერიდე წამლებს – განსაკუთრებით ანტიბიოტიკებს! / Avoid medicines - especially antibiotics!;
**7.** გააუმჯობესე ძილი / Improve sleep habit;
**8.** ისწავლე აღდგენა და რელაქსაცია / Learn to recover and relax;
**9.** მიიღე ხარისხიანი ცილები / Get quality proteins;
**10.** მიიღე ჯანმრთელი ცხიმები, მოერიდე არაჯანმრთელ ცხიმებს / Get healthy fats, avoid unhealthy fats.

# 3

TRAIN

## ნაბიჯი წარმატებისკენ
## STEPS TO SUCCESS

**ქეთი მოდებაძე / Kety Modebadze**
7-ქალას ყოფილი კაპიტანი
Women 7's Former Captain
ფიტნესტრენერი, – „ჩემპიონთა აკადემია"
Fitness trener – Champions Academy

### რუმინული ამოწევა ჰანტელებით
**ROMANIAN DEAD LIFT**
// 3X10 გამეორება/REPS



ამუშავებს ბარძაყის, დუნდულა და ზურგის ქვედა ნაწილის კუნთებს.
The dumbbell Romanian deadlift works your hamstrings, glutes, and your lower back.

➤ მოათავსეთ ფეხები მხრების სიგანეზე და დაიჭირეთ ჰანტელები ხელებით ფეხების გასწვრივ;
➤ მუხლები ოდნავ მოხარე, თეძოს უკან მოძრაობით ჩამოსწიე სიმძიმეები მიწისკენ ისე რომ ზურგი სწორად გეჭიროს, უნდა იგრძნო ღრმა დაჭიმულობა ბარძაყის არეში;
➤ დაბრუნდი საწყის პოზიციაში და დაჭიმე საჯდომის კუნთები.

➤ Place your feet shoulder-width apart and hold the dumbbells with your hands along the legs;
➤ Bend your knees slightly, pull the weights down to the ground by moving your hips so that your back is holding properly, you should feel a deep stretch in the hamstrings;
➤ Return to the starting position and squeeze your glutes.

# INTOUCH

გთხოვთ ისარგებლოთ მითითებული ელფოსტით / Email your letters to **info@rugbyworld.ge**

★ გულშემატკივართა წერილები // SUPPORTERS LETTERS ★

## ქართული რაგბის გულშემატკივრები „ბორჯღალოსნები“
## Georgian Rugby Supporters

ბრიტანული ჟურნალს RUGBY WORLD მრავალწლიანი ისტორია აქვს, გამოიცემა 1960 წლის ოქტომბრიდან, სარგებლობს დიდი პატივით სარაგბო წრეებში და არის ყველაზე გაყიდვადი რაგბის ჟურნალი მსოფლიოში. განსაკუთრებული პოპულარობის ზენიტს აღწევს 2003 წლის რაგბის მსოფლიო თასის შემდეგ. სწორედ რომ ეს პრესტიჟული ჟურნალი ქართულ სარაგბო სივრცეში პერიოდულად გამოჩნდება RUGBY WORLD GEORGIA-ს ერთობლივი გამოცემის სახით და დაინტერესებულ გულშემატკივარს შესთავაზებს როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო სარაგბო განახლებებს. ვულოცავთ RUGBY WORLD-ის ქართულ სარაგბო სამყაროში დაფუძნებას, ვუსურვებთ წარმატებას ახალი განვითარების ეტაპზე საქართველოში. დარწმუნებული ვართ, ჟურნალი რაგბის ადგილობრივ მოყვარულებს გაანებივრებს ბევრი სიახლით და განტვირთვის კიდევ ერთი სასიამოვნო საშუალება გახდება.



ფოტო მარიამ გაგნიძე / Picture Mariam Gagnidze

The British Magazine RUGBY WORLD has a long history.It has been published since 1960. It gets a lot of respect among rugby circles and is the best-selling rugby magazine in the world. Rugby World reached its peak of popularity after the 2003 Rugby World Cup.

This prestigious magazine will appear in the Georgian rugby space as a joint edition of Rugby World Georgia, which will be a Georgian-English version and will provide the fans with national, as well as international news.

We wholeheartedly welcome and congratulate RUGBY WORLD's establishment in the Georgian rugby world. We wish them success at the new stage of development in Georgia. We are sure the magazine will pamper local rugby fans with a lot of news and become another enjoyable way to unwind.

## ქართული სპორტის ქომაგები / Kartuli Sportis Komagebi

„**რაგბი ჩვენი თამაშია**“ – ეს ფრაზა ქართველ გულშემატკივრებში არაერთგვაროვან დამოკიდებულებას იწვევს, მაგრამ რაგბი არის სპორტის სახეობა, რომელმაც ყველაზე რთულ მომენტში ქართველ ხალხს ნანატრი გამარჯვების ემოცია დაუბრუნა.

ეს ჟურნალი უმნიშვნელოვანესია ქართული რაგბის მეტად პოპულარიზაციისთვის, რათა ქართველი ხალხი უფრო დაახლოვდეს რაგბთან, გაიგოს პრობლემების, მათი გადაჭრის გზების გეგმები და საერთაშორისო რაგბის გამოცდილება.

გისურვებთ წარმატებას და ვისურვებდით, ამ ჟურნალის მეშვეობით ქართული რაგბი ქომაგებისთვის მეტად ღია და ახლოს მყოფი სპორტი გახდეს.

"**RUGBY IS OUR GAME**" - this phrase causes mixed attitudes among Georgian fans, but rugby is a sport that brought back to the Georgian people the emotion of the long-awaited victory.

This magazine is important for the great popularization of Georgian rugby, so that the local people can get closer to rugby, understand the problems, the plans for their solution and the experience of international rugby.

We wish you good luck and would like Georgian rugby to become a very open and familiar sport for the fans through this magazine.



# მგეზავი
# Mgezavi

**ზაალ გიგინეიშვილი**, მის მიერვე მოგონებული ტერმინი რომ გამოვიყენოთ, იყო ქართული რაგბის მგეზავი, მიმართულების მიმცემი.

1991 წელს როდესაც დაიშალა საბჭოთა კავშირი, ჩვენ უკვე სწორი მიმართულება გვქონდა არჩეული – ვიცოდით, საით უნდა წავსულიყავით.

გადავიტანეთ სამი უმძიმესი წელიწადი: 1992, 1993, 1994 და რომ არა ადამიანები, რომლებმაც ყველა სხვა საქმე გადადეს და საქართველოში ჩვენი თამაში შეინარჩუნეს, დღეს მსოფლიო რაგბში ჩვენს ადგილზე შესაძლოა სხვა ქვეყანა ყოფილიყო.

ამ მამაკაცებიდან ერთ-ერთი ზაალ გიგინეიშვილი იყო. მისი საგაზეთო წერილების, მის მიერ კომენტირებული მატჩების, მასთან კერძო საუბრების წყალობით, ჩვენ ზუსტად ვიცოდით რა ხდება მსოფლიო რაგბში, ვინ რას წარმოადგენს, ვინ არის დევიდ კემპიზი თუ ჯონა ლომუ, რა მიმართულებით ვითარდება თამაში, როგორ იცვლება წესები, რა არის ნამდვილი რაგბი და რა – სუროგატი. ეს ხდებოდა წლებში, როდესაც საქართველოში ჯერ არ იყო ინტერნეტი.

გიგინეიშვილმა ჯერ კიდევ 1989 წელს დაბეჭდა საპროგრამო სტატია – „რაგბი– გზა წინსვლისა", სადაც წარმოადგინა საბჭოური სისტემიდან ქართული რაგბის გამოყვანისა და მისი დამოუკიდებლად განვითარების გეგმა; შექმნა ინგლისურის შესატყვისი, სრულყოფილი ქართული სარაგბო ტერმინოლოგია; ორიგინალიდან თარგმნა რაგბის წესები; ის იყო ჩვენი მეკავშირე სარაგბო მსოფლიოსთან და მანვე შემოინახა ქართული რაგბის დაწვრილებითი ისტორია.

ასეთმა ხალხმა შემოინახა საქართველო, ზოგადად – საკუთარი საქმის სიყვარულითა და პროფესიონალიზმით თავის ხელობაში. ზაალ გიგინეიშვილმა ორ დარგის განვითარებაში შეიტანა უდიდესი ღვაწლი – ქართული რაგბისა და ქართული სპორტული ჟურნალისტიკის.

ჩვენი მეგობარი, მასწავლებელი, კოლეგა, 2022 წლის 4 თებერვალს გარდაიცვალა. 28 თებერვალს ის 61 წლისა შესრულდებოდა.

---

**ZAAL GIGINEISHVILI**, to use the term he came up with, was a "mgezavi" (guide) to Georgian rugby. In 1991, when the Soviet Union collapsed, we already had the right direction and knew which way to go.

We lived through three of the most difficult years: 1992, 1993 and 1994. If it hadn't been for the people who put all other work second to keep the game alive in Georgia, there might have been another country in our place in world rugby right now.

One of these men was Zaal Gigineishvili. Thanks to his newspaper letters, his game commentary and private conversations with him, we knew exactly what was going on in world rugby. We knew who is David Kempiz or Jonah Lomu was, in what direction the game was developing, how the rules were changing, and the difference between real rugby and a surrogate. This was happening in the years when there was no internet in Georgia yet.

Gigineishvili published a program article in 1989 - "Rugby - A Road to Progress", in which he presented a plan of withdrawing Georgian rugby out of the Soviet system and developing it independently. He created an English equivalent, perfect Georgian rugby terminology. He translated rules of rugby from the original. He was our ally in the rugby world and he also preserved the detailed history of Georgian rugby.

People like him are the ones who have brought Georgia to this day, thanks to their love and professionalism for their craft. Zaal Gigineishvili has made a great contribution to the development of two fields - Georgian rugby and Georgian sports journalism.

Our friend, teacher and colleague passed away on February 4, 2022. On February 28 he would have turned 61 years old.


RUGBY WORLD
GEORGIA

**საპატიო მთავარი რედაქტორი**
**HONORARY EDITOR-IN-CHIEF**
**ნონა გაფრინდაშვილი**
**Nona Gaprindashvili**

**ვებ-გვერდის მთავარი რედაქტორი**
**Editor-in-chief of the website**
ელენე ლომსაძე / Elene Lomsadze

**აღმასრულებელი რედაქტორი**
**Executive Editor**
ზურაბ ქსოვრელი / Zurab Qsovreli

**რედაქტორები / Editors**
ბესიკ ჯანგავაძე / Besik Jangavadze
მამუკა ჩიხლაძე / Mamuka Chikhladze
უჩა გოგიძე / Ucha Gogidze
დავით მანჯავიძე / David Manjavidze

**სტილის რედაქტორი / Style Editor**
ბაჩო კვირტია / Bacho Kvirtia

**თარგმნა / Translation**
მიხეილ კობალაძე / Mikheil Kobaladze
ნიკოლოზ თოიძე / Nikoloz Toidze
მიხეილ მგალობლიშვილი
Mikheil Mgaloblishvili

**ფოტოგრაფი / Photographer**
ირაკლი ტყემალაძე / Irakli Tkemaladze

**დიზაინი და ტექნიკური მხარდაჭერა**
**Design and technical support**
www.futuregeorgia.ge

**კონტაქტი / Contact**
ოფისი 3, ჯ. ამირეჯიბის გზატკ. 6
თბილისი, 0148, საქართველო
Office 3, J. Amirejibi hwy. 6
Tbilisi, 0148, Georgia
info@rugbyworld.ge
www.rugbyworld.ge

**გამომცემელი / PUBLISHER**
დავით სამსონიძე / David Samsonidze



FUTURE GEORGIA

FUTURE
Connectors.
Creators.
Experience
Makers.

ჟურნალში გამოქვეყნებული მასალა წარმოადგენს ჟურნალ Rugby World Georgia-ს საკუთრებას. ჟურნალში დაბეჭდილი ნებისმიერი მასალის გამოყენება გამომცემლობის წერილობითი ნებართვის გარეშე აკრძალულია.
The material published in the magazine is the property of Rugby World Georgia magazine. The use of any material use without the written permission of the publisher is prohibited.
All contents©Rugby World Georgia 2022



**გამოცემის ბეჭდვა**
**PRINT OF ISSUE**
კოლორ ჯგუფი

# უჩინარი მოთამაშე THE SECRET PLAYER

ტექსტი **ალან დაიმოქი** / Worlds **Alan Dymock** ფოტო / Pictures **Getty Images**

## შეეზღუდოს რაგბში მწვრთნელებს წყლის მიმწოდებლის როლში გამოჩენა?

## SHOULD RUGBY CLAMP DOWN ON COACHES AS WATER CARRIERS?

▶ **2020 წლის დასაწყისში** იაპონიის შეტევის მწვრთნელი ტონი ბრაუნი Rugby World-ის სტატიაში, „რაგბის მომავალი", წერდა: „*სამწვრთნელო საქმიანობაში სიახლეების მხრივ ახლა მართლაც საუცხოო გარემოა. მიზნის მისაღწევად ყველანაირი შესაძლებლობა არსებობს. ტექნოლოგიები წინსვლისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გზაა. ეს შეიძლება იყოს რეალურ დროში არსებულ მონაცემთა გამოყენება ან მინდორზე მყოფ მოთამაშეებთან კომუნიკაციის შესაძლებლობა. მატჩის მსვლელობისას მოთამაშეებთან საუბრის საშუალება რომ გქონდეთ, როგორც ეს ამერიკულ ფეხბურთშია, შეძლებდით გეგმის 80%-ზე მეტი სიზუსტით შესრულებას, რაც გამარჯვებასა და დამარცხებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს*".

მაგრამ 2021 წელს მორაგბეებისთვის მწვრთნელის შეტყობინებების გადაცემის საკითხი განხილვის საგნად იქცა.

ზოგი ეჭვობს, მწვრთნელების ამგვარი ჩარევა ხომ არ მიუთითებს იმ ფაქტს, რომ ისინი ნაკლებად ენდობიან მოთამაშეების უნარს, თავად მიიღონ გადაწყვეტილებები მოედანზე, 40 წუთის განმავლობაში?

„ვესტ ჰემის", „ნიუკასლისა" და „კრისტალ პელესის" ყოფილ თავკაც ალან პარდიუს აზრით, მწვრთნელს *„ბრძოლის ველზე" აუცილებლად უნდა ჰყავდეს „ლეიტენანტები", რომელთაც მთელი კვირის განმავლობაში შემუშავებული გეგმის განხორციელებას ანდობს.*



რასი ერასმუსი (მარჯვნივ), სამხრეთ აფრიკის რაგბის კავშირის მწვრთნელი
Rassie Erasmus (right), South African rugby union coach

*„რაიმე პრობლემას ვერც მატჩის მსვლელობისას მითითების მიცემაში ვხედავ. უბრალოდ, ვერ ვხედავ. ვერ ვხედავ ამაში ვერანაირ თაღლითობას. ამით ხომ მხოლოდ გარკვეული ტაქტიკური ცვლილებები შეგაქვთ თამაშში, რომელსაც მასზე გავლენის მოხდენა შეუძლია. სადაა აქ თაღლითობა?"*, – აღნიშნავს ალან პარდიუ.

და მართლაც, ძალიან დიდ მნიშვნელობას ხომ არ ვანიჭებთ ამას? ან იქნებ უკვე მოვიდა დრო, სერიოზულად შევზღუდოთ თამაშის მსვლელობისას მორაგბეებისთვის მისაცემ მითითებათა რაოდენობა? RW

▶ **AT THE START OF 2020**, Japan's attack coach Tony Brown wrote a column for Rugby World's Future of Rugby issue. In it, he said: "As for innovations in coaching, it's a really competitive environment now. No stone unturned. Tech could provide the way forward. "*That could be using real-time data or it could be the ability to communicate with players on the field. If you could talk with players, kind of like the NFL, you ensure you're executing the plan with precision, rather than at 80%. That could be the difference between winning and losing.*" But in 2021 the issue of getting messages on to players has come under scrutiny.

Some ponder whether there is a shortening level of trust for players to problem solve on their own over 40 minutes now.

For Alan Pardew, former West Ham, Newcastle and Crystal Palace manager, there will be on-pitch lieutenants you can trust to deliver any game plan you have hammered during the week.

"*But I don't see any problem in getting messages onto the pitch going forward. I just don't see that. I don't see any cheating involved in that. All you're doing is making a tactical change that might influence the game. Where's the deception in that?*" – says Alan Pardew.

Are we making a meal of this, or is it time to seriously clamp down on the number of messages being passed onto the players? RW

**ONLY IN RUGBY WORLD**

# FUTUREGEORGIA




INFO@FUTUREGEORGIA.GE

# #რაგბიყველასია
# #RUGBYFORALL

ნახატი შექმნილია სპორტში ქალთა მხარდაჭერის კამპანიის ფარგლებში გაეროს ქალთა ორგანიზაციის, საქართველოს რაგბის კავშირისა და ქუჩის ხელოვანთა მოძრაობა „ნიკოს“ თანამშრომლობით
The painting was created by the support campaign in sport in collaboration with the UN WOMEN, the Georgian Rugby Union, and the NIKO street artist’s movement

in support of
UN WOMEN

მხატვარი/ART – **TamOonz**

